



ISSN 0130-1624


ეროვნული  
ბიბლიოთეკა

619 / 2  
1990 / 2




საქართველო

მარტი  
№ 3 1990



ქართული  
ღღეპები  
სან-დიეგოში

ფოტო ანატოლი რუხაძისა.





ბათუმი, საპარკო

ქართული  
ბიზნეს-საბჭო

# დროშა

№3 მაგნი, (399), 1990

შურნალი გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიტერატურ-  
ო-სამხატვრო შურნალი



### ნო მერ ში ა:

ფაქტები და არგუმენტები (დოკუმენტური მასალა)  
 ოთარ ჭინჭაძე. წინ იყურე! (მართულ-ეგრული ჩანაწერები)  
 ნათელა ბიორგოზიანი. ... და ვაკცინი ვარდებს  
 მანა დეისაძე. ნუთუ?! (ეტიუდი)  
 ნუთუ კუკრიშვილი. საქველმოქმედო კლუბი „სიკეთე“.  
 თენგიზ ბოგოლაძე. სიყვარული ცხადში.  
 ბივი მიხანდარი. პირველად ამერიკაში.  
 ანდრა კარგელაშვილი. საოცარი ჩიკაგოდან მოაზროვნე როგორ გახდა.  
 დათო ტუჩაშვილი. ჩემი სიღვიძი და ჩვენი ლუკა.  
 ნათია კვიციანი. ვაჟო, შვილივით ნაყარდო!  
 ანდრა შიდი. სსრკ-დან დაბრუნება...  
 შერაზ კალანდარი. ისტორიის ერთი საიდუმლოება.  
 ნოდარ კობახიძე. წვეთ-წვეთად გულიც დაიწვინა, ანუ ნოდარ ახალკაცის საფინანსო კორტაჟი.  
 კოსტოპოლი.

საქართველოს კვ ტვი-ს გამომცემლობა

● „დროშა“, 1990 წ.

### მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე



სარედაქციო კოლეგია:  
 გულნარა ბახტაძე (პ/მ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ ბებიაძე, ნათელა ბიორგოზიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ეხვანდია, ჯემალ მენურიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.





# 1989 წლის 9 აპრილი: ფაქტები და არგუმენტები

დოკუმენტური მასალა

1989 წლის 24 დეკემბერი.  
სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მთავარი  
პრეზიუმი.


სტანდარტიზებული ანგარიში.  
1989 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში  
მოხდარი აშაბის გამოსაძიებლად სსრ  
კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი  
პრეზიუმის მიერ შექმნილი კომისიის თა-  
ვჯედობის ა. ა. სოხაიას მოხსენებიდან:

— „7 აპრილს სსრ ცენტრალურ კომიტეტში სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პოლიტბიუროს წევრის ამხანაგ ლიგაჩოვის ხელმძღვანელობით გაიმართა ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი მდივნების, პოლიტბიუროს წევრების თათბირი თავდაცვის მინისტრის, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით, რომელ-

ზეც მიიღეს გადაწყვეტილება, აღმოეჩინათ დახმარება რესპუბლიკისათვის და გაეგზავნათ იქ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილები ობიექტების დასაცავად და შესაძლო არეულობის თავიდან ასაცილებლად...

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად შინაგანი ჯარების, საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებმა და მილიციის საგანგებო ქვედანაყოფებმა 7 აპრილს იწყეს ჩასვლა ქალაქ თბილისში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აცნობეს, რომ უნდა ემოქმედა შექმნილი ვითარების შესაბამისად. ასეთივე მითითებანი მიეცათ თავდაცვის სამინისტროს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ როდიონოვს. გარდა ამისა, 7 აპრილს თბილისში ჩავიდა სომხეთს მყოფი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალი კონკრეტოვი, რომელიც მონაწილეობდა რესპუბლიკური დონის ყველა თათბირში. სადაც განიხი-

ლავდნენ უსანქციო მიტინგის შეწყვეტის საჭიროებასთან დაკავშირებულ საკითხებს და იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. აქედან გამომდინარეობს, რომ ძალის გამოყენებით მიტინგის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიუღია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, შემდეგ განუხილავს რესპუბლიკის პარტიულ აქტივის და ამავე აქტივის მხარი დაუჭერია მისთვის (მინდა აღვნიშნო ასეთი დეტალი: აქტივის კრებაზე გენერალ კონკრეტოვის გამოჩენას მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვედრიან). ამის შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სხდომა, რომელზეც ასევე განიხილეს ეს საკითხი. ხოლო, რაც შეეხება გადაწყვეტილებას ოპერაციის კონკრეტული გეგმისა და ოპერაციის განხორციელების კონკრეტული დროის შესახებ, იგი მიიღო პირთა ვიწრო წრეში, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის



ყოფილი პირველი და მეორე მდივნები, ამხანაგები პატიაშვილი და ნიკოლსკი, აგრეთვე გენერლები როდიონოვი და კოჩეტოვი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჩაეტარებინათ აღნიშნული აქცია 9 აპრილს დილის 4 საათზე...

ახლა (ვინაიდან ჩემი მოხსენების შემდეგ თქვენ მოისმენთ მთავარი სამხედრო პროკურორის მოხსენებას) მინდა შევეხო უთანხმოებას, რომელიც არსებობს გამოძიების პოზიციასა და ჩვენს კომისიას შორის (ხმაური დარბაზში). ამხანაგებო, მთავარ სამხედრო პროკურორს... ხმაური დარბაზში..."

**შეკრება გამოსვლა სსრ კავშირის ზანდარაღი პროკურორის მოადგილე, მთავარი სამხედრო პროკურორი ა. ვ. კატუნიანი და... აღფრთოვანულმა სახალხო დეპუტატთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დარბაზი დატოვა.**

სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ე. კ. ლიგაჩოვი მაშინ ყრილობაზე არ გამოხატა და თავისი დამოკიდებულება ა. ა. სობჩაკის მოხსენებაში მოტანილი ფაქტებისა და დასკვნებისადმი არ გამოუხატავს.

**შეხვედრის დროს**

**ე. ა. შევარდნაძე** პატივცემულ პოლიტიბიუროს წევრებო!

მე მადლობას გიძღვნი ყველას თქვენ და პირადად თქვენ, მიხეილ სერგის ძე, იმ დიდი ნდობისათვის, რომ დამაწინაურეთ და დამნიშნეთ დიდ თანამდებობაზე — საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში მე მთლიანად და სრულად ვემსახურებოდი ჩემს ხალხს, მჭამდა პარტიისა, ჩემი მუშაობის პერიოდში არ დამიშვია უზუსტობანი და შეცდომები, რომლებიც შეარყევდა პოლიტიბიუროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ავტორიტეტს. პოლიტიბიუროსთან თუ ვინმეს გაქვთ პრეტენზია ჩემს მიმართ, გთხოვთ გამოთქვათ აქვე, ახლავე.

**გორბაჩოვი:** რას ბრძანებთ, ელუარდ ამბროსის ძე, ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენ და თქვენს საერთაშორისო ავტორიტეტს, რისთვისაც მადლობას გიძღვნი.

**შევარდნაძე:** გამადლობთ, მიხეილ სერგის ძე და პოლიტიბიუროს წევრებო. გთხოვთ გამანათავისუფლოთ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, ვინაიდან ჩემი ხალხი ამ ყრილობაზე დამცირებულა და შეურაცხყოფილი. მე მათთან უნდა ვიყო. მე გტოვებთ თქვენ!

**გორბაჩოვი:** ელუარდ ამბროსის ძე! ეს ლალატია მიგვატოვოთ ჩვენ ასეთ წუთებში. მე კი მინდოდა მეტხოვნა თქვენთვის, დაგებრუნებინათ ისინი.

**შევარდნაძე:** მიხეილ სერგის ძე! ვიცნობ რა ჩემს ხალხს, მე მათი დაბრუნება არ შემძლია. მე წავალ და დავრჩები მათთან. მე არასოდეს ვყოფილვარ მოლაღატე და მით უმეტეს ვერ ვულალატებ ჩემს ხალხს.

**გორბაჩოვი:** რა გამოდის, ამხანაგებო? ჩვენ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ. დავიჭერო, გამოსავალი არ არის?

(პოლიტიბიუროს ყველა წევრი დუმს)  
**შევარდნაძე:** მიხეილ სერგის ძე! ვი-

ცნობ რა ჩემს ხალხს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს რწმენა სამართლიანობისა და პირადად თქვენი, გეტყვით, რომ პოლიტიბიუროში თქვენ ერთადერთი ხართ, რომელსაც შეგიძლიათ დააბრუნოთ ისინი. უნდა გადაწყვიტოთ თქვენ და რაც შეიძლება ჩქარა, სანამ გვიან არ არის! ნახვამდის!

**გორბაჩოვი:** მოითმინეთ, ელუარდ ამბროსის ძე! მე მათთან მივდივარ!

**შეხვედრის შემდეგ:**

**მ. ს. გორბაჩოვი:** უწინარეს ყოვლისა, მინდა ყრილობის სახელით მივმართო საქართველოს დეპუტატთა დელეგაციას, რათა მან დაიკავოს თავისი ადგილი და ჩვენ განვაგრძოთ მუშაობა... საქართველოდან წარმოგზავნილ დეპუტატებს (მე ვესაუბრე მათაც და სხვებსაც შესვენების დროს — ჩვენ ვებკობდით ისე, როგორც ჩვენ გვმართებს ვებკობდეთ, — წრფელად და გულახდილად) არ უნდა ვეჭვობდეთ, რომ არა თუ ამ დარბაზში, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანაშიც ქართველი ხალხის მიმართ სხვა ხალხები არ იჩენენ უპატივცემლობას, ეჭვს ან რაიმე უნდობლობას. ამიტომ გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ამ ჩემს განცხადებას (ტაში)"

1990 წელი. 6 თებერვალი.

საკვ ცენტრალური კომიტეტის კლენური.

**ე. კ. ლიგაჩოვის გამოსვლიდან**

— „მე მინდოდა ცეკას წევრებისათვის ერთი ფაქტის თაობაზე შეთქვა. ამასწინათ ჟურნალ „ოგონიოკმა“ მრავალმნიშვნელოვნად გვაუწყა, რომ პოლიტიბიუროს წევრების, ცეკას გენერალური მდივნისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურგსუკან თათბირზე სკკ ცეკაში გასული წლის 7 აპრილს განიხილავდა საკითხებს, რომლებიც საქართველოში შექმნილ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მაგრამ, ცხადია, რომ ამ დონის საკითხებს არ წყვეტს ჯგუფი. ბევრმა ამხანაგმა იცის, რომ იმავე დღეს, მე მინდა ხაზი გავუსვა იმავე დღეს, ესე იგი 7 აპრილს, პოლიტიბიურომ მთლიანი შემადგენლობით მ. ს. გორბაჩოვის, ნ. ი. რიჟკოვის და საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ა. ნ. იაკოვლევისა და ე. ა. შევარდნაძის მონაწილეობით ერთხმად, ხაზს ვუსვამ — ერთხმად, მოიწონა და მიიღო პოლიტიკური რეკომენდაციები, რომლებიც თბილისში მოვლენების განვითარებას შეეხებოდა.“

**ე. ა. შევარდნაძის გამოსვლიდან**

— „რამდენიმე სიტყვას ვიტყვი იაკორ კუზმას ძის გამოსვლასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებისათვის.

არ ვიცი, მას შემდეგ, რაც მოეწყო საპარლამენტო, ოფიციალური, დეტექტიური გამოძიებანი თბილისში მომხდარი ამბების გამო, განსაკუთრებით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რისთვის განდა საჭირო ამ დისკუსიის განახლება.

იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ როგორმე შევეცადო აღვადგინო ჭეშმარიტება, მინდა ვთქვა, რომ პოლიტიბიუროს არა-

ვითარი სხდომა არა ყოფილა, გაიმართა ჩვეულებრივი შეხვედრა აერობორში სხვა საკითხებთან ერთად, მოგახსენებს რომ შემაშფოთებელი დეპუტატების ბული თბილისიდან. ითქვა რომ, დააკმაყოფილეს ქართველი ამხანაგების თხოვნა წესრიგის უზრუნველყოფისათვის საჭირო დახმარების გაწევის, მათ შორის შინაგანი ჯარების იმ ქვეგანყოფილების დაბრუნების შესახებ, რომლებიც დისლოცირებული იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებიც თავის დროზე სომხეთში გადაიყვანეს.

კატეგორიულად ითქვა, რომ გაცემულია გენერალური მდივნის, პოლიტიბიუროს კატეგორიული მითითება საკითხი გადაწყვიტონ პოლიტიკური გზით, პოლიტიკური დიალოგის გზით. ასეთი მითითებანი, ასეთი რეკომენდაციები იყო მიცემული. აი ყველაფერი, რაც აერობორტში ხდებოდა.“

**მ. ს. გორბაჩოვი:** არა, ყველაფერი არა. ჩვენ კიდევ დავაგალებთ ამხანაგ შევარდნაძეს, მთელი მოგზაურობისა და სხვათა მიუხედავად, და ვილაყას კიდევ...

ხმები: რაზუმოვსკის...

**მ. ს. გორბაჩოვი:** რაზუმოვსკის — გაფრენილიყვენ თბილისში.

**ე. ა. შევარდნაძე:** ესეც იყო, ასეთი საუბარი გაიმართა, ქართველმა ამხანაგებმა თქვეს, რომ საჭირო არ იყო ასეთი გამგზავრება. აი მთელი ჭეშმარიტება.

**ი. კ. ლიგაჩოვი:** ელუარდ ამბროსის ძე, ჩვენს შორის არც არის რაიმე წინააღმდეგობა...

**ე. ა. შევარდნაძე:** არა, სულაც არ ვამბობ, რომ არის წინააღმდეგობა.

**მ. კ. ლიგაჩოვი:** მომისმინეთ, რა უნდა მექნა, თუ ოთხმილიონიანი ჟურნალი ამხინჯებს საკითხების არსს? ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ მაქვს შესაძლებლობა გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი. ამასთან თქვენ ყველანი დუმხართ, ძვირფასო ამხანაგებო.

**მ. ს. გორბაჩოვი:** ვფიქრობ, ამით პირველი ნაწილი უნდა დავემთავროთ და წინ წავწიოთ.

**ე. ა. შევარდნაძე:** მგონია, ტყუილად არის ასეთი მტკივნეული რეაქცია აქ. ჯერ ერთი, მე არ ვდუმდი, ახსნა-განმარტებებს ვაძლევდი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისიას, და ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ვთქვი; მეორე, მე თქვენთან დისკუსიას კი არ ვმართავ, არამედ ვსვამ კითხვას, რა საჭირო იყო ამ დისკუსიის დაწყება სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემდეგ.

**ი. კ. ლიგაჩოვი:** იგი მე არ დამიწყია.

**ე. ა. შევარდნაძე:** თქვენ არ გაბრალებთ.

**მ. ს. გორბაჩოვი:** ეს მხოლოდ იმას მოწმობს, თუ რა ვითარებაში ვიბრძვით ჩვენი პოლიტიკის რეალიზაციისათვის და რომ ფრიად საჭიროა შევიწარმოოთ სინდინკე.

19.3.16

საქ. სსრ კ. შარკისი  
სახ. სახ. რესტ.  
ბ. ბაღალი თეძა

## ქართულ-ებრაული ჩანაწერები

ხდება ხოლმე და ამჯერადაც ასე მოხდა. ახალი, 1990 წლის იანვრის პირველივე ორი კვირა სხვაგან გაატარე.

ისრაელი. სტუმარ-მასპინძლობის მიზეზი და შედეგი იქაურ ქართულ-ენოვან ჟურნალისტებთან საპასუხო ვიზიტი იყო.

გაზეთი „ალია საქართველოდან“ გამოცემის მეთექვსმეტე წელი. გამომცემელი და მთავარი რედაქტორი აბრამ სეფიაშვილი. რედაქციის მისამართი: ბათ-იამი, იერუსალიამის ქუჩა, 29.

და კიდევ. მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „დროშა“. გამოცემის მეათე წელი. მთავარი რედაქტორი ზაიმ ხუბელაშვილი. რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: ხოლონი, ალუფევი ცაპალის ქუჩა, 2.

ესე იგი, ქართველ კაცს იქ, ისრაელის ქვეყანაში, მიესვლება. სტუმრადაც მიესვლება და საქმიანი შეხვედრებისათვისაც.

ბევრგან მიესვლება. მე ბათ-იამში, ხმელთაშუაზღვის ამ სანაპირო ქალაქის ერთ მყუდრო სასტუმროში ვცხოვრობდი. ჩემი იქ ყოფნის დროს, სასტუმროს პატრონმა გადაწყვიტა, თავისი ამ საკუთარი სამფლობელოსათვის სახელი გადაერქმია და „თბილისი“ დაარქვა. კაცია და გუნებაო. მე შენ გეტყვი და ვინმესთვის უნდა შეეთანხმებინა ეს გადაწყვეტილება ან ვინმესაგან ნებართვა აეღო. მისია და რასაც უნდა, იმას დაარქვეს.

ბათ-იამში ვცხოვრობდი-მეთქი, უკვე ვთქვი, ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, მაგრამ ახლა რომ ვიგონებ და ვუფიქრდები, იმ ორი კვირის განმავლობაში ნამდვილად მთელ ისრაელში ვიცხოვრე.

- ტელ-ავივი.
- იერუსალიამი.
- ხაიფა.
- იაფო.
- აშდოდი.
- აშკელონი.
- ბეერშევა.
- ეილათი.

და კიდევ ბევრი სხვა. სხვაც ბევრი ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთითაც. იქაც, სადაც „მკედარი“ ზღვაა და წითელი ზღვის იმ სანაპიროზეც, სადაც თავს იყრის ისრაელის, ეგვიპტის, იორდანის და საუღდის არაბეთის სასაზღვრო ზონები.

უძველესი ისტორიული ადგილები, ნანგრევებად შემორჩენილი კაცობრიობის პირველი ცივილიზაციის კერები.

ლი ძეგლები და სასულიერო კულტურის ცენტრები. ჯგერის მონასტერი. გოდების კედელი. გოლგოთა.

ბეთლემი: ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსა... და ახალი, თანამედროვე, ევროპული ტიპის მწვანეში გახვეული თეთრი, ქათქათა ქალაქები, სოფლები და დასახლებები ულამაზესი არქიტექტურით.

უდაბნოში, სილიანი მიწიდან აღმოცენებული თუ ამ მიწაზე დადგმული ზღაპრული სილამაზე.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე აშენდა და გაშენდა ყოველივე ის, რაც ვახე და რასაც ახლაც ვხედავ.

უთუოდ ახლაც და უთუოდ იმიტომაც, რომ სისხლითა და ოფლით მორწყულ იმ გზას მინდა კარგად დავაკვირდე, რომელიც დროის ამ მცირე მონაკვეთში გაიბრინა ისრაელის ხალხმა. ახლა, ისრაელის სახელმწიფო უკვე საკმაოდ ძლიერია ეკონომიკურად და თავდაცვისუნარიანობითაც და მე მინდა რაიმე სასარგებლო დავინახო ჩემთვის, ჩემი ერისა და ქვეყნისათვის. გამოსადეგი, გამოსაყენებელი და პერსპექტიული. დავინახო, გამოვიყენო და გავაკეთო კიდევ დღეს თუ არა, სამომავლოდ მაინც.

ეს არის ჩემთვის მთავარი და არსებითი და ამიტომ არის ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ყოველივე, რაც აღვიქვი, გავიგე და დავიმახსოვრე.

იქნებ ამისათვის ღირდეს კიდევ იქაურობის კიდევ ერთხელ მონახულება.

ვნახოთ. თუ კიდევ ჩავედი, უთუოდ ისევ იქ ვამჯობინებ გაჩერებას: ბათ-იამი, სასტუმრო „თბილისი“.

ახლა კი იმის თაობაზე, თუ რა ვნახე, როგორ აღვიქვი და რას მინდა მივაპყრო ყურადღება ჩვენს სახვალთ სხვაგან.

უწინარეს ყოვლისა, ჩემთვის უკვე ცხადზე ცხადია, რომ თანამედროვე ისრაელის ცივილიზაცია თან მოიტანეს და დაამკვიდრეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან აქ ამოსულმა ებრაელებმა მაროკოდან დაწყებული, ევროპისა და ამერიკის კონტინენტით დამთავრებული. მათ აქ, მსოფლიოს მოწინავე, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან მოიტანეს იქაური ცხოვრების წესი, კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვარი.

ეს არის ერთგულ ნიადაგზე დაფუძნებული გონების, შრომისმოყვარეობისა და კაპიტალის შენადნობი.


ისინი ამ შენადნობით აქ უკვე მზადყოფნის მდგომარეობაში ამოვიდნენ. მათ იცოდნენ, რა ეკეთებინათ და როგორ. ყველამ უცებ მიაგნო თავის კუთვნილ ადგილს ახალშობილ საზოგადოებაში და ენერგიულად შეუდგა დიდი ხნის წინ დაკარგული და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ნაპოვნი სამშობლოს შენებას. ყველაზე უფრო ქართველ ებრაელებს გაუჭირდა. საერთოდ საბჭოთა კავშირიდან ჩასულ ებრაელებს, მაგრამ მე „ალია საქართველოდან“, ესე იგი საქართველოდან ამოსულები მაინტერესებს და აქ გასაკვირი არაფერია. იმიტომაც მაინტერესებს, რომ ის, რაც მათ იქ და მაშინ გაუჭირდათ, შესაძლოა ჩვენც გავვიჭირდეს აქ და ხვალაც.

საქმე ის არის, რომ საკმაოდ რთული აღმოჩნდა ცხოვრების საბჭოური წესიდან სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრებაზე გადასვლა, უკვე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიისა და საქმისადმი გამოუმუშავებული დამოკიდებულების გადალახვა, სხვისი მოიმედების დაძლევა და თავისუფალ საზოგადოებაში, სადაც კონკურენციის უღმობელი კანონები მოქმედებენ, საკუთარი ადგილის მიგნება და დამკვიდრება. ყოველივე ამას ხელს უშლიდა და წინ ეღობებოდა აგრეთვე ენების სრული უცოდინარობა. არ აღმოჩნდა საკმარისი მარტოოდენ ქართული ენის ცოდნა.

მე სწორედ ადაპტირების ამ პირველმა სიძნელეებმა დამაინტერესა ყველაზე უფრო. ესე იგი იმან, თუ ვის რა წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, ხოლო განსაკუთრებით კი იმან, თუ ვინ როგორ შეძლო ყოველივე ამის დაძლევა. შეხვედრები საკმაო მჭონდა როგორც საქართველოდან, ასევე ადგილობრივ, აგრეთვე სხვა ქვეყნებიდან ჩასულ და ახლა უკვე საკმაოდ ცნობილ ბიზნესმენებთან, სპეციალისტებთან, სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეებთან. ისინი გულახდილები იყვნენ, მაგრამ ისიც შევატყვევ, რომ მაინცდამაინც აღფრთოვანებით არ შეხვდებოდნენ ჩვენი საუბრების შინაარსის საბჭოთა პერიოდულ პრესაში გამოტანას მათივე ვინაობის დასახელებით. ამას, ესე იგი საკუთრივ ვინ და რა თქვა, არც ჩემთვის აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ჩემთვის მაინც ის არის, თუ სახელდობრ რა ითქვა სასარგებლო და გასათვალისწინებელი და ამიტომ ვიყოთ დიალოგის მონაწილენი „მე“ და „ის“.

მაშ ასე, ჯერ მე და მერე ის. — ყველაზე უფრო ის მაინტერესებს, თუ რა ხასიათის სიძნეეებსა და წინააღმდეგობებს წააწყდით საქართველოდან, ესე იგი საბჭოეთიდან აქ ჩამოსვლისას და როგორ შესძელით მათი გადალახვა, რამაც თქვენი კეთილდღეობა განაპირობა?

— მართალია გითხრათ, აღარც კი მინდა მაშინდელი ვაჭირების განსენება. საკმაო დრო გავიდა, სანამ ფეხზე დადგომას შევძლებდით. 70-იანი წლების დასაწყისი იყო, ბატონო ჩემო, მაშინ და



პირველი „აღი“, ესე იგი ჩვენი პირველი ამოსვლა. რასაც ახლა ხედავთ, მაშინ არაფერი ამის მსგავსიც კი არ იყო ჯერ. უდაბნოში ამოვედით. სილიან მიწაზე მიწურები იდგა. საცხოვრებელი, სასმელ-საჭმელი, ჩაცმა-დახურვა, სამუშაოც კი... ყველაფერი ჭირდა მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და მთავრობა ძალიან გვეხმარებოდა. შავ მუშად ვიმუშავე, მტერთავე ვიყავი ნავსადგურში. პატარა ბავშვების პატრონს მათი გამოკვებაც კი მიჭირდა.

— ნუთუ, მართლა ასე იყო?  
 — ნამდვილად. თავ-ბედი კინალამ დავიწყებელით, ისეთ დღეში ვიყავით, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო. ნებისყოფაა საჭირო, ბატონო, და ჭირსა შიგან გამაგრება. მაინც საკუთარ სამშობლოში ვიყავით და თავისუფლად ვსუნთქავდით. ეს თქვენ პატარა საქმე ნუ გგონიათ. ვმუშაობდი, ვსწავლობდი კიდევ. სამხედრო სამსახურიც გავიარე. ომში ვიყავი. ენა ვისწავლე — ებრაულიც და ინგლისურიც, ხელობაც. ახლა მდიდარი კაცი ვარ. ძალიან მდიდარი. ამას წლები დასჭირდა. ერთბაშად არაფერი მოდის. აქ კაცმა ტვინი უნდა გაანძროს, ხელიც და ფეხიც. ისე არაფერი გამოვა. თავისთავად არც არაფერი ხდება.

— უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება. თქვენ ახლა ისიც იცით, ჩვენთან რა იყო და არის და ისიც, აქ რაა და როგორაა. ყველაზე უფრო სწორედ ეს მაინტერესებს. შედარებითი ანალიზი და შეფასება.

— აბა, რა გითხრათ, არ გეწყინოთ კია. თუმცა ჩვენც იქიდან არა ვართ ამოსულნი? აი, რა არის, ჩემის აზრით, მთავარი. თქვენ ახლა ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისათვის იბრძვით. ჩვენ, ყველანი, ყურადღებით ვადევნებთ თვალ-ყურს, რაც თქვენთან ხდება და ძალიან გვინდა, რითაც შეგვიძლია, დაგეხმაროთ.

— მაგალითად.  
 — კიდევ უნდა გავიმეორო, არ გეწყინოთ.  
 — არ მეწყინება. პირიქით, მადლობელი დაგრჩებით.

— საქმე ის არის, რომ ჯერ-ჯერობით თქვენ მზად არა ხართ საიმისოდ, რომ უცხოურ კაპიტალთან პირდაპირი კავშირი დაამყაროთ და არც ჩვენ გვინდა ტყუილა დაეკარგოთ დრო. გადავეჩვიეთ უკვე დროის ფუჭ ხარჯვას. აქ დრო ფული ღირს. დიდი ფული და ამიტომ, უნაყოფო, უშედეგო მოლაპარაკებებსა და ჯარივებებზე არავინ წამოგყვებათ. მე ვიცი, რა მიზანსა და ისიც, თუ როგორ და რა გზით მივალფიო მიზანს, თქვენ-არა. ერთი დღის საქმეს თქვენ თვეებს ანდომებთ და ხშირად უშედეგოდაც. სხვადასხვა დონის გაუთავებელი შეთანხმებები თქვენ ავტორიტეტს დაგიკარგავთ და ნდობასაც. აქ კი, ჩვენთან და სხვაგანაც, ყველგან საქმიანი სიტყვის კაცი ფასობს. სიტყვის შემსრულებელი კაცი. მააბატი და ფულის შოვნის თქვენებური „ჩალიჩი“ აქ სრულიად გამოუსადეგარი რამაა. აქ არ შეიძლება რაიმე მოიპარო, მითითვოს, სიყალბე ჩაიდინო. საკუთარ თავს ხომ არ მოპარავ და სხვა კი კაპიტალს არ შეგარჩენს. თავდაპირველად აქ ყველაზე უფრო იმას გაუჭირდა, ვინც შეჩვეული ხელით ერთბაშად მოინდომა ფულის შოვნა და გამდიდრება. არაფერი გამოვიდა. კაცი რომ საქმეს ხელს მოკიდებ, იმ საქმეს გაძლოა სჭირდება, ჭკუა უნდა ატანო საქმეს და მრუდე ხელის პატრონის კი არა, საქმიანი კაცის სახელი დაიმკვიდრო. თქვენ კაპიტალისტი ჭურღ-ბაცაცა ნუ გგონიათ. აქ საქმიანი პარტნიორი ფასობს და პატიოსანი, სანდო კაცის სახელის მოპოვებას ოფლისმღვრელი შრომა სჭირდება.

— საინტერესოა და, თუ შეიძლება, კიდევ უფრო კონკრეტულად.

— კი, ბატონო! მე, მაგალითად, ახლა და ამჯერად, დაწყებისათვის მაინც, შემიძლია რამდენიმე ქართული ახალგაზრდა წამოვიყვანო აქ, სხვაგანაც და ჩემ ხარჯზე ვაცხოვრო. ვასწავლო ყველაფერი, რაც საჭიროა და ისე დაგიბრუნოთ უკან, მაგრამ ერთი რამის მაინც მეშინია.

— სახელდობრ რისი, ან რატომ?

— იმისი, რომ თქვენ ამ ახალგაზრდებს პროტექციით შეარჩევთ. ეს იმის შვილია, ის ამის ძმისშვილია და ა. შ. მე კი ენების მცოდნე ნიჭიერი ახალგაზრდები მჭირდება და ისინი მე თითონ უნდა შევარჩიო. ჩემს მიერ მოძიებული მონაცემების მიხედვით, პასუხი-გამომადგებელი ისინი მე თუ არა — კომპიუტერმა უნდა მომცეს. აი, რაშია საქმე. საქმისა და შვილებისადმი, ესე იგი ახალგაზრდობისადმი მიღგომა გვაქვს განსხვავებული. ჩემი ვაჟი ლონდონში სწავლობს საექიმოზე და თავისუფალ დროს მუშაობს საავადმყოფოში. შემეძლო მანქანა მეყიდა, ბინაც, მაგრამ საერთო საცხოვრებელშია და ავტობუსით მგზავრობს. აქ, ჩვენთან ცხოვრების სულ სხვა წესია. რომელი სჯობია, თავად განსაჯეთ.

ამ საუბარმა, რომელმაც კარგა ხანს გასტანა, ცუდ გუნებაზე დამაყენა და ბევრი საფიქრალიც გამიჩინა. იმიტომ რომ, ეს გულანხდელი კაცი, რომელსაც მართლაც უნდა და შეუძლია კიდევ უანგარო სამსახური გაუწიოს მისთვის მშობლიურ საქართველოს, სრულ სიმართლეს მეუბნებოდა. თავდაც ბევრი რამ კარგად ვი-

ცი, მაგრამ იმან უფრო დამაფიქრა, რომ სხვებიც დაახლოებით იგივეს იმეორებდნენ სხვადასხვა გარემოებებსა და ვითარებებში თან დაკავშირებით.

ახლა კი, როცა მარტოდ დავრჩი, უკვე ჩემთვის ვმსჯელობ და შესაძლოა სუბიექტურადაც ვკვრეტ ჩვენს სამომავლო გზას.

მართლაცა, დამოუკიდებლობა, თუნდაც ეკონომიკური, ჩვენ რომ თვითნაზღაურებას და თვითდაფინანსებას ვეძახით, განა გარე სამყაროსაგან მოწყვეტას და იზოლირებას ნიშნავს? რაიმე რომ იყოს, რალაც კიდევ უნდა გაყიდა, მაგრამ ეს რალაც ისეთი უნდა იყოს, რომელსაც სხვა იყიდის. ამის გარეშე შენ არაფრის მყიდველი და შემომტანი არა ხარ. ეს ეკონომიკური ურთიერთობის ანა-ბანაა. ასეთივე ანა-ბანაა ისიც, რომ ნებისმიერ პროდუქციას ადამიანები ქმნიან. სულ არ არის საჭირო სადმე წასვლა და ვისიმე ნათქვამის მოსმენა იმისათვის, რომ ერთი რამ ჭეშმარიტება ირწმუნო. კერძოდ, ყოველი რეალური და ნამდვილად სუვერენული სახელმწიფოს სახალხო მეურნეობას, მეცნიერებასა და კულტურას, ყველგან და ყველაფერს მაღალი პროფესიული კულტურის ადამიანები ესაჭიროება. სულერთია, ექიმი ხარ თუ მასწავლებელი, ინჟინერი თუ აგრონომი, მეღვინე თუ სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკის ან ჩარხმშენებელი ქარხნის მუშა. და კიდევ მიწის მუშა-გლეხი.

ხარბი კაცი არა ვარ, მაგრამ ნამდვილად შეგხარბა ის დიდი მონღოლები, შრომისმოყვარეობა და უნარი, რომელსაც იქაური ახალგაზრდობა სწავლასა და შრომაში იჩენს. ბევრი მათგანი ერთდროულად სწავლობს და მუშაობს კიდევ. მათ იციან და შეგნებული აქვთ, რომ მაღალი პროფესიონალიზმის გარეშე აქ თავს ვერ გაიტან — „პროტექცია“ აქ არ გაჭრის. თითონ და მხოლოდ შენ შეგიძლია დაიმკვიდრო ის ადგილი, რომელსაც მოთხოვებ საკუთარი ცოდნით, შრომითა და ჯაფით. ზოგს დაავიწყდა და ახლა არც ალა-რაგინ იცის იქ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ხალტურა“. არც არავინ „იბრძვის“ პროდუქციის ხარისხისათვის: უბრალოდ ის არის, რომ მდარე ხარისხის არაფერი გაიყიდება — არც სასმელ-საჭმელი, არც ტანსაცმელი, საერთოდ არაფერი.

მოგონებების ბურუსში მარტოდ დარჩენილი, მე დღეს იმაზე ვფიქრობ, რომ სწავლასა და შრომაზე გულაცრუებულებს, ჩვენ რას გვარგებს დამოუკიდებელი საქართველოსათვის მარტოდენ მოწოდებებით ბრძოლის გზა. მე მაინც მგონია, რომ ამასთან ერთად, ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის აქტიურობა მონაწილეებმა მოკლე დროში და მკვეთრადაც აიმაღლეს პროლიტარკური კულტურა, ახალგაზრდობაზე თავისი გავლენა დარგობრივი პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის ზრუნვაშიც უნდა გამოავლინონ.

ასე მგონია მე.

ახლა, როცა ჩემს „ებრაულ ჩანაწერებს“ ვფურცლავ და მათთან ქართული ჭირ-ვარამის შეზავებას ვცდილობ, თვალწინ მიდგას საცხოვრებელი სახლების სახურავებზე მონტირებული მზის სხივების ამრეკლი „სარკები“, რომელთა მეშვეობითაც ბინები თბება.

მზის ენერჯის გამოყენება.

ქარის ენერჯის გამოყენება.

სარწყავი სისტემის გამოყენება.

ყველაფერი ეს უკვე დღეს გვჭირდება ჩვენ, ზოგიერთი სხვა რამეც. მაგალითად, რა გზითა და როგორ აღწევნ უდაბნოს სილიან მიწაზე წელიწადში ორი-სამი მოსავლის მიღებას და აღებას? იმის გაგება, თუ რატომ ღებს იქაური ქათამი უფრო მეტ კვერცხს, ვიდრე ჩვენი „დედალი“? ან რა ძროხაა ისეთი, რომ წელიწადში ცხრა-ათ ათას ლიტრა რძეს იწველის უდაბნოდ გაჩენილ მიწაზე? კითხვა და პასუხი:

— რას წარმოადგენს თქვენებური „კობუცი“, ესე იგი ჩვენებურად სასოფლო-სამეურნეო არტელი ან კომუნა, კოლმეურნეობა და საერთოდ კოლექტივი?

— „კობუცი“ ჩვენებურად შეკავშირებას, შეჯგუფებას — და, ესე იგი, კოლექტიურ შრომას, ერთად ცხოვრებას ნიშნავს. ასეთი მეურნეობები მთელ ისრაელში 270-მდეა და თითქმის 170 ათას წევრს ითვლის. პირველი ასეთი „კობუცი“ 1926 წელს დაარსეს აქ ლიტვიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა, შემდეგ მათ რუსი და გერმანელი ებრაელები შეუერთდნენ. ეს აქ იყო, ამ სოფელში, სადაც თქვენ ახლა იმყოფებით და მას „ბრენერის ბორცვი“ ეწოდა. ხედავთ ბორცვებს? მერე თანდათან მოიკიდა ფეხი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასეთმა ფორმამ. აქ ყველაფერი საერთოა და მოქმედებს პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით და თითოეულს საჭიროების ანუ მოთხოვნილების მიხედვით“.

— ესე იგი, სოციალიზმის პრინციპით ხელმძღვანელობთ?

— რაც გინდათ ის დაარქვით. ისე კი, მართლაც არის რალაც მარქსისტული მოძღვრებიდან, მაგრამ თქვენგან განსხვავებით აქ ყველაფერი ნებაყოფლობით, ჰუმანური და დემოკრატიულია.



ვისაც რა და როგორაც შეუძლია იმას აკეთებს, შემოსავალი კი თანაბრად ნაწილდება. უბირატესობა არავის ეძლევა. საერთოა და უფასო კვება სასადილოში, აგრეთვე სამედიცინო და ყოველგვარი სხვა კომუნალური მომსახურება. გვაქვს ჩვენი საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, სკოლა, კლუბი, სპორტული მოედნები, საცხოვრებელი სახლები. ყველაფერი, რაც გვინდა და გვჭირდება. შე- მოსავალი კარგი გვაქვს.

— საიდან?

— როგორ თუ საიდან, მეცხოველებობისა და მეფრინველეობის ფერმაზე. ბამბა, ციტრუსები, ვენახი, ხილი. ბოსტნეული. საყვავილე მურჩაობა. ვყიდით რძეს, ჩვენსავე გადაამუშავებულ დაწარმოებში დამზადებულ წველებს, ყველაფერს, რაც არ გვჭირდება საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. მუდმივი მომხმარებელი გვყავს.

— კი მაგრამ, რატომ არჩიეთ ცხოვრებისა და შრომის ასეთი, კაპიტალიზმისაგან განსხვავებული, წესი?

— ეს ჩვენი იდეური მრწამსია, ჩვენი, ასე ვთქვათ, მსოფლმხედველობა და მიგვაჩნია, რომ ეს წესი უფრო სამართლიანია, ვიდრე კაპიტალისტური სისტემა. ჩვენთან თავისუფალი საზოგადოებაა და ვისაც როგორ მოსწონს, ისე ცხოვრობს.

— გასაგებია, მაგრამ ჯიბის ფულს რომ ეტყვიან, ის მაინც არ ეძლევათ კიბუცელებს?

— როგორ არა, ეძლევათ. აქ მალაზიებიც გვაქვს და ვისაც უნდა სარგებლობს. ჩვენ შორის რამდენიმე პროფესორიცაა და და ერთი მინისტრიც. მათ თავისი ხელფასი ჩვენს საერთო სალა- როში შემოაქვთ და თავისუფალ დროს აქაც მუშაობენ შეძლე- ბისდაგვარად. ცხოვრებითაც აქ ცხოვრობენ. თხუთმეტი წლის ასაკიდან ახალგაზრდები ოჯახიდან მიდიან და ერთად ცხოვრობენ ცალკე შენობაში — საერთო საცხოვრებლის მსგავს სახლში, ხოლო 18 წლიდან კი თითონ გადაწყვეტენ დარჩენ „კიბუცში“, თუ სხვაგან წავიდნენ, თითონ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება. თუ ვერ მოაწყვენ — შეუძლიათ დაბრუნდნენ. აი, ასეა ჩვენთან და მოგაწონს ჩვენ ასეთი ცხოვრება.

მოსწონთ კიბუცელებს მათ მიერ არჩეული ცხოვრების წესი და ედავე თუ გინდა. ადამიანურ სინდისზეა ჩვენთან ყველაფერი დამოკიდებული — ამბობენ ისინი და ასეა უთუოდ. აქ რომ შრომის ნაყოფიერება ძალზე მაღალია, ამას ისიც ადასტურებს, რომ მეურნეობის მუშაკთა მხოლოდ 25%-ია დაკავებული მწარ- მომზადებელი შრომაში, დანარჩენი 75% კი მოსამსახურე პერსონალია. ამიტომაცაა ასე განვითარებული აქ სოციალური სფერო, სადაც ადამიანისათვის საჭირო, უკლებლივ ყველა სახის მომსახურება სანიმუშოდაა დაყენებული. დონეა სხვა, თორემ რაღაცაში ზოგი- ერთი ჩვენი მოწინავე და მდიდარი კოლმეურნეობაც კი მომაგო- ნდა. ამიტომ ვიფიქრე, რომ იქნება ღირდეს იქაურთა რომელი- მე ჩვენმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეებაც მოინახულოს.

მე მაინც ჩემსას გავიძახი: „წინ იყურე“ — თქო და იმას ვცდი- ლობ, კიდევ რამეც სასარგებლო და ჰკეთის სასწავლი ამოგაჩინო იქ, სადაც ალაგ-ალაგ ბედუნიები ახლაც სახლობენ, რადგან ჯერ კიდევაა დარჩენილი „აუთვისებელი“ უდაბნო, სადაც სულ მალე თანამედროვე ცივილიზაცია იბატონებს.

წინ იყურე!

მე, პირადად, არცთუ შორეულ მომავლად მესახება უცხოურ კაპიტალთან ჩვენი შეხვედრა, კონტაქტები, საქმიანი ურთიერთო- ბა. მაგრამ როგორ და რა გზით? ქართველი კაცი მიედ-მოედება ხოლმე და ბოლოს ხელკარიგლით შეიძლება დარჩეს. იქნებ ამჯე- რად მაინც აჯობოს ერთი შეუამავალ კომპანიასთან დაკავშირება და მისი მეშვეობით ადგილობრივ, აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ფირმებსა და კომპანიებზე გასვლა, რომელთა ბევრი წარმომად- გენელია ისრაელში აკრედიტებული. ეს მით უფრო სანდო გზად მეჩვენება, რომ ამ შეუამავალ კომპანიის სათავეში ჩვენგან წასუ- ლი ამჟამინდელი ბიზნესმენებიც არიან. მათ ჩვენი ავბედითი რეალობაც იციან და იქაური ადათ-წესებიც საკმაოდ კარგად აქვთ ათვისებული.

ახლა და ამიტომ ისევ „მე“ და ისევ „ის“, მაგრამ უკვე სხვა „ის“.

ხოლო ამჯერად, ჯერ „ის“ და მერე „მე“.

— გაუქვითს გატეხილი სკობილო, ნათქვამია და უნდა გი- თხრათ, რომ საგრძნობლად იმატა თქვენგან ჩამოსულთა რიცხვმა. ეს ჩვენ ყველას გულწრფელად გვახარებს, მაგრამ ერთია მონა- ტრებული სტუმარ-მასპინძლობა, ხოლო სულ სხვაა საქმიანი ურ- თიერთობა. დრო კია, რომ სწორედ ასეთი ურთიერთობების და- მყარებასა და განმტკიცებაზე ვიზრუნოთ ჩვენც და თქვენც.

— საინტერესო თემაა და, ყურადღებით ვისმენთ.

— საქმე რაშია, იცით. როცა ვისიმე მოწვევას მიიღებთ და წამოსვლას გადაწყვეტთ, გაიკითხეთ ვინ არის ის, რის მაქნისია და რა შეუძლია აქ. ეს ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობებს არ ეხება. ეს მათი პირადი საქმეა, მაგრამ, როცა, მაგალითად, კაცი რომელიმე ცნობილ მსახიობს იწვევს და მისი ღირსეულად

მიღების თავი კი არა აქვს, ეს ჩვენი სირცხვილია და ან თქვენ... რა შთაბეჭდილებით დაბრუნდებით შინ. არ ვარგა ასე. [წინასწარ] ასეთ შემთხვევებს, სამწუხაროდ, უკვე ჰქონდა ატეხილი [წინასწარ]

— მართლაც სამწუხაროა, მაგრამ რა ეშველება ამას?

— შევლებით ყველაფერს ეშველება. უბრალოდ მეტი სი- ფრთხილვა საჭირო და დანარჩენი თავისთავად მოგვარდება.

— ასეა ალბად. ეს მაინც პირადული საქმეა და ცალკეული შემთხვევები. მე უფრო საქმიანი ურთიერთობის სფერო მაინტე- რესებს.

— კეთილი. მე თუ მკითხავთ, საქართველოს მთავრობასთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის რაიმე ჯგუფი ან კომისია საჭირო შეიქმნას დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყე- ბების კომპეტენტური წარმომადგენლების მონაწილეობით. ასე- თი ორგანო კოორდინირებას გაუწევდა ამ საქმეს. იგი სათანადოდ უფლებამოსილ პირებს მოაუწენდა ჩვენთან სავსებით კონკრე- ტულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად და მათ გადასაწყვეტად.

— თქვენთან?

— დიახ, ჩვენთან და ჩვენგანაც თქვენთან. ჩვენ მათ შეგვი- ძლია რეკომენდაცია გაუწიოთ ნებისმიერ უცხოურ ფირმასთან ან კომპანიასთან, გარკვეული გარანტიაც მივცეთ მათ, რასაც აქ აქვს მნიშვნელობა. გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა ხასი- ათის მასალები, დოკუმენტაცია მომართვა თუ თხოვნაა საჭირო, და ისიც, თუ რა ენაზე მოვამზადოთ ყოველივე ეს. აქაც არია თავისებური „ბიუროკრატია“, მაგრამ საქმიანი.

პრობლემები, პრობლემები, პრობლემები!..

მე დიდი უწყება-დაწესებულებები ვიცი, სადაც არც ერთმა თანამშრომელმა უცხო ენა არ იცის და მათი ხელმძღვანელებიც, რომლებსაც ვერცერთ უცხო ენაზე ვერ დაელაპარაკები.

იქ?

იქ ეს პრობლემა თითონ ახალგაზრდობამ მოხსნა. ბევრი სხვა. მთვრალი კაცი არ მინახავს. არც აყალ-მაყალის მომსწრე ვყოფილვარ მიუხედავად იმისა, რომ ყოველი პარასკევი დღის მეორე ნახევრიდან შაბათის ჩათვლით თველი ახალგაზრდობა თითქმის დღესაც და ღამესაც ქუჩაში, კაფე-რესტორნებსა და პარკებში ატარებს. სიცილ-ხარხარი, ხმამაღალი ლაპარაკი, ჯგუფ- ჯგუფად სიარული... აქ, არავინ „იბრძვის“ დისციპლინისა და წესრიგის დაცვისათვის. პოლიციელსაც კი ვერ მოკვარი თვალი. ყველგან ყველაფერი რიგზეა. იდეალური სისუფთავე, მშვიდი და მოლიმარი სახეები.

მოდი და, ნუ შეგეხარება, როცა აქ თითქმის ყოველდღე გესმის, რომ ვიღაც სცემეს, გაძარცვეს, დასჯრეს და სიცოცხლე- აც კი გამოასალმეს. ერთმანეთს კლავენ ქართველი ახალგაზრდე- ბი.

განა ეს არ არის ეროვნული ხსნის მტკივნეულზე მტკივნეუ- ლი პრობლემა და ერის სიჭანსადისათვის ზრუნვის უპირველესი საგანი?

ან საოცრად მომრავლებული სხვადასხვა ახალგაზრდული ასოციაციების, კლუბებისა და გაერთიანებების საზრუნავი არ უნდა გახდეს სწავლისა, შრომისა და სპორტისადმი ახალგაზრ- დობის შემობრუნება?

საერთაშორისო ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკუ- რი ურთიერთობაც ხომ თავისთავად არ იბადება. ასეთ ურ- თიერთობას ადამიანები ამყარებენ. კარგად მახსოვს, რო- გორ ჩაეყარა ამ ათიოდ წლის წინ საფუძველი თურქული, სპარ- სული და არაბული ენების შესწავლას ჩვენს ზოგადსაგანმანათ- ლელო სკოლებში. ახლა? ინგლისური, ფრანგული და გერმ- ნული ენების ცოდნასთან ერთად, დღეს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აღმოსავლური ენების შესწავლასაც. ვინ ზრუ- ნავს ამისათვის და რა კეთდება სამომავლოდ?

ისრაელი მე იმიტომაც მაინტერესებს, რომ მისი დახმარებით საერთაშორისო ბაზარზე გასვლისა და სხვა ქვეყნებთან მრავალ- მხრივი ურთიერთობის დამყარების რეალური შესაძლებლობები იქმნება. ეს კი, თუნდაც პირველი ნაბიჯების გადღგმისათვის, ცოტა როდია.

რა ვქნათ და რა მოვიმოქმედოთ?

არსებობს საერთაშორისო ბანკი, რომელიც ჩვენ შეიძლება ვამოვიყენოთ, მაგრამ რა გზითა და როგორ, ამის თაობაზე აქ არავინ არაფერი იცის.

არსებობს ტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივები. მაგრამ არც ამაზე ზრუნავს ვინმე რეალურად, კონკრეტულად.

ახალგაზრდა, ნიჭიერი, განათლებული და უცხო ენების მცო- დნე შრომისმოყვარე ახალგაზრდობა გვჭირდება ჩვენ დღეს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საზრუნავია ესეც. ზოგიერთი კიდევ სხვაც არის მოსაფიქრებელი და გასაკეთე- ბელი.

წინ იყურე!



# ...და ვკოცნი ვარსებს



ლეილა კაჭარავა მოსწავლეებთან

ნათელა გიორგობიანი

ერის ძალა. მისი მომავალი და სიცოცხლე ქალის ხელშიაო, უთქვამს ბრძენ კაცს. ქალმა — დედამ, აღმზრდელმა, მეგობარმა, ახლობელმა რომ არ დაკარგა ეს სანუკვარი თვისება, იქნებ იმიტომაც დუმოლშიც დულდა თითქოს მიძინებული, ბედს დამორჩილებული ერი. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ის, რაც ახლა ასე თვალსაჩინოა და საამაყო.

საქართველოში ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომელნიც აცოცხლებდნენ, ახარებდნენ სიცოცხლის აზრის კეთილ ნერგს. ისინი უჩინარნი არიან, უხმაურონი, არ ილტვიან უზრუნველი ფუფუნებისაკენ, თავისებურად ესმით სილამაზე, სიყვარული, სიკეთე...

ერთ-ერთი მათგანის შესახებ მოგიტხრობთ. მას უკვე გაერია თმაში ჭალარა, თუმცა ორმოცდაათიან წლებში რომ დადიოდა თბილისის ქუჩებში ისევ იმ გოგოს თვალებით უყურებს სამყაროსა და ადამიანებს. ისევ ისეთი მიმნდობია და სათნო. დრომ ვერ გააუხეშა მისი სული...

ლეილა კაჭარავა — ეს სახელი უახლოესია მისი მოსწავლეებისათვის, სამხატვრო აკადემიის ყოფილი სტუდენტებისათვის, უნივერსიტეტელთათვის.

სიყვარული აბსტრაქტული ცნებააო, გვასწავლიდნენ. ლეილა კაჭარავას მოსწავლეები და სტუდენტები კი რატომღაც სრულიად რეალურად, ხელშესახებად, განიფთვებულად ხედავენ და გრძობენ მას. მათ თვალწინ აბსტრაქტული კონკრეტულად იქცევა.

იგი მეორეკლასელსაც ასწავლის, მეექვსეკლასელსაც, მეთექვსეკლასელსაც. ლექციებსაც კითხულობს უნივერსიტეტში.

— ძნელია თუ არა, რომ ერთი დღის განმავლობაში პატარასაც შეხვდე, საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეებსაც და სტუდენტსაც? არა. ჩემთვის ეს ერთი და იგივე ჯაჭვის რგოლებია, ოღონდ არც ერთი მათგანი არასოდეს ჰგავს და ემთხვევა მეორეს. ერთსა და იმავე კლასშიც არ შეიძლება ორი გაკვეთილი დაემსგავსოს ერთმანეთს...

ყოფილი სტუდენტის მოგონებიდან:

— მაშინ სამხატვრო აკადემიაში კითხულობდა ლექციებს. მე ცხოვრებისაგან დაღლილი, მისაღები გამოცდებისაგან მრავალგზის გატანული კაცი ვიყავი უკვე, სტუდენტი რომ გავხდი. შემოვიდა აუდიტორიაში ლეილა კაჭარავა და თანდათან სულ სხვად ვიქცევი. გალღვა გაყინული გული.

ერთი ასეთი ისტორია მეც მახსოვს, — ამბობს ლეილა მოსწავლეებელი, — იჯდა

ახალგაზრდა კაცი ლექციაზე. თითქოს იყო და არც იყო იქ. ფანჯარაში იყურებოდა. სულ მტანჯავდა ის აზრი, რომ იგი ვერაფრით დავაინტერესე. ერთი მიკვირდა, რატომ არ აცდენდა ლექციას, მე ხომ „არას“ არ ვწერდი.

და აი, მივეცი ჯგუფს ჩათვლა. მაშინ რუსთაველი სისხლიანი არ იყო და ფეხით მომინდა პროსპექტზე გავლა. მითუმეტეს, მეორე დღეს საავადმყოფოში ვწვებოდი, შეუძლოდ ვიყავი.

უცებ ვგრძნობ, ვილაცა მეწევა. მივიხედვი, ის სტუდენტი, სულ ფანჯარაში რომ იყურებოდა. მეუბნება:

— თქვენ ახლა მიდიხართ. შეიძლება, ველარც გნახოთ. მე კი არ შემიძლია, არ გითხრათ, რომ თქვენთან შეხვედრის შემდეგ მეორედ დავიბადე...

მაშინ უბედნიერესი ქალი ვიყავი.

თაობათა ყოველგვარი დაპირისპირების წინააღმდეგია. თუ სიტყვა ჩამოვარდა მათა და შეილთა რაიმე ბზარზე, მაშინვე ილიას მოიშველიებს. მთავარია მარტო ის, გუშინ რას ვდევდით ძველნიცა და ახალნიცა და დღეს რასა ვდევთ, რას ითხოვდა წინა-დღე და რა პასუხი მისცა დღევანდელმა...

როგორც ახალგაზრდობის მოამაგეს, მიაჩნია, რომ საქართველოს საოცნებო მომავალს უკიდევანოდ განათლებული ადამიანები სჭირდება. მას კიდევ სწამს, რომ თითოეულმა ქართველმა ახლა უნდა შეიმუშაოს თავისი სამოქმედო პროგრამა, ყველამ უნდა იცოდეს, რა გააკეთოს, რომელია ის საქმე, რითაც უკეთ წაადგება საქართველოს, უმჯობესი იქნება მისი მომავლისათვის.

ერთ-ერთი ჩვეულებრივი გაკვეთილი. მოსწავლე დაფაზე წინადადებას წერს გრამატიკული გარჩევისათვის. მასწავლებელს შესძრავს მოსწავლის გამოგონილი პოეტური ფრაზა და გრამატიკის გაკვეთილი უმაღლდება შემოქმედებითი აზრის ასპარეზი:

— ბავშვებო, ხედავთ, რა სტრიქონია, ლექსის უმშვენიერესი დასაწყისი. აბა გავაგრძელოთ! მაშინვე პირობითი ხდება საკლასო ოთახის ჭერი, კედლები... პოეზია ეუფლება ყველაფერს:

... და ვკოცნი ვარდებს, მე თქვენ მიყვარხართ!..

ერთ-ერთი მოსწავლე ასრულებს სახელდახელოდ შეთხზულ სტროფს. ამ წუთში კაბუქში აფეთქდა ქართველი რაინდი და ჩვილა აიტაცა.

... და რაინდებმა ქედი მოიხარეს ქართველი ქალის კდემამოსილების წინაშე.

ეტიუდი

## ნუთუ?!

ათი წელი ერთ მერხზე ვისხედით. ჩერ კიდევ ეკვხი წლის გოგონებს უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის... გახსოვს, ჩანთიდან როგორ დავაძვრენდით ბოლომე პაწია ფუთას? საგანგებოდ გადნახულ ვაშლს ან ნამცხვრის ნაჭერს ვთავაზობდით ერთმანეთს.

მერე საიდუმლოც გავგვიჩნდა... განმარტოება შეგვიფარდა, ჩურჩული... ერთად ყოველთვის ვიმარჯვებდით.

ბოლო ზარი. ცრემლები. ფართო ხავალი გზა. თურმე ეკლიანი. ფრენის დაუოკებელი სურვილი... პირველი გაკურა პაერში და... ემ, მაშინ ფრთამოტეხილები დავეშვით ინსტიტუტის კარებთან, დიდი, უანგინი ბოქლომი რომ ეღო...

პირველი ხელფასი. სად წავიდეთ? სად აღვნიშნოთ? რა თქმა უნდა, „ლალის წულეხს“ შივაშურეთ, სადაც ნახევარი მოწაფეობა გვაქვს გატარებული...

შერე? მერე რაღაც მოხდა, სულ რომ არ გვიფიქრია, ისეთი. შენ სადღეოდღო კაბა ჩაიცვი. თვალს ვერ გაშორებდი, ისეთი პატარძალი იყავი. მეც იქვე ვიდექი, შენ გვერდით, მაგრამ... ვგრძნობდი, როგორ მიჭროდა ჩვენი ბავშვობა, ის, რაც ორივეს გვეკუთვნოდა და ახე მვირფახი იყო ჩვენთვის...

ნუთუ?!

მანია ლენისაძე,  
საქართველო



ნუნუ აუკარიშვილი

# საქველმოქმედო კლუბი „სიკეთე“



უსთაველის გამზირიდან გადავუხვიე და ალექსანდრე ჭავჭავაძის აღმართს დავადექი. უცნაური ღელვა დამეუფლა, როცა ყოფილი ქალთა სასწავლებლის, ამჟამად კი ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის კარის ზღურბლს გადავაბიჯე. პირისპირ უნდა შევხვედროდი იმ ქალიშვილებს, რომლებსაც, სხვებთან ერთად, კარგა ხანია ვიცნობ თავიანთი უანგარო და კეთილი საქმეებით. ეს ნაცნობობა კი ამ რამდენიმე ხნის წინ შედგა ტელევიზორის ეკრანიდან, როცა ტალიაშვილების ოჯახს მეთერთმეტე ქალიშვილი მოვევლინა... გულიყო ტალიაშვილს გული საგულეს ჰქონდა, რადგან შინ დარჩენილი მისი ათი გოგონა საიმედო ადამიანების ხელში იყო.

\*\*\*

სასწავლებელს მეთხუთმეტე წელია თამარ გოზალიშვილი ხელმძღვანელობს. მეტად რთული და საპატიო მისიის წინაშე დგანან ქალბატონი თამარი და მისი პედაგოგები — აღზარდონ პატარების სულს მესაიდუმლენი.

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი — ასე ჰქვია მათ სპეციალობას. შემთხვევითი როლია სასწავლებელი იაკობ გოგებაშვილის, ბავშვების უძვირფასესი მოძღვრისა და მასწავლებლის, სახელს რომ ატარებს.

სასწავლებლის მომცრო ოთახში ტელეფონი რეკავს. ყურმილს მორიგე გოგონა იღებს:

— საქველმოქმედო „სიკეთის“ კლუბი გისმენთ!

— ....  
— ახლავე მოვდივართ!

და თითქოს ნათლად ვხედავ, როგორ ჩნდება იმედის ნაპერწკალი ყურმილს მიღმა მომლოდინე ადამიანის თვალებში.

აქ კი, სამორიგეოში, ერთმანეთს ცვლიან სასწავლებლის სტუდენტები: ლელა ცუცხუბაია და თამარიკო ბუბუტეიშვილი, ქეთინო მიქოიანი და ეკა ელგანდარაშვილი, ირმა სირგინავა და ეკა პერტაია, ფატი პირველი, ნატა ბროძელი, ნათია ჯანაშია, მაია კაბოსნიძე და მაია ფრიდონაშვილი, ლელა კორკოტაძე და მაია კეკელიძე, მარინე ნამგალაძე, ფატი კვარაცხელია... ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. მათ გვერდითაა „სიკეთის“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ხათუნა შოშიაშვილი, დირექტორის მოადგილე გულიყო ზავარდაშვილი — უსათნოესი ქალი...



ფოტოები იური რიდალიოვისა

ახალ პრეზიდენტს მალე აირჩევენ. ლია პირველს — ყოფილ პრეზიდენტს — უკვე დაუმთავრებია წარჩინებით სასწავლებელი. მისი სახით ძალზე საიმედო კადრი გვეყოლება, — ერთხმად ამბობენ სასწავლებელში.

კეთილი იყოს სიკეთის მთესველი ქალიშვილის გზის დასაწყისი.

\*\*\*

კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის ნინო ჭავჭავაძის ოთახში ვსხედვართ. ნინო იხსენებს საქველმოქმედო კლუბის პირველ ნაბიჯებს. მისი საუბრიდან ვიგებ, რომ „სიკეთის“ კლუბი ამ ოთხიოდე წლის წინ შექმნილა კომკავშირის რაიკომის ინიციატივითა და სასწავლებლის პედაგოგიკტივის აქტიური მხარდაჭერით. დღითიდღე იზრდებოდა კლუბის წევრების მსურველთა რიცხვი. თანდათან იხვეწებოდა მუშაობის სტრუქტურა. დაზუსტდა კალინინის რაიონში მცხოვრები მარტოხელა მოხუცების, ინვალიდებისა და დაფრდომილების ზუსტი სია... მათმე რიცხვმა რამდენიმე ათეული შეადგინა.

და აი, „სიკეთის“ კლუბის წევრები იმედის ნათელ სხივად მოვევლინა მათ ერთ-ერთოვან სიმარტოვეს. პირველად, ზოგი მათგანი სექტეკურადაც კი შეხვდა ამ წამოწყებას, ვერ ირწმუნეს მათთვის ერთობ

უჩვეულო სამსახური... მაგრამ, ეტყობა ადამიანს და მით უფრო მსცოვანს მცირე ყურადღებაც კი დიდ სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებს. ასე გაჩნდა ნდობა, პატივისცემა, სიყვარული. განათდა და გაიცისკროვნდა ხვალინდელი დღის რწმენა. მანამდე კი ქალიშვილებმა ფიცი დადეს: „ვფიცავ, არ დავიშურო ძალა და ენერგია, რათა მალამო ვუბოვო მათ ფაქრს სულს; ვიყო მათდამი მოკრძალებული და დაუზარელი, ვეცადო, ჩემმა გულისხმევრებამ შეუმსუბუქოს დარდი და ფრთები შეასხას მათ სიხარულს; ვიყო თანაზიარი მათი ჭირისა და ღხინისა; ხელჯობივი შევეხილო მათ დალილ ხელებს; ყოველი ჩემს მიერ ქმნილი მცირეოდენი სიკეთე, ისეთივე ტკბილი იქნება მათთვის, როგორც ბავშვობაში ბებიების მიერ ნამღერი ძილისპირული.

ვფიცავ, ვუთანაგრძნო, თაყვანი ვცე და გამოვადგე მათ უმცროს მეგობრად...“

თამარ ბაიდაური პარტიის, შრომისა და ომის ვეტერანია, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. ის დიდად ემადლიერება არა მარტო „თავის გოგონებს“, სასწავლებლის მთელ კოლექტივსაც. დედა თამარი სასწავლებლის მეზობლადაც ცხოვრობს და მისი სირყვობით რომ ვთქვათ, სხვებზე მეტადაც „ანე-

ბივრებენ!“ ზშირად აკითხავენ, ეხმარებიან. განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც თამარიკო ბუბუტეიშვილი იჩენს. იმჟამადაც, თამარიკომ წამალი რომ მოუტანა, დედა თამარმა შეახსენა, — საავადმყოფოში უნდა დაეწვე და იქაც შენი იმედი მაქვსო.

„სიკეთელებს“ არც მრავალშვილიანი დედები ჰყავთ დატოვებული ყურადღების მიღმა. ტალიაშვილების მრავალშვილიანი ოჯახი მალე ახალ ბინას მიიღებს და მის დალაგება-დასუფთავებაშიც უნდა მიეხმაროთო, — გამოთქვეს სურვილი.

ახლა ნონა კაჭარავასაც ვესტუმროთ, 27 წლის ხუთი შვილის დედას.

ირმა სირგინავამ ისე შინაურულად შეალო მათი სახლის კარი, ზარიც კი არ დაურეკა. მასპინძლებმა ახლობლურად ჩაიკრეს გულში არდადეგებიდან მობრუნებული ირმა.

ნონას პატარა ბავშვი ორი თვისაა, რომ იტყვიან, წუთითაც ვერ ტოვებს, — დედა-მთილი საოჯახო საქმეებში მუხმარება, მაგრამ მეორე ჯგუფის ინვალიდია და სიარული უჭირსო, მითხრა ნონამ. — ორი უფროსი გოგონა სკოლაში დადის, ორა ბიჭი ბაღში. გარდა სკოლისა, გოგონები მუსიკაზეც დადიან და ცეკვაზეც. მარტო ბავშვების სიმრავლე არ კმარა. აღზრდა უნდა ჰქონდეთო სრულფასოვანი, — დასძინა ბოლოს.

მეუღლე ეკონომისტია, დიდიდან სალამომდე სამსახურშია. ამიტომ უჭირს ნონას ბავშვების წაყვან-წამოყვანა.

— ირმა ძალიან გვეხმარება, მაგრამ ესეც ცოდოა, ყოველ დღე ძნელია ერთისთვის ამ აღმართში სიარული და თუ კიდევ ვინმეს შემავლელბენ, ირმაც დღეგამოშვებით ივლიდა და ჩვენც უფრო მადლობლები ვიქნებოდითო. იქნებ გაითვალისწინონ „სიკეთის“ წევრებმა ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედის თხოვნა.

„ღმერთიც კი ვერ გაიძულებთ კეთილის გაკეთებას, საკუთარი ნებით უნდა ვაკეთოთ იგი, — ასეთი სიტყვებით მიმართა დედა ტერეზამ საქველმოქმედო „სიკეთის“ კლუბის წევრებს თბილისში შეხვედრისას.

ასეცაა. ისინი საკუთარი გულის კარნახით აკეთებენ კეთილ და საშურ საქმეს, არ ივიწყებენ ჩვენ ირგვლივ მყოფ იმ ადამიანებს, რომლებსაც მართლაც ჰაერით სჭირდებათ სხვათა ნუგეში და დახმარება.

იქნებ სხვებმაც მიბაძონ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის მაგალითს. ალბათ, საქართველოს სხვა კუთხეებშიც და თბილისის სხვა რაიონებშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ელიან სხვათა თანადგომას, ნუგეშის სიტყვას, გულის სიტბოს.

\* \* \*

ისევ რეკავს სასწავლებლის ტელეფონი — 99-70-50. მის მიღმა იმედით გააყურებს გზას მომლოდინე თვალი.

ფუსფუსებენ „სიკეთელები“, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მისალოც ბარათებს ამზადებენ თავიანთი ადრესატებისთვის. ჩვენც უუერთდებით მათ სურვილს და მათივე სიტყვებით მივულოცავთ ყველა ქალსა და დედას:

„გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მშვენიერებას. თუ წლებს სილამაზის გატაცება შეუძლია, მშვენიერების მომრევი ჰვეყნად არაფერია“.

მუდამ სიკეთით გველოთ, საქართველოს მშვენიერო ასულებო!



**მ**

თელი დღე ურმით ეზიდებოდნენ კლდის მონანგრევ ქვას მამაჩემი და ჩვენი მეზობლის ბიჭი ვახო, ვახტანგი.

მტკვარს გაღმა სოფელია — ლიკანი. გამოდმა, რკინიგზის ხაზის გაყოფებით, რამდენიმე მოსახლე ვართ, სოფელთან დაკიდული ხიდი გვაკავშირებს.

მამაჩემი რკინიგზის მეთვალყურეა, ნიადაგ ლიანდაგს ათვალიერებს, მის ვარგისიანობას ამოწმებს, გზას ხან აღმა აპყვება, ხან დაღმა ჩასდევს.

სამნი ძველ მიწურში ვცხოვრობთ. ბოსელიც იქვე გვაქვს და საქონელთან შუა-კარი გვაკავშირებს.

როცა ირგვლივ მთა და ბარი ამწვანდებოდა, ძროხას, ხბოს და თხებს ტყისპირა მდელოზე ვაბალახებდი. პატარა, ათითერთმეტე წლის გოგო ვიყავი, მაგრამ ტყის შიში არასოდეს მქონია. ზამთრობით, როცა მტკვრის ამ ვიწრო ხეობაში ჩამოთოვდა, ხოლო წოწოლა მთები თეთრ ნაბდეებს წამოისხამდნენ და ბერიკაცებივით დამსხდარნი ერთმანეთს მღუმარედ შეპყურებდნენ, გვიჭირდა შინ დღე და ღამე საქონელთან ერთად ყოფნა და ცხოვრება. ძროხა ზმოდა, ხმელ ფუჩიჩს ახრამუნებდა, თხები კიკინებდნენ, ვერ ისვენებდნენ, ცმუკავდნენ და სულ გარეთ მიიწევდნენ. გაზაფხულს შვება მოჰქონდა. ნაკადულები აჩხრიალდებოდნენ, ადიდებული მტკვარი ხმაურით მოედინებოდა, მდელო ბალახით ივსებოდა, საქონელი ლალად მოეფინებოდა, თხების კუნტრუში ბავშვებსაც ვაგახლისებდა. სოფელი ბავშვები გამოღმა ერეკებოდნენ თავიანთ საქონელს, რადგან აქეთ, ტყისპირა მდელოზე, ბევრი საბალახო იყო. თავს ვიყრიდით მოზარდები, ჩვენ-ჩვენი საკუნტრუშო და სათამაშო გვქონდა, სანამ საქონელი კუჭს მოიძებდა, ჩვენ გვარიანად ვერთობოდით.

ბავშვებს, ვინც ჭერაც არ გავცილებოდით ბორჯომის ხეობას, მთელი სამყარო ასეთივე ლამაზი, წიწვიანი და ფოთლოვანი ხეებით დაბურული გვეგონა.

მტკვარს გაღმა სოფელში ვისიმე კარზე ქათამს რომ კვერცხი დაედო და აკრიახებულყო, გამოდმა გვესმოდა. აბა, ხმა სად წავიდოდა, აქ ისე ვიწროა ხეობა, ისე ახლო-ახლო სხედან ტყით შექოჩრილი ბოხობა მთები. სოფლიდან სხვა ათასგვარი ხმა(ც გადმოდიოდა — კაცისა, საქონლისა, ძაღლისა, ფრინველისა...

მამაჩემმა ახალი სახლის აგება გადაწყვიტა. თავისუფალ დროს სოფლის მახლობლად კლდეს შეეჭიდა, ქვა მონაგრია. მეზობელმა ქვის ზიდვაში ბიჭი მიახმარა. ის მაშინ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იყო, ტანადი, ჯანიანი, ლამაზი და შრომისმოყვარე. ის რომ მამაჩემს მხარში ამოუდგა და ქვა აზიდვინა, სხვას, მის ადგილზე, წელი მოსწყდებოდა და მეორე გზობაზე გაეჭყეოდა. კლდესთან ურემს ტვირთავდნენ, ჩვენს ეზოში ცლიდნენ. სამი გზობა რომ მოიტანეს, მამაკაცებიც დაილაღნენ და ხარბიცი. იმ დროისთვის მე და დედაჩემს სამხარი უყვე მზად გვქონდა და სუფრა ეზოში მწვანე ბალახზე გავშალეთ.

მაისის ბოლო იწურებოდა. რაც რამ გასაფურჩქნი და გასაშლელი იყო, ამ დროისთვის ყველაფერი გაფურჩქნილ-გაშლილიყო და ამჟერად ცამდე აზიდული მთები სასიმღეროდ გამზადებულ ღეკაკებს გავდნენ. მაგრამ სიმღერას არ ამბობდნენ. დუმდნენ. მე კი მესმოდა მათი სიმღერა, სიმღერა სიცოცხლეზე, მარადისობაზე, მშვენიერებასა და სიკეთეზე. ჩემს გულში

# სიზგარეი შხაღში

მოთხრობა

## თენგიზ გოგოლაძე

ეს სიმღერა საოცარი ძალით იჭრებოდა, პატარა გოგოს სულს მიფორიაქებდა, მამჩატებდა და ყოველთვის ერთი განუხორციელებელი სურვილი მიპყრობდა — ფრენა შემძლებოდა.

მამაჩემმა ურემი ქვის ხროვას მიაცენა. სანამ ხარებს გამოუშვებდა, კონკილა შეუყენა, მერმე ხარები ლობისკენ წალალა, ფუჩიჩი დაუყარა. ვახოც მიეშველა, ორივემ ააყირავეს ურემი და ქვა ხრილით დაეყარა ადრე მოტანილს. ურემი ისევ კონკილაზე შეაყენეს, სული მოითქვეს და ხელ-პირის დასაბანად სახლისკენ წამოვიდნენ.

ხელ-პირი ორივეს მე დავაბანინე. წელზემთ შიშველმა ვახომ წყალი მხრებზე და მკერდზე მიიწუწა, კუნთებზე ორივე ხელი ჩამოისვა. ღონიერი, მზეზე შემკრახული სხეული ჰქონდა.

— გმადლობ, თამრო! — მითხრა, როცა ხელპირი შეიმშრალა, გამიღიმა და თვალი არ მომაშორა, — რა ლამაზი სახე გაქვს, რა შუქიანი თვალები, გოგო!

გამეცინა. მერე მომეფერა, თავზე ხელი გადამისვა ისე, როგორც ბავშვებს ეალერსებიან მოზრდილები, ლოყაზეც მაკოცა. დიდი გოგო გაიზარდეთ, კაცით დამლოცა.

მერე დასხდნენ ნაჭაფარი კაცები და კერძს მაღიანად შეექცნენ.

ისეთი კარგი დღე იყო, ღმერთმანი, სიკვდილის პირამდე არ დამავიწყებდა. ბევრი რამ მახარებდა და რაც მთავარი იყო — მალე სახლს წამოვდგამდით, ადამიანურს, თუნდაც ისეთს, როგორც ვახტანგიანთ ჰქონდათ, დაბალკიბიანი, ოროთახიანი, ფიცრის იატაკიანი, თბილი და მყუდრო. საბძელიც ცალკე ჰქონდათ და საქონლის შარდითა და ნაკელით არ ყარდნენ.

ქვას მეორე დღესაც ეზიდებოდნენ. ბლომად ქვა დაახვავეს, მაგრამ ეს საქმარისი არ იყო და კიდევ უნდა ეზიდათ. ვახოს ყოველ დღე მე ვუსხამდი თუნგულიდან წყალს. ყოველთვის გამიღიმებდა, თავზე ხელს გადამისვამდა და მლოცავდა, დიდი გოგო გაიზარდეთ.

იმ წელს ომი დაიწყო. მამაჩემმა სახლის საძირკვლის გათხარაც ვერ მოასწრო, ომში წასასვლელად გამეზადა. რკინიგზელებს ხელს არ ახლებდნენ, მაგრამ ვახოს მამასთან, სანდროსთან ერთად ახირა, ქვეყანას ახლა თუ არ გამოვადექით... აღგნენ და წავიდნენ. ასე ეგონათ ერთ-ორ კვირაში მოათავებდნენ საქმეს და მერე ოჯახს მობედავდნენ. ბორჯომის შესაკრებ ბუნქტამდე ჩავაცილეთ. აქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. აქა-იქ ახალგაზრდულ ჯგუფებს ცეკვა-

თამაშით გაეჩაღებინათ, გეგონებოდათ ქორწილში ან დღეობაში მიდიანო. არ ვიცი, რა იყო, თავის მოტყუება, სხვისი დაშოშმინება-დაიმედება თუ მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენა. ვისაც ომის აშკარა სურათი თვალწინ ეხატა, იმას თვალები ცრემლით ჰქონდა სავესე, უმეტესად ქალებს. დედის გული გრძობს, სად მიდის მისი შვილი, ქალის გული ყველაფერს ხვდება, რა ცეცხლში უნდა ჩადგეს მისი მეუღლე... ქალები და ბავშვები ტიროდნენ, კაცები თავს იკავებდნენ, მათ ცრემლი გარეთ არ გადმოსდიოდათ, გულში კი ღვარად ჩასდიოდათ. განა არ ეტყობოდათ ტანჯვა და თავისიანების დაშორების სიმწარე!

თვალცრემლიანები და გულდათუთქულები დაებრუნდით შინ. დედაჩემი და დეიდა სონა წინ მიდიოდნენ თავდახრილები. ვახოს ჩემთვის ხელი მოეხვია და მამშვიდებდა.

— სუ, თამრო, ნუ სტირი!.. ჩვენები მალე დაბრუნდებიან... აი, ნახავ, რა მალე მოვლენ...

რა იმედიანი და ალალი იყო. ალბათ ნამდვილად სჯეროდა, რომ ომი მალე დამთავრდებოდა, მერე ჩვენს ეზოში დაგროვებულ ქვას კიდევ მიუმატებდნენ, სახლის საძირკვლს გაჭრიდნენ... მიწურიდან გადავსახლდებოდით და ვიცხოვრებდით ჩვენთვის მშვიდად, ადამიანურად.

მაგრამ ომი მალე არ გათავდა. სულ ცოტა ხანში ვიგარძინეთ მისი სუსხი და სიმწარე. ერთი თვეც არ იყო გასული, სოფლიდან ქალების კივილი მოგვესმა. აბა, ხმა სად წავიდოდა! გამოდმა მთას რომ ეხლებოდა მოთქმა და გოდებდა, ისევ უკან ბრუნდებოდა... დეიდა სონამ სოფლიდან ამბავი გადმოიტანა, გელაშვილების სანდრო მოუკლავთო. მალე სანდროს გიგუშა მიემატა. გიგუშას — შაქრო, შაქროს — მიტო, მიტოს — გოგია... უბედურება კივილით მიჰქროდა და მოჰქროდა მთიდან მთისაკენ. მთები კი ამ დროს იდგნენ დაბოლმილნი. ღრუბელმომბურუნნი...

ჩამოთოვა და მთლად დაგვიძიმდა ცხოვრება.

ვახო თვალს არ მისწორებდა, სიტყვა რომ არ გაუმართლდა. არც მამაჩემისა იხმოდა რამე, არც მამამისისა. დაიბოლმა. გულჩათხრობილი ვახდა. კაცებისგან ავი რომ არ გვესმოდა, ეს მაინც საიმედო იყო. მაგრამ შიშით მაინც დაზაფრულები ვიყავით და აბა, რა ცხოვრება იყო ჩვენი ცხოვრება, ყოველ ცისმარე უღლი ამბების ლოდინში!

ომმა ახლ-ახალი მსხვერპლი მოითხოვა და ერთი წლის თავზე ვახოც გავაცილეთ.



ბაშიც დააქუხეს. იმ დღეს სოფლის გოგონა  
ბიჭები ბორჯომში ჩავედით, სოფელი სო-  
ფელია, ქალაქში სულ სხვაგვარი ხედი  
გამართვა იციან.

სალამოს შინ რომ დავბრუნდი, ჩვენი  
სახლის წინ სონა დეიდა და დედაჩემი ისხ-  
დნენ. ისხდნენ და ღუმდნენ. შემომხედეს,  
არაფერი მკითხეს, როგორ ვიზიემით, ბორ-  
ჯომში რა ხდებოდა, რა ყოფაში იყო ხალ-  
ხი. შევატყვე, ორივეს ნამტირალევი თვა-  
ლები ჰქონდა. გული მომიკვდა. შინ შე-  
ვედი, საწოლზე წავეხე და გულად ამოიჭ-  
და.

ზაფხული მიიწურა. შემოდგომით ხეო-  
ბაში ბუნების სულ სხვა მხატვარი მოდი-  
ოდა. ღმერთო, რა ფერებს დასდებდა ხოლ-  
მე ფოთლოვან ხეებს, სულ სხვადასხვა  
სიყვითლეს მისცემდა შემგონარ ფოთლებს,  
ზოგიერთ ხეს თითქოს ცეცხლს წაუკიდებ-  
და — წითელ-ყვითლად ისე ააბრიალებდა.  
ანკი სად ჰქონდა ასეთი ნათელი, ასეთი  
მკვეთრი საღებავები! შემოდგომა რომ  
დადგებოდა, უკვე ვიცოდი, საით რომელი  
ხე როგორ შეყვითლდებოდა, ან როგორი  
ალი წაეკიდებოდა.

ჩვენი კარ-მიდამო რკინიგზის მახლობ-  
ლად მომალლო ადგილზე იყო, რკინიგზასა  
და მტკვარს გადაჰყურებდა, გაღმა ხელის  
გულივით მოჩანდა ბორჯომ-ახალციხის  
გზატკეცილი, ჩამოჭრილ ფერდობს რომ  
ჩამოჰყვებოდა, მტკვრის პირას ეშვებოდა  
და ხეობის სიღრმეში უხვევდა. მტკვრის  
კალაპოტი ამ ადგილზე არც ისე განიერი  
იყო და გზაზე გამვლელ-გამომვლელ შო-  
რეულ მეზობლებს, სკოლის ამხანაგებსა  
და მათ მშობლებს ყველას ვარჩევდი. გა-  
ძახებ-გამოძახებითაც კი თავისუფლად მი-  
გვიწვდენია ხმა ერთმანეთისათვის.

მანამდე არა და შემოდგომის ერთ დღეს  
ქვის ნაყარზე ობლად ამოსული ერთი პა-  
ტარა ყვავილი შევნიშნე. ქვაში ყვავილს  
რა უნდოდა? ანკი როგორ მოიღვა ფესვი?  
რა ასაზრდოვებს, რა აცოცხლებს? პაწაწი-  
ნა იყო, უმწეო. ამოსულიყო და მორცხვად  
იყურებოდა.

ცულის ნიშანიაო, თქვა სონა დეიდა.  
დედაჩემი ღუმდა. მე საგონებელში ჩავ-  
ვარდი. ამაზე მეტი უბედურება, რაც ჩვენ  
დაგვემართა, მეტი რაღა უნდა დაგვატყ-  
დეს-მეთქი. ყვავილმა კარგახანს იცოცხლა.  
ვიდრე სუსხმა არ დააზრო.

შუა სექტემბრის ერთ დღეს სკოლიდან  
შინ დავბრუნდი. დედაჩემი ამ დროს სონა  
დეიდასთან ერთად სამუშაოზე იყო.  
მტკვარზე სარეცხი ჩავიტანე. კარგა ხანს  
ვრეცხე დედაჩემისა და ჩემი ძველანები.  
მზიანი, ცხელი დღე იყო და მეამა მტკვრის  
წყალი. მდინარე მიდლდუნებდა, ალაგ-  
ალაგ ლოდებთან შხუოდა. ნიაფი არ იძვ-  
როდა.

დედაჩემის კაბა წყალში გავავლე, წელ-  
ში გავიმართე, კაბა გავწურე, გობში ჩავაგ-  
დე და ანაზად გზისკენ გავიხედე, მტკვარს  
გაღმა, გზისპირას, კაცი შევნიშნე, ტანადი,  
წვერიანი, თავშიშველი. სამხედრო სამო-  
სელზე ნაცრისფერი პიჯაკი ეცა. მხარზე  
ხალთა მოეგლო. ცალი ხელი ხალთის ღვე-  
ლისთვის ჩაველო, ცალს კი თავზე ისვამდა,  
აბულულებულ თმას ისწორებდა. იდგა და  
აქეთ, ჩვენს მხარეს იყურებოდა. ათასი ვი-  
ნმე დადის ამ გზაზე, ათას გამვლულს ხიბ-  
ლავს მტკვრის გამოღმა, ხასხასა მწვანეში  
გახვეული მხარე.

კაცისთვის ყურადღება აღარ მიმიქცე-  
ვია, მაგრამ როცა ჩემი საქმე განვაგრძე,

მეფის დროის მომსწრე მოხუცები ამ-  
ბობდნენ, ნიკოლოზს დედისერთა არამცთუ  
ომში, მშვიდობიანობის დროსაც არ მიჰყავ-  
და სამხედრო ბეგარის მოსახდელადო.  
ჩემს გონებაში ერთმანეთთან ვერ თავსდე-  
ბოდა პირისისხლიანი, მშრომელების დაუძი-  
ნებელი მტერი და მხაგვრელი ნიკოლოზი  
და იგივე კაცი შემწყნარებელი მშრომელი  
დედისა, რომელსაც ერთი შვილი ყავდა.

დავრჩით ქალები მარტოდმარტო — დე-  
დაჩემი, სონა დეიდა და მე. მეც ქალი ვი-  
ყაჟ, აღრე დაქალბული ბავშვი, რადგან  
ბავშვური სილაღე დაგვარგე, ქვეყნის ჰირ-  
ვარამმა და ოჯახურმა გასაჭირმა ხალისი  
წამართვა. ჩვენზე უფრო საბრალო სონა  
დეიდა იყო. რომელ ერთზე უნდა ეფიქრა  
და ედარდნა. შვილზე თუ ქმარზე! ერთად  
მანც წასულიყვენ, ერთად ყოფილიყვენ-  
ნო, მოთქვამდა ქალი და მისი ცოდვით მეც  
ველარ ვიკავებდი თავს, რამდენჯერ მარ-  
ტოც მიტირია!

შევხედავდი დახვავებულ ქვას და სულ  
ის დღე მაგონდებოდა, ვახო რომ მომეფე-  
რა, ლოყაზე მაკოცა და მითხრა, დიდი გო-  
გო გაიზარდეთ.

რაც დრო გადიოდა, იმ დღის ამბავი  
სულ სხვა ფერსა და ხასიათს იღებდა, მო-  
ნატრება მიცხოველდებოდა, ჩემს გულში  
ვახოს სიყვარული მწიფდებოდა... მაგრამ  
ვაი, რომ მისგან არაფერი ისმოდა. კაცე-  
ბიც ღუმდნენ თუ სადღაც დაადუმეს, არც  
მათგან მოდიოდა რაიმე ცნობა.

გავყიდეთ ძროხა, თხები. მათთვის კი  
არა. საკვები ჩვენთვის გახდა სანატრელი.  
საქონელი აღარ გვება ბავაზე, მაგრამ ცხო-  
ველთა სუნი ისევ დიდხანს ტრიალებდა  
ჩვენსა.

დედაჩემი და სონა დეიდა ერთხანს ევა-  
კოპოსპიტალში მომვლელებად მუშაობდ-  
ნენ ბორჯომში, მერე, როცა ევაკოპოსპი-  
ტალი გაუქმდა, ქალაქის საავადმყოფოშიც  
მომვლელებად დაიწყეს მუშაობა.

დიდი გოგო გაიზარდეთ!

დრო გადიოდა და მეც ვიზრდებოდი.  
საზრდო გვაკლდა, ბევრჯერ მშვიერიც ვყო-  
ფილვარ, მაგრამ მაინც ავიყარე ტანი.  
მაინც ვიზრდებოდი. წლები მომემატა, დი-  
დი გოგო გავიზარდე. ვინც დამლოცა, ის  
კი არ ჩანდა და! ნეტავი ვენახე, როგორ  
გამოვიცვალე ამ სამ წელიწადში.

ომი ისე დამთავრდა, კაცებისაგან კვლავ  
არაფერი ისმოდა. თითქოს არც არსებუ-  
ლან, არცა ყოფილან ამ ქვეყნის შვილები,  
ძე ხორციელნი და სულიერნი. ამბობდნენ  
(გინ იცის, რაღას არ ამბობდნენ!) ბევრი  
ჩვენიანი ტყვედ იყო და ამერიკელებ-  
თან დარჩაო. იქნებ ჩვენებიც დარჩნენ?  
ნუთუ ამას იზამდნენ?! თუ დარჩნენ, რო-  
დისღა დაბრუნდებიან? დედაჩემი და სონა  
დეიდა ლამის დარდმა შეჭამა. კაცების მო-  
ლოდინში, ეს არცთუ ხნისიერი ქალები,  
უღროოდ მოტყდნენ და დაბერდნენ.

მტერზე გამარჯვების სალუტი ჩვენს ხეო-



ერთხელ კიდევ ქვეშ-ქვეშ გავხედე წყალზე ჩაცუტკულმა. ის ისევ იქ იდგა და გამოღმა იყურებოდა, ისევ თმას ისწორებდა და ვერ გაესწორებინა. „ნეტავი ვინ უნდა იყოს?“ გულში გამიარა. კაცს შორიდან დავაკვირდი, მაგრამ ვერ შევიცანი. პერანგი ამოვწურე, გობში ჩავაგდე. გზას ისევ გავხედე. კაცი სოფლისკენ მიდიოდა. მიდიოდა აჩქარებული ნაბიჯით. სიარულში კოჭლობა ეტყობოდა. ალბათ თავს ძალას ატანდა. ერთ-ორჯერ ცოტა ხნით შეისვენა, მერე ისევ გაუტია და მალე მოსახვევში თვალს მიეფარა.

ჩემი საქმე მოვათავე, სარეცხით სავსე გობს ხელი დავავლე, ფეხშიშველამ რიყის თბილ ქვებზე გადავიარე და რკინიგზაზე ავედი, ბილიკს აღმა ავეყვი. ჩვენს კარ-მიდამოს რომ მივუახლოვდი, უცებ შევდექი. ის წვეროსანი კაცი, წელან მტკვარს გაღმა რომ იდგა, ახლა მეზობლიანთ კარზე გამოემეცხადა. სახლის კარი გამოკეტილი იყო. კაცი კარწინ დაბალ კიბეზე იდგა და ჭიშკრისკენ იყურებოდა.

ნეტავი ვინ უნდა იყოს? ჭიშკარს მივადექი და სახლის კარწინ მდგარ მამაკაცს გავხედე. იქნებ სანდრო ძიას გამოგზავნილია, ანდა ვახტანგისა? მოვიდა, რომ სონა დეიდას მათი ამბავი შეატყობინოს. ნამდვილად ასეა, ნამდვილად! იქნებ მამაჩემის ამბავიც იცოდეს?! გულისფეთქვა ამიჩქარდა, აღელვებულმა გობი ჭიშკართან დავდგი, კუტიკარს ხელი ვკარი და ეზოში სწრაფად შევედი.

კაცმა ფეხი მოიცვალა. ჩემკენ გამოემართა. ვარცხნილი და ცოტა არ იყოს შეშინებულიც, შევდექი. ელდა მეცა, როცა ამ შუახნის კაცის სახეზე ვახტანგის თვალ-წარბი დავინახე. მუხლები მომეკვეთა და ლამის იქვე ჩავიკეცე. ენაც ვერ დავძარი. გავხევი და ასე გაოგნებული ვიდექი, სანამ არ მომიახლოვდა. მოვიდა და აღელვებული ხმით მკითხა:

— შენ თამარ არა ხარ? ეს რამხელა გაზრდილხარ, გოგო!

— ვახო! — წამოვიძახე, მაგრამ ვერც მივესალმე, ვერც მოვეხვიე. ისიც მორიდებით მიმზერდა. თვალში ცრემლი მომერია და მისი წვერულვაშიანი, თმაფაფარიანი სახეა ამემღვრა და ამერია...

მან ხელები მომხვია და გულზე მიმიკრა. ოთხი წლის შემდეგ ვიქორწინეთ, როცა მე თვრამეტი წელი შემისრულდა. ქორწინების წლისთავზე გოგონა შეგვეძინა.

ომახ ძლიერ მოეტეხა ვახტანგი. ნატანჯი კაცი გულჩათხრობილი გახდა. პირველ ხანებში, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ჩვენ ოჯახს შევქმნიდით, არაფერს ამბობდა თავის ფრონტულ ამბებზე. ამ დროს სოფელში ომის მონაწილეებს საზეიმო შეხვედრებს უწყობდნენ, სკოლაშიც მოვიწვიეთ ისინი. მოვიდნენ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულები. ათასი რამ გვიამბეს. რასაც ისინი გვიყვებოდნენ, ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა მაინც შეგვიქმნეს, რა ცეცხლში, რა ჯოჯოხეთში გამოიარეს. არ ვიცი, ვახტანგს არავინ იწვევდა თუ იწვევდნენ და თვალდ არ მიდიოდა, სოფელს არ ექარებოდა. მაისი საქმეს მოეკიდა, რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა. ისეთი გახდა, ვერაფერს ათქმევინებდი. ერთხელ დედაჩემმა ჰკითხა სონა დეიდას, რას ამბობს, ვახო, რატომ არაფერს გატყობინებდითო? ფეხი სადღა დაიშავა? აბა, რა ვიცი, თქვენი ჭირიმეთ, ეგრე მითხრა, დედი, თუ გიყვარდი, არაფერი მკითხო.

მე კი, როგორც იყო, ბავშვის შეძენით გახარებულმა მოკლედ მიამბო. ფრონტზე მისვლის ერთი თვის შემდეგ დაჭრილი და გონდაკარგული ტყვედ ჩავარდნილა. ორი წელი საკონცენტრაციო ბანაკში გაუტარებია, მერე პატიმართა ერთ პატარა ჯგუფთან ერთად გაქცეულა, პარტიზანებთან ყოფილა. ომი რომ დამთავრებულა სამხედრო პროკურატურას დაუწყია გამოძიება, სად და როგორ ჩავარდი ტყვედ... ამ ამბავმა შემამინა. ჩვენს ცხოვრებას თითქოს რაღაც დიდი, მძიმე და მოუშორებელი ჩრდილი წამოადგა. მაგრამ საკმაო დრო გავიდა და შიშის საფუძველი თანდათან გამიქრა. რას ვიფიქრებდი, რომ ომის დამთავრების ხუთი წლის შემდეგ, სადღაც, ბორჯომის ერთ პატარა სოფელ ლიკანში ვინმეს გაახსენდებოდა ვახტანგი, მოვიდოდნენ, ხელს წაავლებდნენ და წაიყვანდნენ.

ვანა მართალი არ იყო სონა დეიდა, ქვაში ამოსული ყვავილით ავი საქმე რომ იწინასწარმეტყველა!

ვახტანგის დაჭერა უარესი ცეცხლი იყო, ვიდრე მისი ფრონტზე წასვლა. ცრემლიც აღარ მშველოდა, თვალმდამსებულს ხალხი ვეღარ მცნობდა. ბორჯომის მილიციისა და პროკურატურის კარს ამოდ ვაწყდებოდა.

1951 წლის სექტემბერი ჩვეულებრივი თბილი, მზიანი სექტემბერი იყო ბორჯომის ხეობაში. ის ჯაღომბატვარი უკვე მობრძანებული და დაუწყია ჯაღოფუნჯის მიქნევ-მოქნევა გაღმა-გამოღმა, აღმა-დაღმა.

აღარაფერი მახარებდა. სონა დეიდა მაგარი ქალი გამოდგა. ანკი როგორ უძლებდა მისი გული ამდენ ვარამს! ერთს წამოიტირებდა, უმალ გონს მოეგებოდა, ცრემლს შეიმშრალებდა და ისევ კუშტად და მკაცრად გამოიხედავდა, თითქოს ეს არის თავის გამამწარებელს მიაგნო, შურს იძიებს და ყველაფერი ამით დამთავრდება. ჩვენ კარგი რძალ-დედამთილობა გვქონდა, რადგან თავიდანვე კარგი მეზობლები ვიყავით და მე თითქმის მის ხელში გავიზარდე. ორკაცდაკარგული ქალი აქეთ მამშვიდებდა და გულს მიკეთებდა. საბრალო, ახლა მის გულში ჩაგხედათ, რა ცეცხლი უტრიალებდა!

დედაჩემი უფრო სუსტი გამოდგა. აკი ვახტანგის წაყვანის შემდეგ ლოგინად ჩავარდა და იმ საავადმყოფოში დააწვინეს, სადაც იგი მომვლელად მუშაობდა. სონა დეიდაც იქ იყო, მისი იმედი მქონდა, მიხედავდა. მე რა უნდა მექნა, ჩვილი ბავშვის პატრონს! ზოგჯერ ავტობტები პატარას, მივიკრავდი გულზე, დავადგებოდი რკინიგზის გასწვრივ მიმავალ ბილიკს და ამ გზით მივდიოდი ბორჯომში. ჩვენთვის ეს გზა უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ბორჯომ-ახალციხის შარაგზა. დედა მიშლიდა, ამხელა გზაზე პატარას ნუ სტანჯავ და თავსაც ნუ ილღი, სიარულს მოუკვლ, მე აქ მოვლა-პატრონობა არ მაქლიაო, მაგრამ გული როგორ მომიტმენდა, კვირაში ორჯერ მაინც არ დამეხედა!

ბორჯომის რკინიგზის სადგურში ბიძაჩემი მოლარედ მუშაობდა. დედაჩემს არც ძმისა და რძლის ყურადღება აკლდა. ისინი სადგურის მახლობლად რკინიგზელთა ძველ სახლში ცხოვრობდნენ, უშვილოდ და ბერდნენ. ბავშვს მათთან ვტოვებდი და დედასთან ვავებოდი.

ერთ ნაშუადღევს გზას დავადექი ბორჯომისაკენ. ჩემი ნათია გულზე მყავდა მიკრული. ისე გავიარე კარგა მანძილი, ერთი

არ წამოუტირია, არ გაღვიძებია. ჩემად ფშვინავდა ჩემს თბილ მკერდზე მხსნულ ბული და მეც ნეტარებას მტკვარს მსტკვარს ქად მეცვა, ცისფერი, თეთრწინწკლებიანი ჩითის კაბა, ვახოს რომ უყვარდა. ამიტომაც არ ვიშორებდი ამ კაბას. პირველად რომ ჩავიცვი, ვახომ ისეთი თვალებით შემომხედა, ვეღარ გავუძელ, მოვეხვიე და ვაკოცე... ბედნიერება კარზე გვედგა, თან არც გვედგა. ვახომ ზორციელი ტყვივლით თუ მოიშუშა, ვატყობდი, სულიერი ვერა და ვერ ერეოდა. ალბათ გული უგრძობდა.

ღღეა ისეთი, გზად მიმავალს უნდა გემლერებოდეს, მაგრამ, ვაი, რომ ამის სურვილი აღარც მქონია...

პეტრეს ცხენდ წოდებული ნანგრევი კოშკი მაღალ მთაზე აღმართულა... ამ მთაზე, კოშკთან, ხშირად ავსულვართ გოგობიჭები, ვახოსაც წაუყვანიათ ადრე, ბავშვობაში. ნეტავი იმ დროს! მოგონებისას ამოვიოხრებ, ლამის გულიც თან ამომყვეს.

გოგო შეიშუშუნა, წამოტირება დააპირა. გზის პირას ჩავჯექი და ძუძუ ვაწოვე. თვალს არ ახელდა, ისე ხარბად და ნეტარებით მიეძალა რძეს. სხვისი არ ვიცი და იმ დროს, როცა იგი ჩემს ძუძუებს ლოღინდა, გონება ნეტარებით მეზინდებოდა, სიამოვნებისაგან ვითენებოდი. ეს მართლაც უდიდესი სიამოვნება იყო და უსაზღვრო ბედნიერებით ვივსებოდი.

ისევ მიეძინა, ავიტატე და გზა ვანვაგრძე.

მტკვარს გაღმა რომანოვისეული სასახლის პარკი დაიწყო. დაბურულ დიდრონ ხეებს ფართოდ გაეშალათ ტოტები. აქ უამრავი წიწვოვანი ხეებიც იყო, ათასგვარი დეკორატიული ბუჩქი და ყვავილი. სასახლე ხომ, იმ კუთხის მშვენიერება, მედიდურად გაჰყურებს გარემოს ფერდობზე წამომართული. ფერდობს ქვის კიბე ჩამოსდევს, კიბეს აგურის ფხვნილით მოტეხნილი ბილიკი მოსდევს მტკვარის ნაპირამდე. ბილიკის შუაწილზე შადრევანია მოწყობილი ფართოდ გაშლილი აუზით. გზა მტკვარზე გადებულ, ჩუქურთმებით შემკულ, თეთრად შეფეთილ ხიდთან თავდება.

ეს ადგილები მთავრობისა იყო და აქაურობას არავინ გვაჯარებდა, ასე შორიდან თუ შევავლებდით თვალს და დავტკებოდით სასახლისა და ბაღის მშვენიერებით. ვინ იცის, რამდენჯერ დავმდგარვარ ლიანდაგთან ხიდის ყურეში და ნეტარი ოცნებით გაბრუებული კარგა ხანს არ მოვშორებია ვარ იქაურობას. ახლაც თვალები იქით გამირბობდა.

ხიდს რომ მივუახლოვდი, ზედ მოხუცი კაცი შევინხე. აქეთ, რკინიგზისაკენ გამოსულიყო, მოაჯირს მარჯვენა ხელით დაყრდნობოდა და ხეობას გასცქეროდა. ალბათ სიამოვნებდა მტკვარზე განავარდებული ნიავის ალერსი, მდინარის ჩხრიალი და ბუნების მწვანე სამოსელი.

ბერიკაცს ჭალარა ულვაში და თხელი, უკან გადავარცხნილი თმა ჰქონდა. დაბალი იყო, ნაცრისფერი ხიდელი და ჩამოშვებული შარვალი ეცვა. ბილის მოაჯირზე მარჯვენა ხელი ელო, მარცხენა კი, მოხრილი, ჩამოვარდნილივით ჰქონდა. ეტყობა დამინახა, ჩემკენ გამოიხედა, შემობრუნდა და ხელი დამიქნია.

ჩემდა უნებურად შევდექი. დაბნეულობისაგან მისი სახე მთლად ნათლად ვერ გავარჩიე. ხელი კიდევ დამიქნია და მისი ხმაც გავიგონე:

(დახსარული მე-14 და მე-15 გვერდზე)



თბილისის მესამე საშუალო ექსპერი-  
მენტული სკოლის ქორეოგრაფიული  
ანსამბლის მოციქვავე შორენა მერა-  
ბიშვილი.







უმო პეცი და გივი მიზანდარი.




ქართველი სტუდენტების გამოფენის დათვალიერება.



სოსო წოწყლაურის ნახატი.




ბარბარა ბირსის ნახატი.



ამერიკელი მხატვრის ბარბარა ბირსის ნახატი.



გივი მიზანდარი. ინდიელი.



პეტრე ბობლიაშვილი. „სახელოსნოში“.



ამერიკელი მეცნიერები

**მ** ბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ეწვია პორტლენის მკვიდრი, სახვითი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი და მოამაგე უგო პეცი.

უგო პეცი ამ სტრიქონების ავტორს გადასცა ამერიკელი სტუდენტების გრაფიკული ნაშრომები და გვაუწყა, რომ ნაშრომები გამოგზავნათ საჩუქრად პორტლენის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის კათედრის ხელმძღვანელმა გორდონ გილკიმ და სურვილი გამოთქვა, თბილისის სამხატვრო აკადემიასა და პორტლენის აკადემიას შორის მეგობრობა დამყარდეს.

ეს იყო 1985 წელს. მაშინ სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ინიციატივით მოეწყო თბილისში ჩვენი და ამერიკელი სტუდენტების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა.

ეს გახლდათ ამერიკელი და ქართველი ახალგაზრდების პირველი შემოქმედებითი შეხვედრა.

ამერიკიდან დაინებით გვთხოვდნენ, რათა ჩვენც ჩაგვეტანა საბასუხოდ ქართველი სტუდენტების ნამუშევრები.

შეირჩა სამხატვრო აკადემიის გრაფიკოსი სტუდენტების ტილოები, მათ შორის რამდენიმე მოქანდაკის საკლასო ნახატი, სულ 36 ნამუშევარი.

როდესაც ჩავედი მოსკოვში განსაკუთრებული ნებართვის მისაღებად, რომ უცხოეთში გამეტანა აკადემიის სტუდენტების შემოქმედება, ძალიან დიდ წინააღმდეგობას წავაწყდი. თუმცა საბოლოოდ ლელო მაინც გავიტანეთ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალზე საჩქაროდ გადასაწყვეტი საქართველოდან საგამოფენოდ უცხოეთში დამოუკიდებლად გატანის უფლებები.

პორტლენში ჩვენი გამოფენის უშუალო მასპინძელი იყო პროფესორი გორდონ გილკი. გორდონ გილკი გრაფიკოსია, ის შეერთებულ შტატებში სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და ომის დამთავრების შემდეგაც გორდონ გილკი სპეციალურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელიც ეძიებდა მუშეუბნებიდან თუ კერძო კოლექციებიდან გატაცებულ მსოფლიო მნიშვნელობის სახვითი ხელოვნების შედევრებს.

მოკვლევისა და მოძიების შემდეგ გორდონ გილკი ამ ქმნილებებს უბრუნებდა მუშეუბნებს.

პორტლენში ფრიად საინტერესო სამხატვრო უმაღლესი სასწავლებელია, თავისი მშვენიერი საგამოფენო დარბაზებითა და ბრწყინვალედ აღჭურვილი საკლასო სახელოსნოებით.

გრაფიკის განკარგულებაშია ყველაფერთან ერთად კომპიუტერებით მოწყობილი დარბაზი, სადაც ყველა სტუდენტი მეცადინეობს და მუშაობს თანამედროვე უმაღლესი დონის კომპიუტერებზე. ასრულებენ კომპოზიციებს.

ასევე შესანიშნავია სხვა სახელოსნოებიც. ბუნებრივია, დავინტერესდი ქანდაკების სახელოსნოებით, სადაც სტუდენტები თავიანთ ნაწარმოებებს ბრინჯაოში ასხამენ.

ამერიკელი სტუდენტები უაღრესად ერთგულნი არიან თავისი საქმისა. მუშაობის შემდეგ თვითონ ალაგებენ, რეცხავენ თავიანთ სამუშაო ადგილს. სახელოსნოებში რაღაც არაჩვეულებრივი სისუფთავეა. აქვე ყველანაირი იარაღ-ხელსაწყოები. ეზგაბადისა თუ პროპანის კასრები თვით კლასებში დგას. ძალიან გამიკვირდა, როდესაც ვნახე მშვენიერი ნაზი სტუდენტი ქალიშვილები, რომლებიც ოსტატურად დაუფლებოდნენ ლითონის შედუღების ტექნოლოგიას.

მქონდა მრავალი შეხვედრა მხატვრებთან, ვიყავი მათთან სახელოსნოებში. ჩვენ ხშირად პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებით ვიგებთ ამერიკელ უმუშევართა, ლტახთა (ასეთი საუბედუროდ ბევრია), უბინათა შესახებ, და გვიკვირს. ზოგიერთში ექვს იწვევს ეს ინფორმაცია. ხშირად ასეთ რეპორტაჟებს კინოოპერატორთა „ნიქს“, მონერხებულობას მივაწერთ ხოლმე.

ყველაფერში რომ გავრკვეულიყავი, „მსხვერპლი გავიღე“ და ერთი ღამე ნიუ-იორკის ქუჩაში უძილოდ გავატარე ამერიკელ ლტახებთან ერთად და დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყანაში ჯერ ბევრი რამ მართლაც მოუწესრიგებელია.

შტატებში გავიცანი მხატვარი დარბარა ბირსი, ეს ცნობილი, საინტერესო მხატვარია.

მის შემოქმედებაში კარგად არის ასახული იმ ხალხის ცხოვრება, რომლებთანაც ერთი ღამე გავატარე ნიუ-იორკის ქუჩაში, სკვერში.

დარბარა ბირსის ნაშრომების თემა ამერიკელ ინდიელთა, ამ მიწის ძირითად მკვიდრთა ცხოვრება, რომლებიც მასობრივად ამოხოცეს არც ისე დიდი ხნის წინათ.

დღეს ისინი ძალიან ცოტანი არიან. ამერიკელები ახლა იჩენენ „კეთილშობილებას“ და შათ უთმობენ სალონებს ინდიელთა ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენად.

არაერთ მხატვართან ვიყავი სახელოსნოში. მათი შემოქმედებითი სახელოსნოები მომცროსა და მოუხერხებელი. თითქმის ყველას სათავსი დაჭირავებული აქვს. იშვიათია, რომ მხატვარს ჰქონდეს საკუთარი შემოქმედებითი სახელოსნო.

ამერიკაში ბევრი რამ გოცებს და ეს ბუნებრივია. მაგრამ მე განსაკუთრებით მომხიბლა ამერიკელ მოქალაქეთა შინაგანმა კულტურამ, მათმა შეხვედრამ, თავაზიანობამ.

ასეთს ჩვენი შეხვედებით მხოლოდ ქართულ სოფლებში, იქ, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართველი ერის შინაგანი ეროვნული სამყარო...

ამერიკელები ძალიან სტუმართმოყვარენი არიან. ყოველთვის ცდილობენ, რომ სტუმარს მაქსიმალურად სცენ პატივი.

მე, როგორც ქართველი სტუდენტების არაჩვეულებრივი გამოფენის მომწყობს,

პატივისცემას არ მაკლებდნენ. მიწვეული ვიყავი ყველა სამხატვრო გალერეაში, რომლებშიც იფინება როგორც თანამედროვე ასევე წარსული ეპოქებისა და სხვადასხვა ქვეყნის მხატვართა ნამუშევრები.

ამერიკელმა მეგობრებმა მანახეს ძეგლი, მიძღვნილი ამერიკელი ჯარისკაცებისადმი, რომლებიც დაიღუპნენ ვიეტნამელებთან ბრძოლაში.

ამერიკელები დღეს გმობენ ამ ომს, უამრავი უდანაშაულო ადამიანი რომ იმსხვერპლა. მათთვის ვიეტნამი უაღრესად მტკივნეული ადგილია და მე როგორც „ვიეტნამელს“, ამ ქვეყნის ირგვლივ ხშირად მისვამდნენ შეკითხვებს: როგორი ხალხია, როგორ ცხოვრობენ, თქვენ რას აკეთებდით, ქალები როგორნი არიან და ასე შემდეგ.

ერთხელ ამერიკელი ვიეტნამელებიც კი შემახვედრეს. მქონდა მათთან საუბარი. ერთ-ერთმა საკმაოდ ხანში შესულმა ვიეტნამელმა მითხრა, მე ნამდვილი ვიეტნამელი ვარო. მე მას მივუგე, ნამდვილი ვიეტნამელი ვიეტნამში ცხოვრობს-მეთქი.

ის დაფიქრდა და დინჯად მიპასუხა, მართალი ბრძანდებითო. თანაც დასძინა: თუ ადამიანებს უნდათ, რომ მშვიდობა სუფევდეს, ყველა თავის სამშობლოში უნდა ცხოვრობდესო.

პორტლენში რამდენიმე სამხატვრო სასწავლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში ასევე არის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი.

ჩვენი ქართველი სტუდენტების ნამუშევრები მასპინძლებმა შეამკეს არაჩვეულებრივად, შემინეს და ჩასვეს ძვირფას ჩარჩოებში.

გამოფენა გაიხსნა 1989 წლის 15 მარტს. მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ამერიკის ტელევიზიამ მოაწყო საკმაოდ ვრცელი გადაცემა — „თბილისის სამხატვრო აკადემია“.

პორტლენში მქონდა შეხვედრა — საუბარი ადგილობრივ საზოგადოებასთან (სლაიდების ჩვენებით). როდესაც საზოგადოებას მივმართე, თუ რა აინტერესებდა და როგორ წარგვემართა საუბარი, ერთ-ერთმა დამსწრემ მითხრა, რომ მან არაფერი იცის საქართველოს შესახებ და მით უმეტეს, საქართველოს სამხატვრო აკადემიაზე. თანაც დასძინა: თქვენი სტუდენტების ნამუშევრები კი ძალიან მომეწონა და ვფიქრობ, ასეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები შეიძლება ექნეს მხოლოდ დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანასო.

როგორც პორტლენში, ასევე ნიუ-იორკში მოვილაპარაკე ჩვენი სამხატვრო აკადემიის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გაცვლის თაობაზე.

გივი მიწანდარი



პეციალისტები ამტკიცებენ, რომ 2000 წლის შემდეგ შესაძლებელი იქნება, ერთი კუბიკური სანტიმეტრის კომპიუტერის „მახსოვრობაში“ მილიარდობით მოლეკულური ელექტრო-

ნული კონტური ჩაეტიოს. ეს, ალბათ, მეტია, ვიდრე ყველა იმ ტრანზისტორის რაოდენობა, რაც დღევანდლამდე მსოფლიოში დამზადდა.

ამიტომაც არის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების გამო და კომპიუტერების მრავალრიცხოვნობის მიზეზით პლანეტას შეიძლება „კომპიუტერიზებული დედამიწა“ ეწოდოს.

ჩვენთვის ჩვეული საანგარიშო ხელსაწყო-კომპიუტერი უსათუოდ შეიძენს უფრო მეტი „ფიქრია“. აზროვნების და განსაზღვრის უნარს. ამიტომ შესაძლებელია, კომპიუტერს „კოგიტერიც“ — მოაზროვნე ეწოდოს (ეს სიტყვა ლათინურია და მოაზროვნის ნიშნავს).

\* \* \*

როგორც ცნობილია, ელექტრონული ციფრული კომპიუტერის მახსოვრობა სამი ძირითადი კვანძისაგან შედგება: ინფორმაციის მიწოდების და მიღების მოწყობილობა, დამამახსოვრებელი მოწყობილობა და პროცესორი. პირველი უზრუნველყოფს კავშირს გარე სამყაროსთან, გარდაქმნის ოპერაციისაგან მიღებულ ელექტრონულ იმპულსებს კოდში: დამამახსოვრებელი მოწყობილობა შეიცავს პროგრამას, საწყის მონაცემებს, შუალედურ შედეგებს და სხვა ინფორმაციას, რაც საჭიროა სხვადასხვა ოპერაციის ჩასატარებლად და მის ცალკეულ ნაწილებთან კავშირისათვის; პროცესორი კი ცენტრალური დამამუშავებელი მოწყობილობაა და წარმოადგენს კომპიუტერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

სანამ თანამედროვე კომპიუტერები დღევანდელ სახეს მიიღებდნენ, მათ მრავალი ცვლილება განიცადეს. რამდენიმე ათეული წლის წინათ პირველად კომპიუტერებში ინფორმაციის შესანახად იყენებდნენ ელექტრონულ ნათურებს, მაგრამ ის ნაკლები ჰქონდათ, რომ მუდმივად გამოყოფდნენ სიბოზს, რაც მოითხოვდა შენობების გაცივებას მძლავრი კონდიციონერებით. ამასთან, მოუხერხებელი, ძვირადღირებული და არასაიმედო ელექტრონული ნათურები დიდძალ ენერჯიას შთანთქმავდნენ.

ეს პრობლემები გადაწყვიტეს 1947 წელს ულიამ ზოკლიმ, ჯონ ბერლინმა და უოლტერ ბრეტტინმა.

# საოცარი რიკაუნიდან მოაზროვნა როსოზუსადა

მათ კომპანია „ბელის“ ლაბორატორიაში შექმნეს ტრანზისტორი, რომელიც იგივე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც ელექტრონული ნათურა, მხოლოდ მასში გამოიყენებოდა ნახევრადგამტარების ელექტრონული თვისებები. ამ გამოგონებამ დააჩქარა პირველი მიკროკომპიუტერისა და სხვადასხვა სახის გამოთვლელი მანქანის დამზადება.

50-იანი წლების ბოლოს ორმა ამერიკელმა ინჟინერმა ჯექ კლიმმა და რობერტ ნოისმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს კომპიუტერული ტექნიკის განვითარებისათვის: მათ შექმნეს ინტეგრალური მიკროსქემა (ჩიპი), რომელიც შეიცავდა ერთმანეთთან შეერთებულ ტრანზისტორებს, რეზისტორებს, და კონდენსატორებს. პირველად ყოველი ინტეგრალური სქემა შედგებოდა მხოლოდ რამდენიმე ტრანზისტორისაგან. მაგრამ ტექნიკა ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ ჯერ ათობით, ხოლო შემდეგ ასობით ტრანზისტორი (უფრო მეტიც) თავსდება და სილიკონის ფირფიტაზე, რომელსაც მხოლოდ თითის ფრჩხილის ზომები ჰქონდა. მერე დაამუშავეს მიკროპროცესორი — ჩიპი, რომელზეც განლაგდა მთელი ცენტრალური გადამამუშავებელი მოწყობილობა. ამან ძალზე გაამარტივა კომპიუტერი. იგი მინიატიურული გახდა და შეამცირა მასში გამოყენებული ჩიპების რაოდენობა.

სწრაფი ტექნიკური პროგრესის შედეგად, განსაკუთრებით მიკროელექტრონიკაში, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ზომის კომპიუტერების დამზადება. განსაკუთრებული მუშაობა წარმოადგინა მიკროკომპიუტერებისა და სუპერკომპიუტერების კონსტრუირებისათვის. დღეს სუპერკომპიუტერებში წამში ასრულებენ მილიარდობით ოპერაციას და ინახავენ მილიონობით ინფორმაციულ ერთეულს

დამამახსოვრებელ მოწყობილობებში. მაგალითად, უკვე დამზადებულია კომპიუტერი, რომლის წარმადობაა 10 მილიარდი ოპერაცია წამში. უფრო მეტიც, თუ ამ კომპიუტერს დაემატება გარეშე მახსოვრობის მოწყობილობა, იგი ერთ წამში 10-ჯერ მეტ ოპერაციას შეასრულებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა კომპიუტერი — „კავშირგაბმულობის მანქანა“, რომელიც მოთავსებულია პლასტიკურ კუბში (წახნაგების სიგრძე — 1,5 მეტრი) და ერთ წამში რამდენიმე მილიარდ ოპერაციას ასრულებს. ამასთან, სხვა სუპერკომპიუტერებთან შედარებით ის 4-ჯერ უფრო იაფია. ამ მანქანამ ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს წამის ერთ მეოცედში „წაიკითხა“ 16.000 საგაზეთო ინფორმაცია.

დასავლეთ გერმანიის ელექტროტექნიკური ფირმა-გიგანტის — „სიმენსის“ 82 ათასი მეცნიერი თანამშრომელი განსაკუთრებული მონდომებით შექმნა „ხელოვნური ინტელექტის“ კვლევის საკითხებზე. საინტერესო შედეგებს მოელონ სპეციალისტები 1,7 მილიარდი მარკის ღირებულების ე. წ. „მეგაპროექტისაგან“. მთავარი ახლა მათთვის ის არის, რომ მიადწიონ ისეთი ელექტრონული დამამახსოვრებელი მოდულებების დამზადებას, რომლებშიც მოხდება მილიონზე მეტი ინფორმაციის ერთეულის დამამახსოვრება. ბიძა — ეს არის ინფორმაციის ყველაზე მცირე ერთეული — კომპიუტერის მახსოვრობის ელემენტარული უჯრედიდან ორიდან ერთი შესაძლებელი მდგომარეობა. ერთი მდგომარეობა აღინიშნება „1“ და მეორე — „0“-ით.

ჩიპებისთვის მოუწმენის პერლამის რაიონში სწრაფად ჩამოყალიბდა „აზრის ფაბრიკა“, სადაც 7 ათასი მეცნიერი თანამშრომელი მუშაობს, პოლო რეგე-

## (დასასრული. დასაწყისი 33. 10)

— მოდი, გოგო, მოდი!

ჩვენებური, ქართლელი კაცის დინჯი კილო ჰქონდა, ხელს მიქნევდა და მიხმობდა. მე კი დაბნეული და ცოტა არ იყოს, შეშინებული, სწრაფად გავშორდი იქაურობას. უკან არც მიმიხედავს, ისე გავიარე კარგა მანძილი.

ბორჯომში რომ ჩავედი და ჩვენებთან სულო მოვიტევი, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, ასე იყო და ასე-მეთქი.

ბიძაჩემს თვალები გაუგანერდა, სახე წამოგეზნო, მოხუცის გარეგნობა კიდევ ერთხელ ამაწერინა და ხმის თრთოლით წამოიძახა:

— სტალინი!

ამ სახელის გაგონებაზე ლამის თავზარი დამეცა. ბიძაჩემმა მითხრა, ეს რამდენიმე დღეა დასასვენებლად ჩამოსული და რომანოვისეულ სასახლეშია დაბინავებულიო.

არ დაგავიწყდეთ: 1951 წელია, ის დროა, როცა სტალინი მსოფლიოს აზნაზარებდა.

ცოტა ხნის წინ კი სასახლის ხილზე იდგა, გრილი ნიავის ქროლით ტკბებოდა. თითქოს ნახვის ნატვრითა და წყურვილით მიხ-

მობდა, მოდი, გოგო, მოდიო. მე კი შეშინებული და დაბნეული გავეჭეცი. ყველაფერს ვიფიქრებდი, ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ სტალინს კი არა, ისიც მართლმარტოს, ხიდის ყურესთან...

— გეძახოდა, ჰა? — მკითხა ბიძაჩემმა.

— მეძახოდა, მოდი, გოგო, მოდიო, — ძლივს დავძარი ენა.

— მერედა, რამ შეგაშინა, შე სულელო!.. მისულიყავი... გეთქვა რამე. ეგებ ვახოს, იმ უბედურ ბიჭს შეველებოდა!..

— ვაი, ჩემ თავს! — ორივე ხელი ლოყებზე შემოვიწყე. სახე თონესავით მიხურდა.

— ეჰ, რა შემთხვევა გაუშვი! — ხელი ჩაიქნია ბიძაჩემმა. — იმისი ერთი სიტყვა და ბიჭი შინ გვეყოლებოდა!..

შიში და აღმაფრენა ერთიანად მაცახცახებდა, სინანულიც მტანჯავდა. ბიძაჩემმა ხომ ცეცხლზე ნავთი გადაამისხა. ვახოს წინაშე დიდი დანაშაული ჩავიდინე, შემეძლო მისი დახსნა, ჩემი დაუფიქრებლობითა და უგუნური საქციელით წყალში ჩავყარე ჩვენი ბედნიერება.

თავად ღმერთკაცი მემუდარებოდა, მოდი, გოგო, მოდიო! ვაჰ, შენ ჩემო თავო! აღარ ვიცოდი, რა მექნა. ცხარე ცრემლით

ავტირდი. ძლივს დამამშვიდა ბიკოლამ. ეს ყველაფერი დედაჩემსაც ვუამბე. მთელი საავადმყოფო შეიყარა. ვინც კი ფეხზე იდგა, ექიმი თუ ავადმყოფი, ექთანნი თუ დამლაგებელი, ყველანი შემომხევივნენ. მეკითხებოდნენ და მამტყუნებდნენ, ეს რა ჩაგიდენია, როგორ გამოექეციო. მხრებს ვიწურავდი და აღარ ვიცოდი, რით გამემართლებინა ჩემი საქციელი.

მთელი ღამე არ მეძინა, ვშფოთავდი. სულ თვალწინ მედგა ბერიკაცი სტალინი, მის უღვაზეში ჩაბუდებული ღიმილი, მესმოდა მისი ხმა... რაც დრო გადიოდა და რაც უფრო ვიხსენებდი მის სახეს, უფრო და უფრო გამოიკვეთა მსგავსება ცოცხალისა და იმ სურათებისა, ჩვენი ცხოვრების მთავარ ხატებას რომ წარმოადგენდა, შინ თუ გარეთ, ყველგან რომ ეკიდა.

მეორე დღეს ავითატე ნათია, კვლავ რკინიგზას დავადექი. მივდიოდი იმ განზრახვით. რომ უთუოდ შევხვედროდი სტალინს. რაც უფრო ვუხლოვდებოდი რომანოვების სასახლის ხიდს, მით მეტი მღელვარება მიპყრობდა, მით მეტად მეკვეთებოდა მუხლები. თავს ძალას ვატანდი, გზაზე რომ არ დავცემულიყავი. თითქოს ფეხდაფეხ მომდევდა შორეულ ციმბირში გა-

ნსბერგში რინზე წარმოებს საამქროს მშენებლობა „საოცრება-ჩიპების“ გამოსაშვებად. მათზე 1,4 მილიარდი დასავლეთგერმანული მარკა დაიხარჯება.

ჩიპი — სილიციუმის ფორფიტაზე, ზომით ერთი მონეტა, შეიცავს მილიონზე მეტ სქემურ ელემენტს და ელემენტთაშორის შეერთებებს. თითოეულის ზომა შეადგენს მილიმეტრის ერთ მეათედს. წარმოების დროს მტკვრის უპაწინებელი ნაწილაკის მოხვედრა მიკროსქემაში იწვევს მოკლე ჩართვას და მწყობრიდან მის გამოსვლას. ამ მაგალითად: თუ მიკროსქემას წარმოვიდგენდით 40 ფეხბურთის მოედნის ტოლად, მაშინ მასში მოხვედრილი ერთი ბორბლის მარცვალს შეედლო მისი დაზიანება.

ჩიპის დამზადების დროს საჭიროა 200 ოპერაციის ჩატარება და ისეთი სისუფთავის დაცვა, რომელიც 1000-ჯერ მეტია, ვიდრე საოპერაციო ოთახში. თანამშრომლებს უფლება არ ეძლევათ, სივარეტი მოწონს მანინაც კი, როცა შინ იმყოფებიან. ბაქტერიასაც კი შეუძლია, მთელი დღის პროდუქცია ჩართად აქციოს.

თანამშრომლები სამუშაოს დაწყების წინ კოსმონავტივით სპეციალურ ტანსაცმელს იცვამენ. მათი კოსტიუმები შეკერილია ისეთი ქსოვილისგან, რომელშიც მიკრობები ვერ აღწევენ. სამუშაო „სუფთა ოთახებში“ შემაჯავლი ჰაერი ფილტრებში გადის. ფილტრი „აჩერებს“ 0,0008 მილიმეტრის ზომის ნაწილაკს. ასე რომ, მეგობრითი ინფორმაციის დამამახსოვრებელი მოწყობილობა, პროდუქცია კი არ არის, არამედ ტექნოლოგიაა, რომელიც ჩვენ ვიყენებთ, — აცხადებენ „სიმენსის“ სპეციალისტები.

ოთხმეგობრითიანი მიკროსქემები, რომელთა გამოშვება ფირმა „სიმენსმა“ 1990 წლიდან უნდა დაიწყოს, სპეციალისტების აზრით, შეაძლებელს გახდის, რომ რობოტებმა „დაინახონ“. ხოლო, თუ ზუთი წლის შემდეგ 16-მეგობრითიანი ინფორმაციის დამამახსოვრებელი ჩიპი შეიქმნება, მისი ყოველი მიკროსქემა ტექსტის 1200 ფურცელ ინფორმაციას მოიცავს. ასეთი ჩიპები ინფორმაციის 16 მილიარდ ერთეულს შეიცავენ.

„ხელოვნური ინტელექტის“ პროექტის განხორციელების საბოლოო შედეგი უნდა იყოს კომპიუტერი, რომელიც დამახსოვრებულ ინფორმაციას გასცემს, და, გარდა ამისა, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსაც მიიღებს. ასეთ კომპიუტერებთან ნამდვილ დიალოგს გამართვენ ადამიანები. ზოგიერთ შემთხვევაში კი ისინი ხაიმედო მრჩევლები გახდებიან ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას. „სიმენსის“ სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ კომპიუტერები „ბუნებრივ ენაზე“ გასცემენ პასუხს თავის მომხმარებლებს.

ფირმა „სიმენსის“ პროექტი (სახელწოდებით „მეგაპროექტი“) დაჯდება 1,7 მილიარდი დასავლეთგერმანული მარკა და როგორც უკვე აღინიშნა, ამ საქმეში 32 ათასი მეცნიერი მუშაობს ჩაბმული.

„მოზროვნე რობოტებზე“ ახლა ბევრს ფიქრობენ იაპონიაშიც. კომპანია „ფუძიცუმი“ დაამუშავა მსოფლიოში პირველი ბიოკომპიუტერის პროტოტიპი, რომელშიც თავს იჩენს ადამიანის ტვინის ფუნქციონირების მექანიზმის წაბადვა.

ახალ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას „ნიროკომპიუტერი“ შეარქვეს მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა. იგი თავისი „თანამომკვებებსაგან“ იმით განსხვავდება, რომ თვით ეძებს ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად და ამისათვის არჩევს ყველაზე რაციონალურ საშუალებას. „მოზროვნე“ კომპიუტერი იხსოვებს თავის მოქმედებას და ახალი დავალების მიღების დროს იძლევა სინამდვილესთან ახლოს მდგომ პასუხს. იგი თითქოს სწავლობს თავის შეცდომებსა და სიზუსტეს.

ახე რომ, კომპიუტერს ექნება დამოუკიდებლად „ფიქრის“ და ავტონომიურად მოქმედების უნარი. ეს მიზანი რომ იქნეს მიღწეული, როგორც აღინიშნა, კონსტრუქტორებმა საფუძვლად აიღეს ადამიანის ტვინის მოქმედების პრინციპი და მას შეუთავსეს ბიოტექნოლოგია და ელექტრონიკა.

აბა, წარმოიდგინეთ ახეთი საურათი.

პატარა იზოლირებულ კაბინაში სატელევიზორი ეკრანის წინ ზის კაცი, რომელსაც სადენების მთელი წყება აქვს და დაძაბულად უყურებს თეთრ წერტილს დისპლეის ეკრანის ცენტრში. მოულოდნელად ეს წერტილი გამოცოცხდება და ზევით იწყებს მოძრაობას. შემდეგ შეუფერდება უცბად და ისევ ქვემოთ დაეშვება. პატარა წერტილის მოძრაობა ნიშნავს კიბერნეტიკის ვახაოცარ მიღწევას — ისეთი კომპიუტერის შექმნას, რომელიც ადამიანის აზრებს კითხულობს. ინჟინრისა და ნეიროფიზიოლოგის ლ. პინენოს ეს ხელსაწყო, როგორც ავტორს მიაჩნია, გადაწყვეტს კომპიუტერისთვის ინფორმაციის სწრაფად გადაცემას.

ჭერ ეს მეცნიერი, ისევე როგორც ბევრი მისი მიმდევარი, ცდილობდა, ესწავლებინა კომპიუტერისთვის ადამიანის ლაპარაკი შეგრძნება, მაგრამ შემდეგ მას ფანტასტიური აზრი დაებადა — ეცადა უფრო პირდაპირი მეთოდი. საფუძვლად ლ. პინენომ აიღო შედვიცინის ხელსაწყო ტვინის სხვა-



დასხვა უბნიდან ბიოდენების მისაღებად. თუკი ადამიანს შეუძლია, განახვავოს ბიოდენების ბაზიოთი, რომლებიც იქმნება სხვადასხვა აზრის, ან სიტუაციური ბრძანებების შედეგად, მაშ, რატომ არ შეიძლება, ყოველივე ამის გაკეთება ვასწავლოთ კომპიუტერს?

მრავალი ცდის შემდეგ მეცნიერმა შეძლო, თავისი კომპიუტერისთვის განესხვავებინა შვიდა ბრძანება: „ზევით“, „ქვევით“, „მარცხნივ“, „მარჯვნივ“, „სწრაფად“, „ნელა“ და „შეჩერდი“.

დიახ, ეს სიტუაციური კი არა, არამედ გონებაში წარმოქმნილი ბრძანებებია. ექსპერიმენტებში, რომლებშიც 25 კაცი მონაწილეობდა, კომპიუტერმა ბრძანებების 60 პროცენტი სწორად გაიგო.

მეცნიერები და კონსტრუქტორები სულ უფრო დიდი მახსოვრობის ჩიპებს ქმნიან და უფრო სერიოზულად ესწრაფვიან, რომ რობოტებმა შეძლონ „ფიქრი“ და აზროვნება.

ბევრი ოცნება ადამიანის გენიამ სინამდვილედ აქცია.

იქნება ამჟერადაც ასე მოხდეს? ვინ იცის.

### ანდრე კარბელაშვილი

დასახლებული ვახოს ორეული და მომძაზროდა: ეგებ რამე მიშველო, თამრო!

და მეც მივდიოდი. ისევ ის კაბა მეცვა, ვახოს რომ უყვარდა. მივდიოდი და თან იმედიც მიმდევდა, გულის სიღრმეში მიხაროდა კიდევ, რომ იმ დღეს უთუოდ შევხვდებოდი სტალინს და ჩვენს შეხვედრას უთუოდ მოჰყვებოდა რალაც, უთუოდ მოჰყვებოდა...

ხიღს რომ მივუახლოვდი, შევდექი. ხიღზე კაციშვილის ჰაჭანება არ იყო. რა სულელი ვარ! განა სულ აქ იდგებოდა ის კაცი? მთავარია, აქ ხომ არის, სასახლეში. აქვე, სადმე კბოდეზე ჩამოვჯდები რკინიგზის პირას, ჩამოვჯდები და დაველოდები, ვიდრე სასახლიდან არ გამოვა, არ ჩამოჰყვება კიბეს, ვიდრე არ გამოივლის აგურის ფხვნილით მოტყეპნილ ბილიკზე და არ გამოვა ხიღზე. დამინახავს, ამ კაბით მაინც მიცნობს და ისევ მიმიხმობს: მოდი, გოგო, მოდი! უმაღვე ჩავიბრუნე ხიღზე. არ ვიცი, თუ გულმა გამიძლო და მივალწიე. თუკი მოვანერხე, დავუჩოქებ და ვეტყვი, ვემუდარები, რომ ჩემი ვახო არ არის სამშობლოს მოღალატე, არა, არა! ამის გაფიქრება; არ მინდა, დიდო სტალინ! ჩემს ვახოს გვედრებით, დიდო ბელადო!

სასახლისაკენ გავიხედე. გავიხედე და ერთხანს თვალი არ მოვაშორე. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, რაც ასე ვიდექი. გულისფეთქვა ყელში ამომდიოდა.

უცებ, საიდან გაჩნდნენ, ღმერთმა უწყის, ციდან ჩამოფრინდნენ თუ მიწიდან ამოიმართნენ, ორი ზორბა მამაკაცი დამიდავა აქეთ-იქიდან.

— აქ რას აკეთებ? — მკითხა ერთმა რუსულად.

ენა მუცელში ჩამივარდა.

— აბა, მოუსვი აქედან! — რუსულადვე შემიტია მეორემ, — აქ სახეტიალო ადგილი არ არის! მოუსვი, მოუსვი!

შემიტია და ხელი ბორჯომისკენ გამიქნია, მე კი შიშით გათანგულმა შველი გულზე მივიკარი და შინისკენ გავიქეცი. ასიოდე მეტრი რომ გავიბრუნე, გული ლამის ამომვარდა. შევდექი, შეშინებულმა მივიხედე ის კაცები არ მომდევნენ-მეთქი. გზაზე არავინ ჩანდა. არც ხიღის ყურეზე ჩანდა ვინმე.



ერთხელ სიზმარში ვნახე ვახო. ნეტავი ისე არ მენახა! გაუბედურებული, ჩამოძენ-

ძილი ჩემკენ მოდიოდა, მე კი ვშორდებოდი, პირს ვარიდებდი, ისე გავუბრლოდი. თითქოს დიდი დანაშაული მიმიძლოდა, მთელი მისი უბედურების მოთავე მე ვყოფილიყავი.

დავაშავე კი რამე?

ღმერთმა განსაგოს, თუკი ასეა!

გულგახებთქილს გამეღვიძა. ბალიში ცრემლით დამესველებინა.

ის იყო და ის. მას მერე ბევრჯერ მინატრია, სიზმარში მაინც მენახა, თუნდაც ისე, გაუბედურებული, ტანჯული, ჩამოძენძილი... არა და არა, სიზმარშიც არ მეღირსა მისი ხილვა.

სტალინი გარდაიცვალა. სულ სხვა დრო დადგა. ჩემი ვახო კი არ გამოჩენილა. მოგვიანებით რეაბილიტაციის ქალაქი რომ მივიღე, მაშინ შემატყობინეს, შორეული კალიმის ბანაკში მოკვდაო.

რალა დროს იყო, ცრემლი უკვე გამშრალი მქონდა.

1989 წ. სპეტემბერი, ბორჯომი — ლიპანი.

## ღათო ტურაშვილი

ყველას სახელს გულახდილად ვწერ, მშობელი სიღედრის გარდა. არ იფიქროთ, რომ მეშინია.

არა! უბრალოდ ვთვლი, რომ ასეა საჭირო...

ფიჯის კუნძულებზე, თურმე, სიღედრის სახელის ხსენების უფლება საერთოდ არა აქვს სიძეს...

\*\*\*

მეგობრებიც მყავდა და კეთილისმსურველებიც, მირჩიეს კიდევ, თავი არ დაიღუპო, მაგრამ აღამიანები ურჩები ვართ, სხვების მოსმენა და დაჯერება არ გვიყვარს და სანამ თავად არ ვიგეგმებთ მკდარი ნაბიჯის სიმწარეს, მართალი გვეგონია ჩვენი თავი...

ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს (მშვენიერს პირობითად ვუწოდებ) ცოლის მოყვანის ყოვლად უბადრუკი იდეა მომივიდა თავში და ველარც გადამაფიქრებინეს. ახლა წუწუნი გვიანია. ჩვენ უკვე პატარა ლუკა გვყავს და იმ უღლიდან თავის გამოყოფაზე ფიქრს (მე რომ შევყავი), აზრი არა აქვს.

... ლუკა ერთი წლისაა. მას თერთმეტი კაცი ზრდის მეზობლებიანად. დილიდანვე იწყება ღამის ქოთნებითა და ფაფებით სირბილი. ჩვენი პატარა ურჩობს და არის მუქარა და თითის ქნევები, აბა, ჰამე, თორემ ვეფხვი მოვა და ა. შ.

ლუკამ, რა თქმა უნდა, არ იცის, რომ უკანასკნელი ვეფხვი საქართველოში 1924 წელს მოკლეს და პირს აღებს. ჩემი ცოლიც კოვზითაა ჩასაფრებული.

მე აღმზრდელივით პროცესებში არ ვერევი, რაზეც ყველანი წუწუნებენ, განსაკუთრებით ჩემი საყვარელი სიღედრი, რომლის აზრითაც (სხვებიც იზიარებენ) ჩვენი ლუკა ძალიან ნიჭიერია და საოცრად ჰკვიანი თვალები აქვს. მე კი მათ არ ვეთანხმები (თუმცა ამას როგორ ვიტყვი) და მეშინია, ბავშვი დაუნად არ ჩამოყალიბდეს. განსაკუთრებით ახალგაღვიძებულზე ტოვებს დებილის შთაბეჭდილებას — პირი დაღებულ აქვს და შეშინებული იყურება აქეთ-იქით.

— სულ თქვენი გამოხედვა აქვს ბავშვს, — ვეუბნები მე სიღედრს და ვუღიმი. ისიც მიღიმის და უხარია.

უნდა ითქვას, რომ სიღედრი, დღიდან ჩემი და ნინოს



შეუღლებია, ცუდი თვალთ მიყურებს. ისიც უნდა დავძინო, რომ მე, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, უანგაროდ და გულწრფელად მიყვარს იგი. უფრო მეტიც: მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საჯაროდ განვაცხადო, ჩემი სიღედრი ჩემი სიამაყეა...

შვილ მარტს, დიდი ზეიმი იყო ჩვენს ოჯახში — ლუკამ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო. არ ვიცი, შეგნებულად თუ არა. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა პატარამ თავისი პირველი სიტყვა რვა მარტამდე ერთი დღით ადრე წარმოთქვა. და უდავოდ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს მიუძღვნა.

ის პირველი სიტყვა კი (უფრო სწორად ბგერა), რომელიც ბატონ ლუკას ეკუთვნის, გახლავთ „და“.

ამასთან დაკავშირებით, სახლში სერიოზული დავა ატყდა. ნინომ (ჩემმა მეუღლემ) გამოთქვა აზრი, რომ ბავშვს „დედას“ თქმა უნდოდა, მთლიანად. ვერ მოახერხა და მხოლოდ სიტყვის ბოლო მარცვალი ამოღებდა.

მე მაშინვე უარყავი ეს

იდეა, რადგან როგორ სუსტადაც არ უნდა აზროვნებდეს ბავშვი, ჯერ სიტყვის პირველ მარცვალს იტყვის და მერე მეორეს. ამაზე დაყრდნობით, მე მტკიცედ მწამს, რომ ლუკას „დათოს“ თქმა უნდოდა და უბრალოდ სათქმელი ბოლომდე ვერ მიიყვანა (პატარაა მინც).

... მეორე სიტყვა იყო „ლუ“. აქ ყველანი შეეთანხმდით, რომ ბავშვს „ლომის“ თქმა უნდოდა. დედაჩემი მეგობრია, სულ ლომს აკეთებს და ბავშვების ამბავი მოგესხენებათ, უფროსებისგან განსხვავებით, რასაც ისმენენ, იმას ამბობენ...

მესამე სიტყვა გახლავთ „ბაბა“. „ბაბას“ პურსაც ეძახიან პატარებთან, მაგრამ ლუკას ჯერ პურს არ აკმევენ და ეს გამორიცხებულია. მე ეჭვი მაქვს, რომ ლუკამ რუსულად წარმოთქვა ეს სიტყვა ქალის მნიშვნელობით („баба“).


სხვების არ ვიცი და, მე კი მეჯერა, რომ ამ დაჩქარებებისა და გარდაქმნების ხანაში ასეთი ასაკის ბავშვებისგანაც კი ყველაფერია მოსალოდნელი.

ნინოს დედას (ესე იგი ჩემს


სიღედრს) ძალიან სწყინს, რომ ჩვენმა პატარამ ჯერ ვერ მოახერხა ბებუის სახელის წარმოთქმა. მე, სიღედრის გულის მოგების მიზნით, ათასგვარ მეთოდს მივმართე, მაგრამ ამაოდ, ლუკას ვერაფრით შევასწავლე. სიმართლე რომ ვთქვა, მას ისეთი რთული სახელი აქვს, ერთი წლის ბავშვი კი არა, მე ძლივს ვამბობ ამხელა კაცი და ნამდვილად არაფერია ამაში საწყენი.

არც ის უნდა სწყინდეს ჩემს სიღედრს, რომ ლუკას ზოგჯერ შეკითხვები ერევა ერთმანეთში, სად გვიყვარვართ, ჩააჯინდება ბებიამისი და, ლუკა საჯდომზე იტყაბუნებს კოტიტა თითებს.

სიღედრი არაფერს მეუბნება, მაგრამ ისე მიყურებს, ვგრძნობ ჩემი ნასწავლი ჰგონია და ლმერთია მოწამე, მისთვის, კარგის მეტი, არაფერია მინდა. გავა, ალბათ დრო, გაიზრდება ჩვენი პატარა ლუკა. მეც ცოტა დავსერიოზულდები და ჩემი სიღედრიც დაიჭერებს, რომ მე იგი ალაღად და უანგაროდ მიყვარს...



# პაზო, უპილიპით ნაზარდო!



## ნათია ჯვიციანი

ძნეთის მიწაზე არსებული მონასტრის ვენახებში. თავისთავად ცხადია, ქართველი კაცი თავისი წინაპრებისაგან მიღებულ ცოდნას გამოიყენებდა და დანერგავდა ახალ პირობებშიც, მით უმეტეს რომ, მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი დონე საქართველოში მათ ამის საშუალებას აძლევდა. ამიტომაც გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ დაბლარ ვაზთან დაკავშირებული ასარვა, აჯოჯვა ანუ გაფურჩქენა მის თანამედროვე ქართულ სამეურნეო ყოფაშიც შეგვიძლია გადმოვიტანოთ და დავასკვნათ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საქართველოს მეურნეობაში ძირითადად დაბლარი მევენახეობა იყო განვითარებული, თუმცა არ წარმოადგენდა ვენახის ერთადერთ ტიპს, რაზეც წყაროებში მოხსენიებული „საბაბილო“ (ბაბილი-მაღლარი ვენახი) ჭერების“ არსებობა მიუთითებს.

ყურძენი მწიფდებოდა და ღვინდებოდა როგორც ვადებიც, როგორც თავის რამდენიმე კვირით ადრე ემზადებოდა. წესრიგში მოჰყავდათ ღვინის დასაბინავებელი ნაგებობანი და ჭურჭელი. ღვინის დაწურვისა და დაყენებას ღვინეობის აქცე-

დნენ. ეს თავისთავად ღვინეობის საბუნებისმეტყველო ერთ-ერთი პირობა მისი სუფთად დაწურვის ერთ-ერთი პირობის დასაწურად განსაკუთრებული გვებობა არსებობდა და ტექნიკური საშუალებანიც ჰქონდა.

ყურძენის დასაწურად განკუთვნილ განსაკუთრებულ ნაგებობათა რიცხვს „საწახელი“ მიეკუთვნება.

საყურადღებოა, რომ ნიკორწმინდის წინამძღვარი ყურძენს ადგილზევე ვენახშივე, წურავს და ამიტომაც, რომ „საწახელი“ და ყურძენის საწახელი იგი აგებს იქ, სადაც მას ვენახები მოეპოვება.

ასევე მოშორებითაა აგებული საწახელი ლეონტი მროველის თხზულებაში — „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. ლტოლვილებმა მოაღწიეს რა არცაა სომხეთისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქვიან ახალქალაქი, თავსედაფარი ჰპოვეს, ... მუნ, საწახელთა ვენახისათა, რომელი შენგულ არს ჩრდილოით — კერძ და აღმოსავლით, დაიხარადებოდეს მუნ შინა ქელთსაქმისაგან ვაჭრობით.

ტექსტიდან ირკვევა, რომ ვენახი მოშორებულ იყო დასახლებულ ადგილს და შესაბამისად საწახელიც, რომელიც უშუალოდ ვენახის მახლობლად ან სულაც ვენახში იქნებოდა ჩადგმული, ლტოლვილებისათვის საუკეთესო თავშესაფარი იქნებოდა. მეურნე გლეხს ეს ნაგებობა წელიწადში მხოლოდ ერთხელ, როგორც ღვინის დროს სჭირდებოდა. ამ შემთხვევაში ვენახის სამუშაოები ალბათ დამთავრებული იყო ან ჯერ არ იყო დაწყებული და ლტოლვილიც აქ თავს მშვიდად გრძობდა.

მეღვინეობასთან დაკავშირებულ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე „ვეფხისტყაოსანში“ ერთგან მოხსენიებული „მენა“.

სულხან-საბას განმარტებით „მენა-სამყოფი. სადგომი, მენასა კახნი ტაგარსა უწოდენ და იგივე ტყბილის სადგომია“.

ტავანი ტყბილის სადგომი ჭურჭელია (ე. ი. მეწინაც ჭურჭელი ყოფილა), მაგრამ არაგვისპირეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილია მეტად საინტერესო მოვლენა. აქ მისი ზოლის სოფლებში ვენახის მოშენება არახელსაყრელია. ამიტომაც მცხოვრებლები ვენახებს ბარის სოფლების ტერიტორიაზე აშენებდნენ. აქვე, ვენახებში, წურავდნენ ყურძენს და ტყბილი აქონდათ თვითონ სოფლებში ქვევრებში დასადუღებლად და შესანახად. ყურძენის დასაგროვებელი ჭურჭელი იდგა სახელდახელო ნაგებობის ჭურჭელში. საიდანაც ტყბილს, 2-3 ღვინის დაგროვების შემდეგ, ეზიდებოდნენ ზემო სოფლებში. ამ ნაგებობას „მენა“ ეწოდებოდა, ისევე როგორც ტყბილის ჭურჭელს, რომელიც აქ იდგა.

დაწურულ ღვინოს საგულდაგულო დაბინავება სჭირდებოდა, ღვინის დასაბინავებელ ნაგებობას XI-XII საუკუნეებში მარანი, ხოლო ჭურჭელს კი ჭური ეწოდებოდა. კარგ ჭურს ღვინის მნიშვნელობა ჰქონდა ღვინის ხარისხისათვის. ამიტომაც, რომ ნიკორწმინდელს თავის მარნებში ჩაყრილი ჭურების დიდი ნაწილი მათი დამზადებით ცნობილი სოფლიდან — ნავარძეთიდან შეუტყნია და სიგელში ხაზგასმით აღწინშავს კიდევ.

დაკრფილ ყურძენს გადაარჩევდნენ ფერისა და იმის მიხედვით, რა ტიპის ვენახიდან იყო მოკრფილი — დაბლარიდან თუ მაღლარიდან (ბაბილო).

წყაროებში მოხსენიებულია „ზედაშე“-ც. ეს სიტყვა ლეონტიძისადმი შეწირული სოფლის მეურნეობის პროდუქტების აღსანიშნავად საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება. ღვინის ზედაშეს დაყენება ხდებოდა როგორც ხატის ან ჯვრის, ისე კერძო მფლობელობაში მყოფი ვენახებიდან. ყურძენის მოსავლის საუკეთესო ნაწილს, პირველ ნაწურს თავ-ღვინოს ზედაშედ ჩაასხამდნენ. შესაწირავი ღვინის ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხის რწმენით, ცუდი ხარისხის ღვინის შეწირვა ღვთაების უმადყოფილებას იწვევდა (ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მსგ XII-XIII, 1963; გვ. 158).

ასე სათუთად უწოდებდნენ ჩვენი წინაპრები ვენახს და წმინდად ასრულებდნენ მოსავლის მიღებისა და შენახვის რიტუალს.

მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი დარგია. ვაზი ძველთაგანვე აინტერესებდა ადამიანს.

ქართული სამწერლობო ენის მნიშვნელოვან ძეგლებში, „დაბადების“ თარგმანში, ვაზის აღმნიშვნელ სიტყვად ვენახია გამოყენებული: „აღმოცენდა და იქმნა ვენახად უძღურად და კნინად სიდიდითა და სახედავად მისსა“. ვენახი აქ ვაზის ერთ ძირს აღნიშნავს. XI-XII საუკუნეებში კი ეს ტერმინი უკვე დღევანდელი მნიშვნელობით იხმარება. XI საუკუნის ერთ-ერთ სიგელში — „ნიკორწმინდელის დაწერილი“, წინამძღვარს არაერთხელ აქვს აღნიშნული სხვა მიწებთან ერთად ეკლესიის მეურნეობისათვის შეძენილი ვენახი.

ვენახის გარდა, წყაროებში ვაზით გაშენებული მიწის სახელწოდებად ზედაშეც ვხვდებით, მისი მცველის, მომვლელის აღმნიშვნელად კი — მეზერე.

ზეარს დღეს „დიდ ვენახს“ უწოდებენ. „ზეარი“ ტოპონიმიკაშიც მკვიდრადაა ფეხმოცილებული.

ვაზის ჩაყრის აღსანიშნავად ძველ ქართულში სხვადასხვა ტერმინებს ვხვდებით. მაგ. „დაბადებაში“ ნათქვამია, რომ ნოემ „დაასხა ვენახი“... ვაზის ჩაყრის აღმნიშვნელად გიორგი მერჩულე ვენახის დანერგვას იყენებს, გიორგი მთაწმინდელი კი შენიშნავს, რომ ათონის ივერთა მონასტრის ძმობა „...რამეთუ ვინაჲთან ახალნერგ იყენეს წუთ-და ვენახნი, ყოველთა სარითა განგება უნდა უფრომნი დღენი ვენახთა შრომასა შინა დაყენიან“. ესე იგი, რადგან ვენახი ახლად დარგული ყოფილა, ძმები მთელ დღეებს მის მოვლა-პატრონობაში ატარებდნენ.

ვაზის ჩაყრას და მის გახარებას ძველად „ვენახის აშენებაც“ ერქვა. „...მიწა ვენახად აეშენა“, აღნიშნულია XIII საუკუნის დასაწყისის სიგელში „დაწერილი მღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი“.

ახალჩაყრილ ნერგებს დიდი ყურადღება და მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა, რაც პირველ რიგში, ვაზისათვის საყრდენის გაკეთებაში გამოიხატებოდა. ამ პროცესს „ასარვა“ ან „სართა განგება“ ეწოდებოდა. ამის გარდა ვენახში სხვა მრავალი სამუშაოებიც იყო ჩასატარებელი — გასხვლა, აჯოჯვა, მთოხნა.

„მაშინვე ნახი თვით ეს ვენახნი, კეთილგანსხლული, სორქთ მოთრთმელი“, ამბობს შეეთელი „აბუდლმესიაში“. თვით ტერმინი — „კეთილგანსხლული“ — კი იმაზე მიუთითებს, რომ საჭირო ყოფილა გარკვეული ცოდნა და დიდი გამოცდილება ვაზის კარგად მოსავლელად, ისე რომ მისი შესაძლებლობა თვალის ერთი გადავლებითაც გასაგები ყოფილიყო.

სხვლის პროცესთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს „აჯოჯვა“. „და მისთა, შრომითა და ღუაწლთა ზედა, ოდესცა რაჲმე საეროჲ საქმე არნ მონასტრისაჲ, თვნიერ უცალოებისა თანავე გავიდის... გინა თუ ვენახთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულებასა“, ნათქვამია ეფთვიმეს შესახებ „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“. „აჯოჯვა“ სულხან-საბასეული განმარტებით „ვენახის შტოს მოტეხა“ ყოფილა.

მევენახეობაში საბასგან აღწერილი სამუშაო მართლაც არსებობდა, ვაზს ზედმეტ ტოტებს მართლაც აცლიდნენ, მოსტეხდნენ ხოლმე, მაგრამ ამ პროცესს ვაზის, ვენახის გაფურჩქენას უწოდებდნენ. მისი მიზანია ნაბარტყის მოშორება, რათა ვაზმა მთელი ენერჯია სამამულე და სანაყოფე რქების ზრდა-განვითარებას მოახმაროს. სპეციალისტები გაფურჩქენას „მეორე სხვლას“ უწოდებენ; მართლაც ეს სამუშაო სხვალზე ნაკლებ ცოდნას და დაკვირვებას როდი მოითხოვს. საჭიროა „მეფურჩქენაში“ კარგად იცოდეს ყველა რქის დანიშნულება. აგრეთვე სწრაფად უნდა შეეძლოს ნაბარტყის გამოცნობა, ამიტომ ამ საქმიანობას მოხუცი, გამოცდილი მამაკაცები ეწოდებდნენ (ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, 1974, გვ. 86).

ვენახის დანერგვა-გაშენებასთან დაკავშირებული ჩვენს მიერ მოყვანილი ძირითადი ცნობები ათონის მონასტრის მეურნეობასთანაა დაკავშირებული. ამ საქმიანობას ქართველი ძმები ეწოდებდნენ საბერ-

19316

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ინსპუბ. ბ. ნ. ბ. თეძა

ომეროსის ჰიმნი გვიამბობს, დიდებული ქალღმერთი დემეტრა თავისი ასულის ძებნისას როგორ მიაღწა კელეოს მეფის კარს და, ძიძის სახით წარმდგარი, ვერაინ იცნო. დედოფალმა მეტანერამ გასაზრდელად მას ახლობილი პატარა დემოფოონი ჩააბარა, ვინაც შემდეგში ტრიპტოლოში, მიწათმკვმელების მფარველი გახდა.

როცა სასახლეში ყველა კარი დაიკეტებოდა და მისი ბინადარი დიძინებდნენ, დემეტრას დემოფოონი აკვნიდან ამოჰყავდა და ვითომ გულჭკობით, სინამდვილეში კი უსაზღვრო სიყვარულით, ნაკვერცხლებზე აწვენდა. ბაღლი ტყვივლებისაგან იგრიხებოდა, მაგრამ კვდებოდა კი და ზეადამიანურ სიმადრესა და სიჯანმრთელეს იძენდა. ვაი რომ ვერ შეძლო დემეტრამ თავისი ზრახვის განხორციელება. ლეგენდის მიხედვით, შეშფოთებულმა მეტანერამ ერთხელაც შეიხედა დემეტრას სენაკში, ქალღმერთი ხელისკვრით მოაშორა საწოლს, ნაკვერცხლები გადაისროლა და ბაღლი იხსნა, თუმცა ღმერთი კი მასში დაღუპა.

### წინასიტყვაობა

სამი წლის წინათ მე ვაცხადებდი ჩემს სიყვარულს და ჩემს აღტაცებას სსრკ-ით, სადაც უბრეცენდენტო ექსპერიმენტი ტარდებოდა და ყველას იმედით ვგვივსებდა გულს. იქიდან ველოდით უდიდეს პროგრესს, გვეგონა, იქ მოხდებოდა ის აფეთქება, რომელიც მთელ კაცობრიობას თავისი მაგალითით გაიყოლებდა.

მე ვწერდი მაშინ, 1935 წლის ოქტომბერში „სსრკ-ის მიმართ სულელური და უპატიოსნო თავდასხმები ჩვენ გვაძლევს კიდევ უფრო მეტი თავგამოდებით დავიცვათ იგი. თუკი ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, სსრკ-ის დაცვას მყის მისი გამკიცხველები დაიწყებენ. რამეთუ ხოტბას შეასაბენ იმ დათმობებსა და კომპრომისებს, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს თქვან. „აი ხომ ხედავთ!“ მაგრამ რომელთა გამოც იგი დასახლდნენ მიზანს გადაუხვევს. დაე ჩვენმა თვალსაზრისმა, მიმართულმა ამ მიზნისაკენ, ნება არ მოგვცეს, ზურგი ვაქციოთ სსრკ-ს“.

ასეც მწამდა მე, და უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღებამდე, ჩემს საკუთარ თავში დაეჭვებულმა მოსკოვში ჩემი ჩამოსვლიდან ოთხი დღის შემდეგ გორკის დაკრძალვისას წითელ მოედანზე კიდევაც ვთქვი: „ჩვენს გონებაში კულტურის ბედს ჩვენ ვუკავშირებთ სსრკ-ს. ჩვენ მას დავიცავთ“.

სსრკ „შენდება“. ეს გამუდმებით უნდა ჩაგონო თავს. ამიტომაც ასე ვიტაცებს ამ უკიდურეს ქვეყანაში ყოფნა, ქვეყანაში, რომელიც მშობლიურ ქალს დამსგავსებია და ასე გგონია, თითქოსდა მომავალი შენ თვალწინ იბადება.

იქ კარგიცა და ცუდიც ბევრია, უკეთ, ყველაზე კარგიცა და ყველაზე ცუდიც. ყველაზე კარგი ხშირად წარმოუდგენელი ძალისხმევითაა მიღწეული. ამ ძალისხმევით არც ყოველთვის და არც ყველგან მიღწეულია ის, რისი მიღწევაც გულისხმად ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც. ზოგჯერ კარგი ცუდს ერწყმის, შეიძლება ითქვას, მისი გაგრძელებაა. ის გადასვლები კი შუქიდან ბნელში ფრიად მძიმე და სამწუხაროა.

ვის შეუძლია იმის განსაზღვრა, რა იყო ჩვენთვის სსრკ? არა მარტო რჩეული ქვეყანა, არამედ მაგალითი, ქმედებათა სახელმძღვანელო, ყველაფერი, რაზედაც ჩვენ ვოცნებობდით, რაზეც ვფიქრობდით, რისკენაც ვისწრაფოდით და რისთვისაც არა დონეს არ დავიშურებდით. ეს იყო მიწა, სადაც უტოპია რეალობად უნდა ქცეულიყო.

თუ ზოგი დანაპირები არ შესრულდა, სად ვეძიოთ ამის მიზეზი? ჩავთვალოთ, რომ მიზეზი პირველი დეკრეტებია ან, უფრო სწორად, მიზეზი მისი არასწორი შესრულებაა — გადახვევები, დარღვევები, მდგომარეობასთან შეგუებანი, რაგინდ გასამართლებელი მიზეზებიც არ მოეძებნოს?..

### I

მშენებლობაზე, ფაბრიკებში ან დასასვენებელ სახლებში, ბაღებში, „კულტურის პარკებში“ მუშებთან შეხვედრებს ხშირად ჰქმნარბიტი სიხარული მოუგვრია ჩემთვის. მათი ძმური განწყობა შეშფოთების გრძობას მიქრობდა და გულს ღებნივთ მივსებდა. რამდენჯერ სიხარულის, სიყვარულის და სინაზის ცრემლები მომსვლია თვალზე: მაგალითად, დონბასის შემახტეთა დასასვენებელ სახლში, სოკის მახლობლად... არა, იქ არ იყო წინასწარი შეთანხმება. მე მოულოდნელად და გაუფრთხილებლად მივედი იქ ერთ საღამოს და მაშინვე ნდობა აღმეძრა მათი.

ანდა ბორჯომის ახლოს საბავშვო ბანაკის მოულოდნელი მონახულება. ეს იყო ძალზე უბრალო, თითქმის ღარიბული ბანაკი, მაგრამ ბავშვები ისე ჯანსაღად გამოიყურებოდნენ, ისეთი ბედნიერებით უბრწყინავდათ სახეები, თითქოსდა თავიანთი სიხარული ჩვენთვისაც სურდათ ეწილათ. ან რამდენი შეხვედრა მქონდა კიდევ ამას გარდა ქართველ ბოტებთან, სტუდენტებთან, ინტელიგენტებთან, მუშებთან. ბევრი ძალიან მომეწონა, გულიც კი დამეწყდა, მათი ენა რომ არ ვიცოდი. მათი ღიმილი და თვლები ისეთ წრფელ გულითადადას ასხივებდნენ! უნდა ითქვას, რომ მე ყველგან მათ მეგობრად წარმადგინეს და ყველგან, როგორც მეგობარს, ისე მხვდებოდნენ.

ყველა ბიონერულ ბანაკში, რომლებიც კი მოვიხახულე, ბავშვები ლამაზები, ნაბატებიანი, კარგად მოვლილნი და მხიარულნი იყვნენ. ნათელი, მიმდობი მზერა, გულუბრყვილო და წრფელი სიცილი. შეიძლება უცხოელი მათ სასაცილოდაც მოჩვენებრდათ, მაგრამ დაცინვის ნატამალი ერთხელაც კი არავისთვის შემომჩნევია.

ასეთივე დინჯი, ბედნიერების გამომხატველი გამომეტყველება შემინიშნავს უფროსებზედაც, ასეთივე ლამაზები და ძლიერები იყვნენ ისინიც. „კულტურის პარკები“, სადაც ისინი საღამოობით მუშაობის შემდეგ მიდიან ხოლმე, მათი ერთ-ერთი უეჭველი მონაპოვართაგანია.

მე იქ ხშირად მივლია. როგორც კი იქ შეაბიჯებ, მყის სულ სხვა სამყაროში მოხვდები კაცი. ბლომად ირევიან ახალგაზრდები, ქალები და მამაკაცები, ყველა დინჯად და ღირსეულად გამოიყურება. ამ უზარმაზარ პარკში ყველგან პატარ-პატარა ისტრადები მოწყობილი, საიდანაც იმპროვიზებული ლექტორები ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, პრაქტიკულ მედიცინაზე, ფიზიოლოგიაზე თუ სხვა და სხვაზე, ლექციებს კითხულობენ. ლექციებს დიდი გულისყუ-

რით უსმენენ ხოლმე. როგორც მოგახსენეთ, არსად და არც ერთხელე ქვეყანაში არავისთვის შემომჩნევია.

რა თქმა უნდა, ბევრი ფაბრიკა, სახლი, ხულე. მათ ნორმალურ მუშაობაზეა დამოკიდებული ხალხის მთელი სიკეთე და დოლოლათი. მაგრამ მე სპეციალისტი არ ვახლავართ და ვერ ვიმსჯელებ წარმოების ორგანიზაციაზე. ეს სხვების საქმეა და მათ შექებას მეც ვუერთდები. ჩემს კომპეტენციას მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური საკითხები შეადგენს. და სწორედ მხოლოდ მათ განვიხილავ. ხოლო თუ გზადაგზა სხვა რამეს შევხვებ, ესეც მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისის გამო იქნება.

ასაკში შესვლასთან ერთად სულ უფრო ნაკლებ მაინტერესებს პეიზაჟები, როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს ისინი, და სულ უფრო მეტად მიზიდავენ ადამიანები. სსრკ-ში შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობენ, საქართველოში — კახეთში, აფხაზეთში (სადაც ვიყავი), განსაკუთრებით კი, როგორც მეჩვენა, ყირიმსა და ლენინგრადში.

მე დავესწარი ახალგაზრდების ზეიმს მოსკოვში, წითელ მოედანზე. კრემლის პირდაპირ მდგარ უშნო შენობებს მწვანე ტოტები და ლოზუნგები ფარავდა. ყველაფერი დიდებულად და დიდი გემოვნებით იყო მოწყობილი. ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ჩამოსული მშვენიერი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ წითელ მოედანზე გამართულ პარადში, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა.

მოსკოვიდან ორჯონიკიძეში მივემგზავრებოდით. გზა დიდი იყო. მწერალთა კავშირის სახელით მიხაილ კოლცოვმა საგანგებო, ფრიად კომფორტაბელური ვაგონი გამოგვიყო. ექვსივე: ჯეფ ლსტი, გიიუ, ჰერბარტი, შიფრინი, აბაი და მე შესანიშნავად მოვეწყეთ. თან გვახლდა ჩვენი გიდი და თარჯიმანი ამხანაგი ბოლია. საძილე კუბების გარდა ვაგონში სალონიც გვექონდა, სადაც სუფრას გვიშლიდნენ. ოღონდ ის არ მოგვწონდა, მატარებლის სხვა მგზავრებს რომ ვერ ვხვდებოდით. მახლობელ სადგურზე ჩასვლისას აღმოვაჩინეთ, რომ მეზობელ ვაგონში თურმე ძალზე სასიამოვნო კამპანია მგზავრობდა. ისინი კომკავშირელები იყვნენ, არდადეგების ხანს ყაზბეგზე ასეა დადაეწყვიტათ. ძლივს მივაღწიეთ, რომ ორივე ვაგონს შუა კარი გაეხსნათ. ასე რომ, სულ მალე ჩვენს შესანიშნავ თანამგზავრებს გავეცანივთ.

ზემთ ვთქვი, პეიზაჟები ნაკლებ მიზიდავს-მეთქი... და მაინც არ შემოძლია არ ვახსენო კავკასიის დიდებული ტყეები — კახეთის მისასვლელთან, ბათუმის მიდამოებში და განსაკუთრებით ბაკურიანში, ბორჯომის ქვემოთ, უფრო სწორად, მის ზემოთ. ამაზე ლამაზი ტყე არც მენახა და ვერც წარმომედგინა: წვრილნარი ვერ ფარავდა უზარმაზარ ხეთა ტანს, იღუმალ მდელოებზე ბინდი დაღამებამდე ეფინებოდა. ასე გეგონებოდა, ალბათ სადაც აქ დაიკარგათ ტყეში ცეროდენა ბიჭი. გადავჭვრით ეს ზოპარული ტყე და მთის ტბას მივადექით. როგორც გვითხრეს, უცხოელს ფეხი აქ არასოდეს არ დაუდგამს. მაგრამ მე ისედაც მოხიბლული ვიყავი ამ კუთხის დიდებულებით. აჰ, ნეტავ, ჩამოვსულიყავ ჩვეულებრივი ტურისტისა თუ ნატურალისტის პირობაზე, ალტაცებით რომ იხილავდა აქ ახალი ჯიშის მცენარეებს და მთის მალაზზეგანზე აღმოაჩენდა „კავკასიურ სკაბიოზას“ თავისი ბალიდან... მაგრამ მე საამი-

# სსრკ-დან დაბრუნება

## და

# შენსწორებანი ჩემს სსრკ-დან დაბრუნებაზე

ანდრე ბილი

სოდ არ ჩამოვსულვარ სსრკ-ში. ჩემთვის ყველაზე მთავარი ადამიანები და ხალხია, ის, რადაც შეიძლება აქციო ისინი და რა-დაც აქციეს. ტყე, რომელიც მე აქ მიზი-დავს, საოცრად გაუვალა და შიგ უგზო-უკვლოდ დავეხეტები. ეს ტყე კი სოცია-ლური საკითხები გახლავთ. სსრკ-ში ისინი ღალატებენ, ვიხმობენ და ყოველი მხრიდან გიტყვენ.

II

ლენინგრადის ახალი კვარტალები ბევრი არ მინახავს. რაც იქ აღტაცებას ვგვირის, ეს სანქტ-პეტერბურგია. მე არ მინახავს უფ-რო ლამაზი ქალაქი, ლითონის, წყლისა და ქვის ესოდენ ჰარმონიული შეხვეება. ის თითქოს პუშკინისა თუ ბოდლერის წარმო-სახვეამ შექმნა. ძეგლები ისეთი სრულყო-ფილი პროპორციებისაა, როგორც მოცარ-ტის მუსიკალური თემები და სიმფონიები.

ლენინგრადის შემდეგ მოსკოვის ქაოსი უფრო მეტად გვჭირის თვალს. ის თითქოს გთრგუნავს კიდევ. შენობები, იშვიათი გა-მონაკლისის გარდა, ულამაზოა (არამარტო თანამედროვე), ერთმანეთს არ ეხამება.

ზაფხულში თითქმის ყველას თეთრი აც-ვია. ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. სოცია-ლური ნიველირების შედეგები არსად ისე არაა შესამჩნევი, როგორც მოსკოვის ქუ-ჩებში — თითქოსდა უკლასო საზოგადო-ებაში ყველას ერთნაირი სურვილი და მო-თხოვნილება გააჩნია. იქნებ კიდევაც ვა-ჭარბებდეს, მაგრამ არა მგონია მეტისმეტად. ყველა ერთნაირადაა ჩაცმული. ალბათ ჭკუასაც ყველას ასე ერთნაირს აღმოუჩენ-დი, დანახვა რომ შეიძლებოდა. ყველა შემხვედრი ცხოვრებით კმაყოფილი ჩანს (ისე დიდხანს უჭირდათ, რომ ახლა ის მცირედით აკმაყოფილებთ, რაც გააჩნიათ). როცა მეზობელს შენზე მეტი არა აქვს, ადამიანი, რაცა აქვს, იმით კმაყოფილება. განსხვავებას მხოლოდ მაშინ შეამჩნევ, თუ ყურადღებით დააკვირდები. ერთი შეხედ-ვით ისერიგად ჩანს, რომ ადამიანი იმზომ შეერწყა ბრბოს, პირადული იმზომ ცოტა აქვს, შეგიძლია სიტყვა ხალხი აღარც იხმა-რო და „ბრბო“ დაუძახო.

ვეურთლები ბრბოს და უკან მივყვები. რას აკეთებენ ეს ადამიანები მალაზიის წინ? რიგში დგანან. რიგი კი მახლობელ ქუჩა-მდე აღწევს. ასე ორასი, სამასი კაცი იქნე-ბა. დგანან დინჯად და მოთმინებით. ჯერ აღრეა, მალაზია დაკეტილია. ორმოციოდე წუთის შემდეგ რომ მოვბრუნდი, რიგი ისევ დგას. გამიკვირდა. ასე აღრე რად მოსუ-ლან-მეთქი? ამით რას იგებენ?

— რას იგებენ? იმათ მოემსახურებიან, ვინც პირველები იქნებიან. ჰოდა, ამიხსენს, რომ თურმე ვაზეთებში გამოაცხადეს, მალაზიაში დიდი რაოდენო-ბით მიღებულია... არ ვიცი რა (მგონი, ბალიშები). ოთხასი თუ ხუთასი მოვა რეაას თუ ათას ხუთას მყიდველზე. დაღამებამდე ერთი ც აღარ დარჩება. საჭირო საგანთა რიგები იმდენად დიდია, ხალხი ისე მრავალრიცხოვანი, რომ მოთხოვნილება კარგა ხანს გადააჭარბებს საქონლის რაოდენობას. ამის დაძლევა კი ძნელი საქმეა. რამდენიმე საათის შემდეგ მალაზიაში შევედი. უზარ-მაზარ შენობაში წარმოუდგენელი ჭედვია. თუმცა გამყიდველები მშვიდად არიან, რა-დგან მათ ირგვლივ მოუთმენლობას არავენ იჩენს. ყველა თავის რიგს უტდის, მდგო-მარენი თუ მჯდომარენი, ზოგჯერ ბავშვებ-ბით ხელში. ჰაერი დახუთულია, სუნთქვა

თითქმის არ შეიძლება, მაგრამ ადამიანი მერე და მერე ეჩვევა, როგორც ეჩვევა ხოლმე ყველაფერს. თავდაპირველად „ემორჩილებიან-მეთქი“, მინდოდა მეთქ-ვა, მაგრამ აქ მორჩილებაში არაა საქმე — რუს კაცს ლოდინი, მგონი, სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს, შეიძლება მან თქვენც ამ სიამოვნებისთვის განგაწყობ.

ძლივს გავარღვიე ხალხის ბრბო და მა-ლაზია შემოვიარე. იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქონელი უფარგისია. კაცმა შეიძ-ლება კიდევ იფიქრო, რომ ქსოვილები, ნივთები და ა. შ. განგებაა ასე უხეიროდ დამზადებული, რომ გაჭირვების გამო შეი-ძინო და არა იმიტომ, რომ მოგეწონა.

თუმცა გემოვნება მხოლოდ მაშინ ვითარ-დება, როცა არჩევისა და შედარების სა-შუალება გაქვს. ამოსარჩევი კი არაფერია. ძალაუფლებურად იმას ყიდულობ. რასაც ვთავაზობენ, სხვა გზა არა გაქვს. ან უნდა იყიდო, რასაც გაძლევენ, ან უარი თქვა. როცა სახელმწიფო ერთსა და იმავე დროს მწარმოებელი, მყიდველი და გამყიდველია, ხარისხი კულტურის დონეზე და მოკიდე-ბული.

და მიუხედავად მთელი ჩემი ანტიკაპი-ტალიზმისა, უნებლიეთ ვფიქრობ ჩვენში იმ ადამიანებზე — კაპიტალისტიდან პატა-რა ვაჭრამდე, რომლებიც თავს იკლავენ და ტვინს იჭყლეტენ, კიდევ რა მოიგონონ ისე-თი რომ საზოგადოება დააკმაყოფილონ. ან რას არ აკეთებს თითოეული მათგანი კონკურენტის დასამარცხებლად.

დავუბრუნდები ისევ მოსკოველებს. უც-ხოელებს აოცებთ მათი უშფოთველობა. „სიზარმაცეო“ თქვა, ცხადია, მეტისმეტი იქნება... „სტახანოვური მოძრაობა“ შესა-ნიშნავი საშუალება იყო ხალხის ძილისგან გამოსაფხიზლებლად (ოდესღაც საამისოდ მათრახი იხმარებოდა). იმ ქვეყანაში, სადაც მუშები შრომას არიან მიჩვეულები, სტახა-ნოვური მოძრაობა საჭირო არ იქნებოდა. მაგრამ აქ, მეთვალყურეობის გარეშე, მყის-


ვე მოგშვებიან ხოლმე. და გიკვირს კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ საქმე მაინც წინ მიდის. რა შრომად უჭდება ეს ხელმძღვა-ნელებს. კაცმა არ უწყის. ამ ძალისხმევის მასშტაბების წარმოსადგენად მხედველო-ბაში უნდა მიიღო რუსი კაცის თანდაყო-ლილი მცირე „მწარმოებლობა“.

ერთ-ერთ ფაბრიკაში, რომელიც მშენებ-რად მუშაობს (თუმც ამის არაფერი გამე-გება, მანქანები მხოლოდ იმიტომ მომწონს, რომ საერთოდ მათდამი დიდი ნდობა მაქვს. ეს კია, არ შეიძლება აღტაცებაში არ მოვიდე მათი სასაიდლოთი, მუშათა კლუბით, საცხოვრებლებით), მე გამაცნეს ერთი სტახანოველი, ვისი უზარმაზარი პო-რტრეტი იქვე, კედელზე ეკიდა... როგორც მითხრეს, მან თურმე ხუთ საათში შეასრუ-ლა ის სამუშაო, რასაც რვა დღე სჭირდებოდა (ან იქნებ რვა საათში ხუთი დღის ნორმა, ახლა კარგად არ მახსოვს). ვაგებდე და ვიკითხე, ეს ხომ არ ნიშნავს, ხუთსაათი-ან სამუშაოზე თავდაპირველად რვა დღე იყო. დაგეგმილი-მეთქი. მაგრამ ჩემს შე-კითხვას თავშეკავებით შეხვდნენ, ამჯობი-ნეს პასუხი არ გაეცათ. მაშინ მე მოვყევი, რომ სსრკ-ში სამოგზაუროდ ჩამოსულმა ფრანგ მემახტეთა ჯგუფმა ერთ-ერთ შახ-ტში მეგობრულად საბჭოთა მემახტეები შეცვალეს და ყოველგვარი დაძაბვის გარე-შე სტახანოველი ნორმა ისე შეასრულეს. ამაზე არც უფიქრიათ.

სოხუმის მიდამოებში ჩვენ ერთი სანი-მუშო საბჭოთა მეურნეთა მოვინახულეთ. იგი ექვსი წელია არსებობს. პირველად ძა-ლიან უჭირდა, ახლა ერთ-ერთი ყველაზე აყვავებულია და „მილიონერს“ ეძახიან.

ხის ბიჭებზე შემდგარი ხის სახლები ძალზე ლამაზი სანახავია, ირგვლივ ხილის ბაღები ახვევია, ხეებშორის ყვავილები და ბოსტნეული ჩანს. შარშან კოლმეურნეობამ დიდი მოგება მიიღო, რამაც საშუალება მისცათ. შრომადლის საფასური თქვენგან





მანეთამდე გაეზარდათ. უდავო ფაქტია, რომ სსრკ-ში უკვე აღარ არსებობს უმცირესობის მხრიდან უმრავლესობის ექსპლოატაცია. ეს უზარმაზარი მიღწევაა. აქ ჩვენ აღარ გვყავს აქციონერები. თვითონ მუშები (იგულისხმება, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობის მუშები) ინაწილებენ ურთიერთშორის შემოსავალს, სახელმწიფოს არაფერს ვურიცხავთ“. ეს შესანიშნავი იქნებოდა, რომ სხვა, ღარიბი კოლმეურნეობები არ არსებობდნენ, რომლებსაც ძლივს გააქვთ თავი.

მე ვესტუმრე ამ აყვავებული კოლმეურნეობის კოლმეურნის ოჯახს.

... უნდა მოგახსენოთ, თუ რა უცნაური და სევდისმომგვრელი შთაბეჭდილება მოახდინა იქ ნახულმა „ინტერიერმა“ — შთაბეჭდილება სრული უპიროვნების. ყოველ ოჯახში ერთნაირი უხეში ავეჯი დგას, ყველგან სტალინის სურათი ჰქიდა — სხვა არაფერი. ვერ ნახავთ საგანს, სახლის პატრონის პიროვნულობაზე რომ უთითებდეს. ისინი იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, კოლმეურნეს ისე შეუძლია გადავიდეს ერთი სახლიდან მეორეში, ვერც შეამჩნიოს. ცხადია, ამ გზით ადამიანს შეუძლია ბედნიერებას ადვილად მიადწიოს. როგორც მითხრეს, სიხარულიც საერთო აქვით. საკუთარი ოთახი ადამიანს აქ მხოლოდ ძილისთვის სჭირდება. ყველაზე საინტერესო მის ცხოვრებაში კლუბებსა, კულტურის პარკებში და კრებებზე გადაინაცვლა. მეტი რა უნდა ინატროს კაცმა? საერთო ბედნიერება თვითოეულის გაუბიროვნების ხარჯზე მიიღწევა. ბედნიერი თუ ვინდა იყო, სხვებივით უნდა იცხოვრო.

III

სსრკ-ში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეს, რომ ყველა საკითხზე ერთი აზრი უნდა შეიქმნას. თუმცა ადამიანების შეგნება ისეთნაირად ჩამოყალიბდა, ეს კონფორმიზმი არავის არ ამძიმებს, ეს მათთვის ბუნებრივია, ისინი ამას არც შეიგონებენ და არც ის მგონია, რომ აქ სიყალბეს ჰქონდეს ადგილი. ვითომ ეს ის ხალხია, რევოლუციის რომ მოახდინა? არა, ეს ისინია, ამ რევოლუციით რომ სარგებლობენ. ყოველ ცისმარე დილას „პრავდა“ აუწყებთ, რა შეიცნონ, რაზე იფიქრონ და რა იწამონ: ხოლო საერთო წესს არ დაემორჩილო, ეს ვერაფერი მოსაწონი საქციელია. ჰოდა, ისე გამოდის, რომელიმე რუსს როცა ესაუბრები, თითქოს ყველას ერთად ესაუბრებოდეს. განა ის, სიტყვასიტყვით მისდევს ყველა ბრძანებას, უბრალოდ გარემოება აიძულებს სხვებისგან არ გამოირჩეს. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი შეგნება სულ პატარაობიდანვე უყალიბდება... ამის მიზეზია ის უცნაური ქცევები, ასე რომ გიკვირს უცხოელს, ამის მიზეზია სიხარულის ის ნიჭიც, კიდევ უფრო რომ გაოცებს. შენ გეცოდება ის ხალხი, საათობით რომ დგანან რიგებში, თუმცა ისინი ამას ნორმალურ ამბად თვლიან. პური, ბოსტნეული, ხილი შენ უვარგისად მიგაჩნია, მაგრამ აქ სხვას ვერ მოძებნი. ქსოვილები, ნივთები, რომელთაც ხედავ, შენს თვალში ასევე უგვანოა, მაგრამ ამოსარჩევი სხვა არაფერია. რაღა შესადარებელი არ არსებობს — თუ არ წყვეულ წარსულთან — სიხარულით თანხმდები იმას, რასაც გაძლევენ. ამასთან მთავარია, ადამიანები დაარწმუნო, რომ იმდენად ბედნიერები არიან, რამდენადაც შეიძლება იყოს

ბედნიერი ადამიანი უკეთესის მოლოდინში, რომ სხვები სხვაგან ყველგან მათზე უფრო ნაკლებ ბედნიერები არიან.

ჩვენ გვზიბლავს სსრკ-ში კულტურის, განათლებისადმი ასეთი სწრაფვა. მაგრამ განათლება იმას ემსახურება, რომ ხალხს ჩაუნერგოს, არსებული წყობა რაღაც სასიკეთოა მისთვის, რომ სსრკ... ერთადერთი იმედია ამ ქვეყანაზე! ეს კულტურა მიზანმიმართული კულტურაა, მას აკლია უანგარობა და თითქმის არ გააჩნია კრიტიკული საწყისი (მარქსიზმის მიუხედავად). მე ვიცი, რომ ეგრეთ წოდებული „თვითკრიტიკა“ იქ დიდ პატივშია. გარედან მეც მზიბლავდა იგი. ჩემი ფიქრით, თუ მას სერიოზულად და გულწრფელად მოეკიდე, შეიძლება შესანიშნავი შედეგები გამოიღოს. მაგრამ მალე მივხვდი, რომ გარდა დაბეზლებებისა და წვრილმანი შენიშვნებისა (სასადილოში წვნიანი ცივი იყო, კლუბის სამკითხველო დარბაზი არ დაუგვიანო) კრიტიკა მხოლოდ იმაში გამოიხატება, წამდაუწყობე ჰკითხო შენს თავს, რა მიესადაგება თუ არ მიესადაგება „ხაზს“. არავინ დაობს თვით ამ „ხაზის“ თაობაზე, დაობენ იმის გასარკვევად, რამდენად შეეფერება ესა თუ ის ნაწარმოები, ესა თუ ის საქციელი, ესა თუ ის თეორია ამ „წმიდათაწმიდა ხაზს“. და ვაი იმის ბრალი, ვინც შეეცდება ამ „ხაზს“ გადაუხვიოს.

კულტურისათვის არაფერია ისე საშიში, როგორც გონების ასეთი წყობა.

საბჭოთა მოქალაქემ სრულიად არაფერი იცის საზღვარგარეთის თაობაზე. უფრო მეტიც, იგი დაარწმუნეს, რომ საზღვარგარეთ ყველაფერი გაცილებით უარესია, ვინემ სსრკ-ში. ამ ილუზიას ფრიად მარჯვედ ნერვავენ — მთავარია, რომ თითოეული, თუნდაც უქმაყოფალო, შეხაროდეს რეჟიმს, რომელიც მას უფრო უარესი უბედურებისგან იცავს.

მომზიბლავი პატარა გოგონები, საბავშვო ბაღში ირგვლივ რომ შემომხევივნენ (ეს ბალი ისევე ღირსია ქების, როგორც სხვა ყველაფერი, რაც აქ ახალგაზრდობისთვის კეთდება), ერთმანეთის დასწრებაზე მაყრინ კითხვებს. ოღონდ ის კი არ აინტერესებთ, არის თუ არა საფრანგეთში საბავშვო ბაღები, არამედ იციან თუ არა საფრანგეთში, რა შესანიშნავი საბავშვო ბაღები აქვთ მათ.

მათი შეკითხვები იმდენად განსაცვიფრებელია, მეშინია კიდევ გამოვრების. შეიძლება ვინმე იფიქროს, მე ისინი გამოვივინე. როცა ვუბნებთ, მეტრო პარიზშია არის-მეთქი, სკეპტიკურად იღიბებიან. ერთმა მკითხა (ბავშვმა კი არა, ფრიად წიგნიერმა მუშამ), გაქვთ თუ არა საფრანგეთში სკოლებიო. მეორემ, უფრო გათვითნობიერებულმა, მხრები აიჩეჩა: როგორ არა. საფრანგეთში კია სკოლები, მაგრამ საიმედო წყაროდან ვიცი, ბავშვებს იქ სცემენო. მათი აზრით, ყველა მუშა ჩვენში ძალზე უბედურია, ვინაიდან ჯერაც არ მოგვიხდენია „რევოლუცია“. მათთვის საბჭოთა კავშირის მიღმა, წყვედიდი მეფობს, რამდენიმე თვალხილულის გარდა კაპიტალისტურ სამყაროში ყველა სიბნელეშია ჩაფლული.

სოჭის ოტელი ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ოტელია. პარკი მშვენიერი, პლაჟი ულამაზესი, მაგრამ მოზანავეებს ჩვენგან მხოლოდ იმის გაგება სურდათ, რომ საფრანგეთში მსგავსი პლაჟები არ არსებობს. ზრდილობის გამო აღარ ვუთხარი,

რომ საფრანგეთში ამაზე ბევრად უკეთესი პლაჟებია.

ალტაცებას იწვევს სოჭში უამრავი საბატორიუმი და დასასვენებელი სახლი. ლაქის ირგვლივ ლამაზად შემორავულნი. დიდებულია ისიც, რომ ისინი მუშებისთვისაა აშენებული, მაგრამ მით უფრო მძიმე სანახავია, იქვე როგორ აშენებენ თეატრს დაბალხელფასიანი, ქონ-მახებში შეყრილი მუშები.

სოჭის ოტელს ასე რომ ვაქვებ, რაღა უნდა თქვას კაცმა სოხუმის ახლოს მდებარე ოტელ „სინოპზე“? ის გაცილებით მაღალი კლასისაა და არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთის ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ლამაზ, ყველაზე კომფორტაბელურ, ბალნეოლოგიურ ოტელებს. დიდებული პარკი რევოლუციამდელი დროისაა, მაგრამ შენობა სულ ახალი აგებულია. მოხერხებულად განლაგებული ოთახები, ყოველ ნომერში აბაზანა და ტერასა. ავეჯი დიდი გემოვნებითაა შერჩეული. სამზარეულო ჩინებული, სსრკ-ში საუკეთესო. ოტელი „სინოპი“ ერთ-ერთი ისეთი ადგილთაგანია ამ დედამიწაზე, სადაც თავი სამოთხეში გგონია.

ოტელის გვერდით საბჭოთა მეურნეობაა, სანოვაგით რომ ამარაგებს მას. ალტაცებას გვერის სანიმუშო საჭინობო, სანიმუშო ბოსელი, სანიმუშო სალორე.

ღელეს რომ გადახვალ, სადაც კოლმეურნეობის ტერიტორია მთავრდება, ქონ-მახებს დანახავ. ორნახევარი ფართის ოთახს ოთხი კაცი ქირაობს, სულზე ორ მანეთად. მეურნეობის სასადილოში სადილი ორი მანეთი ღირს — ასეთი ფუფუნების ნებას ის კაცი ვერ მისცემს თავს, ვინცა თვეში 75 მანეთი ეძლევა. პურის გარდა მუშას შეუძლია კიდევ ხმელი თევზით დაკმაყოფილდეს.

ხელფასი ყველას თანასწორად ეძლევა, რაც არავის უკვირს. კი, ეს აუცილებელია, მაგრამ ცხოვრების დონის გასათანასწორებლად სხვა საშუალებანიც არსებობს. ვშიშობ, ვაითუ ეს უთანასწორობა არათუ გაქრეს, კიდევ უფრო საგრძობო გახდეს. ვაითუ სულ მალე გამძლარ მუშათა ბურჟუაზიის ახალი სახეობა ჩამოყალიბდეს (მამასადამე, ისიც კონსერვატული), ჩვენი წვრილი ბურჟუაზიის მსგავსი.

საამისო ნიშნები ყველგან ჩანს. ჰოდა, რამდენადაც ვიცი, რომ ბურჟუაზიული ინსტინქტები, რომლებიც განცხრომის წყურვილს აღვივებს, ადამიანს ნებისყოფას უსუსტებს, მოყვასისადმი გულგრილს ხდის, მიუხედავად ყველა რევოლუციისა, მაინც თვლემს ადამიანის გულში (რამეთუ გარეგნული შეცვლით ადამიანი არ იცვლება). მე შეშფოთებით ვადევნებ თვალს, სსრკ-ში არაპირდაპირად როგორ აღვივებენ ახლა ამ ბურჟუაზიულ ინსტინქტებს ამასწინანდელი გადაწყვეტილებებით, რომლებსაც ჩვენში ასეთი მოწონებით შეხვდნენ, ჩემში კი შეშფოთება გამოიწვია. ოჯახის (როგორც „საზოგადოების“ უჭრედის“) მემკვიდრეობის და ნაანდერძე ქონებაზე უფლებების აღდგენით გამდიდრებისა და პირადი საკუთრებისადმი სწრაფვა ალბათ ჩაახშობს კოლექტივიზმის გრძობას, მის ამხანაგობას და ურთიერთდახმარების სურვილს. რა თქმა უნდა, ყველაში არა, მაგრამ ბევრში კი. და ჩვენ ვხედავთ, საზოგადოება კვლავაც როგორ იყოფა ფენებად, როგორ იქმნება ისევ სოციალური ჩგუფები, თუ მთელი კლასები არა, ყალიბდება არისტოკრატის ახალი სახეობა.

მე არ ვამბობ დამსახურებით და პირადი ღირსებით გამორჩეულებზე, არამედ მუდამ სწორად მაფიქრებელ კონფორმისტთა არისტოკრატიაზე. შემდეგ თაობებში ეს არისტოკრატია ფულიანი გახდება.

არ შეიძლება არ გეჩიოთაროს ის მედიდურები, ყოველ შემთხვევაში გულგრილობა, რასაც იჩენენ „ხელისუფლებასთან“ ახლოს მდგომი პირები თავის ხელქვეითების, შავი მუშების, მოახლეთა და მოსამსახურეთა მიმართ, მინდობა დამეწერა — ღარიბების მიმართაც. სსრკ-ში მართლაც აღარაა კლასები, მაგრამ არიან ღარიბები. ისინი ბევრია, მეტისმეტად ბევრიც. თუმცა კი იმედს მქონდა მათ ვერ ვნახავო. უფრო სწორად, სსრკ-ში სწორედ იმის სანახავად ჩამოვედი, რომ ისინი აღარ არიან.

ამას უნდა დაემატო, რომ ქველმოქმედება და თუნდაც უბრალო თანაგრძობა არც პატივშია და არც ხელს უწყობს ვინმე. ამაზე ზრუნავს სახელმწიფო. იგი ყველაფერზე ზრუნავს და ბუნებრივია, ამით დახმარების საჭიროებასაც აქარწყლებს. ამის მიზეზია ალბათ ამხანაგობის მიუხედავად ერთგვარი გულქვაობა დამოკიდებულებაში. ცხადია, აქ არ იგულისხმება ურთიერთდამოკიდებულება თანასწორთა შორის. მაგრამ „ხელქვეითთა“ მიმართ „უპირატესობის კომპლექსი“, როგორც შემოთ ვთქვი, აშკარად ვლინდება.

სულ მცირე პროტესტმა, სულ მცირე კრიტიკამ, რასაც მყისვე ახშობენ, შეიძლება სასტიკი სასჯელი გამოიწვიოს. და არა მგონია, რომ რომელიმე ქვეყანაში, თუნდაც პიტლერულ გერმანიაში, ადამიანის შეგნება ასე შეზოგოლი, ასე დათრგუნული, ასე დაშინებული (ტერორიზებული), ასე დამონებული იყოს.

სტალინის სურათები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მისი სახელი ყველას პირზე აკერია, მას აქებენ ყველა გამოსვლაში. კერძოდ, საქართველოში რომელ სახლშიაც არ შეხვალ, ყველგან სტალინის სურათი ჰკიდია, სადაც ადრე ხატი ეკიდა. მე არ ვიცი, ეს რაა — გაღმერთება, სიყვარული თუ შიში, მაგრამ ყველგან და ყოველ კუთხეში მას ხედავ.

თბილისიდან ბათუმში გამგზავრებისას პატარა ქალაქი გორი გავიარეთ, სადაც სტალინი დაიბადა. ვიფიქრე, აქ ყველაზე შესაფერისი შემთხვევა მეძლევა-მეთქი, მადლობის დეპეშა გავავაზვნო სსრკ-ში ასეთი მიღებისათვის, ასეთი თბილი, ყურადღებიანი და მზრუნველი შეხვედრებისთვის. ვთხოვე მანქანა ფოსტასთან გაეჩერებინათ და ტექსტი მივაწოდე. შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: „ჩვენი საოცარი მოგზაურობის ხანს სსრკ-ში, ვიმყოფები რა გორში, გულით მინდა გამოვიხატო...“ მაგრამ ამ ადგილას თარჯიმანი შეყოყმანდა: ასეთი ფორმულირება არ გამოდგებაო. მარტო „თქვენ“ საკმარისი არაა, როცა ეს „თქვენ“ სტალინს ეხება. ეს შეუძლებელიცაა. უნდა რაღაც დაემატოსო. და რაკი მე განცვიფრებული ვიდექი, იქ მყოფებმა თათბირი გამართეს. მე შემომთავაზეს: „თქვენ, მშრომელთა წინამძღოლს“ ან „ხალხთა ბელადს“... ან აღარ ვიცი, კიდევ რა. მე ეს აბსურდად მივიჩნიე, პროტესტი განვაცხადე, სტალინს ასეთი პირში ქება არ ეკადრება-მეთქი. მაგრამ ამოდ გავი-სარჯე. ტელეგრამას არ მიიღებდნენ, თუ ასეთ დამატებაზე არ დავთანხმდებოდი. ხოლო რაკი იგი უნდა თარგმნილიყო, მე კი შემოწმება არ შემიძლო, დავთანხმდი და შეწუხებულმა გავიფიქრე, რომ ეს ყო-

ველივე საშინელ და გადაუღახავ უფსკრულს შექმნიდა სტალინსა და ხალხს შორის.

ის დამატებანი და ცვლილებანი, რისი შეტანაც სტალინმა თავის მოვალეობად მიიჩნია პირველი და მეორე ხუთწლიელების გეგმებში, გონების ისეთ სიბრძნესა და მოქნილობაზე მოწმობს, რომ უნებლიეთ გებადება კითხვა, შესაძლებელი კი იყო საერთოდ მეტი თანამიმდევრობის გამოჩენა? ხომ არ იყო თავდაპირველი კურსიდან, ლენინიზმიდან ეს გადახვევა აუცილებლობით ნაკარნახევი. ხომ არ მოითხოვდა არა-ადამიანურ ძალისხმევას ხალხის მხრიდან თავდაპირველი კურსის მეტი თანამიმდევრობა. ყოველ შემთხვევაში დანახარჯი არის. ხოლო თუ სტალინი არა, საერთოდ ადამიანი, ადამიანის ბუნება იმედს გიცრუებს, ყველაფერი, რისი მიღწევაც სურდათ, რასაც თითქოსდა მიაღწიეს ასეთი ბრძოლის, სისხლისა და ცრემლების შედეგად — ეს ყველაფერი ნუთუ „ადამიანის ძალისხმევას აღემატებოდა“? ახლა რაღა ქნას ადამიანმა? კიდევ იცადოს, დამორჩილდეს, კვლავ მომავლისთვის გადადოს თავისა იმედები? აი, რას ეკითხები სასოწარკვეთილებით საკუთარ თავს სსრკ-ში. ამის გაფიქრებაზედაც კი შიშის ზარი გიტანს.

ძალისხმევის ამდენი თვეები, წლები შემიდევ ადამიანს აქვს უფლება თავის თავს ჰკითხოს: ბოლოს და ბოლოს შეუძლია თუ არა ცოტა ასწიოს თავი? თავები კი ასე დაბლა დაწეული ჯერ არასოდეს არ ყოფილა.

ის, რომ სტალინი ყოველთვის მართალია, ნიშნავს სტალინიზმს ყველაზე გაიმარჯვა.

„პროლეტარიატის დიქტატურა“ იქნება — ასე შეგვიპირდნენ ჩვენ, მაგრამ აქამდე კარგა შორია. კი, რა თქმა უნდა, დიქტატურაა. მაგრამ დიქტატურა ერთი ადამიანის და არა გაერთიანებული პროლეტარიატისა, საბჭოების დიქტატურა. მთავარია, თავი არ მოვიტყუოთ და პირდაპირ ვაღიაროთ: ეს სულაც ის არ არის, რაც უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთი ნაბიჯი და შეიძლება ითქვას, რომ ეს სწორედ ისაა, რაც არ უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფოში ოპოზიციის მოსპობა ან ოპოზიციისათვის მისი შეხედულების გამოთქმის, შემოქმედების აკრძალვა — ფრიად საშიში საქმეა: ეს ტერორიზმის გამოწვევაა. ხელმძღვანელებს, ცხადია, აწყობთ, როცა სახელმწიფოში ყველა ერთნაირად აზროვნებს, მაგრამ ასეთი სულიერი სიღარიბისას შეიძლება კი „კულტურაზე“ ლაპარაკი? როგორ აიცდენ გადახრას წინააღმდეგობის გარეშე? ჩემი აზრით, ფრიად ბრძნულია — მოწინააღმდეგესაც მოუსმინო. კიდევ იზრუნო მასზე საჭიროების შემთხვევაში, ებრძოლო, არ მისცე უფლება რამე დაგიშავოს, მაგრამ არ მოსპო. ოპოზიციის მოსპობა... კიდევ კარგი, რომ სტალინი ეს მთლიანად ვერ მოახერხა.

„კაცთა მოდგმაში ყველაფერი არც ისე უბრალოდ ხდება, ამას უნდა შეეუბრებოდეთ. ყველა ცდა ყველაფრის გაუბრალოების, უნიფიცირებამდე დაყვანის საზოგადოებას, ძვირად ღირება, ავბილით ფარსად გადაიქცევა. რამეთუ, ატალიის საუბედუროდ, იგი იოასს ვერ მოერევა, ჰეროდეს საუბედუროდ, იგი წმინდა ოჯახს ვერას დააკლებს“. ვწერდი მე 1910 წელს.

IV  
როცა სსრკ-ში ჩამოვედი, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ფორმალიზმზე კა-

მათი. მე შევეცადე გამერკვია, რა ფულისხმებოდა ამ სიტყვაში, და გავარკვიე, რომ ფორმალიზმში ადანაშაულებენ ყველა შემოქმედს, ვინც ფორმალად იტყობს ინტერესს იჩენს, ვინც შინაარსს დატოვებდა იმასაც დაუშვამატებ, რომ ინტერესის ღირსად (ანუ მოსათმენად) ითვლება გარკვეული შინაარსი. თუ ასე არ არის, მხატვრული ნაწარმოები ფორმალისტურად და აზრს მოკლებულად ჩაითვლება. მართალი გითხრათ, არ შემიძლია ლიმილის გარეშე დავწერო ეს ორი სიტყვა „ფორმა“ და „შინაარსი“. თუმცა სატირალი უფრო გახლავთ, როცა იცი, რომ კრიტიკა ამ ხსურდო დაყოფას იყვარება. იქნებ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს სასარგებლოც იყოს, მაგრამ მაშინ კულტურაზე აღარ გვმართებს ლაპარაკი. კულტურას საფრთხე ემუქრება, როცა კრიტიკა თავისუფალი არაა.

რა დიდებულიც უნდა იყოს ნაწარმოები, სსრკ-ში ის გაკიცხვას დამსახურებს, თუ საერთო ხაზს არ მიესადაგა. მშვენიერება აქ ბურჟუაზიულ ფასეულობად ითვლება. როგორი გენიალურიც უნდა იყოს შემოქმედი, საერთო ხაზს თუ არ მიჰყვება, მას არავინ დააფასებს, ბედი არასოდეს გაუღიმებს. მხატვრისგან, მწერლისგან მხოლოდ მორჩილებას მოითხოვენ, სხვა დანარჩენი თავისთავად მოგვარდება.

V  
სევასტოპოლი ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელი ქალაქი იყო. რა თქმა უნდა, სსრკ-ში უფრო ლამაზი და საინტერესო ქალაქებიც არსებობს, მაგრამ არსად ისე კარგად არ მიგრძნია თავი, როგორც აქ. სევასტოპოლში მე არ დამხვედრია ისეთი რჩეული საზოგადოება, როგორც სოჭში ან სოხუმში. მე აქ ვნახე რუსების ცხოვრება მთელი სისრულით, გაჭირვებით, ხელმოკლეობით, ტანჯვა-წვალებით მიღწევისა და წარმატებებთან ერთად, ყველაფერი იმასთან ერთად, ადამიანს რომ ბედნიერების იმედს უსახავენ. ჩრდილები ხან ნათდებოდა, ხან მუქდებოდა, მაგრამ ნათელიცა და ბნელიც ერთნაირად თბილ განწყობას მიღვიძებდა — თუმცა ზოგჯერ გულისტკივილსაც — ამ მიწისადმი, ამ მშვიდი ხალხისადმი, ამ ახალი ჰავისადმი, ასეთი სასიკეთო რომ იყო მომავლისათვის და სადაც შეიძლება ახალ თესლს ეხარა. ყოველივე ამას კი უნდა გამოვთხოვებოდი.

და გულს უკვე იღუმალი ნაღველი მიწურავდა: რას ვიტყვი პარიზში დაბრუნებისას? რა პასუხს გავცემ კითხვებზე, რომლებსაც ვერ ავიცდენ? ცხადია, ჩემგან გულწრფელ პასუხებს ელიან. როგორ ავუხსნა, რომ სსრკ-ში მონაცვლეობით (მორალურად) ხან სიცივე და ხან გზნება მიტანდა? როცა მისადმი ჩემს სიყვარულს კვლავაც განვაცხადებ, დავმალო თუ არა, რა მაშინებს, რას ვუფრთხი, თუ ვიცრუო და ყველაფერი გავამართლო? მე კარგად მესმის, რომ ამით ცულ სამსახურს გავუწევ სსრკ-ს და მის რევოლუციურ იდეებს. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, ერთი მეორესთან დავაკავშიროთ და თუ სსრკ-ში ყველაფერი არ მოგვეწონა, იდეა უსაფუძვლოდ გამოვაცხადოთ.

დახმარება, ანაზან რომ საბჭოთა კავშირმა იტალიას აღმოუჩინა, ცვლილებათა შესაძლებლობაზე მოწმობს.

სსრკ კვლავ საოცრებად რჩება ჩვენთვის, იგი კვლავ გაკვეთილია ყველასათვის.

თარგმნი რუსულადან ქავულაქიმ.



ნგლისის მეფის რიჩარდ მეხამის (1488-1485) რეაბილიტაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების მკვლელობის საიდუმლოებით მოცულ ამბავს, რომელიც მის მიმართ ყველაზე სერიოზული ბრალდებაა. ამ საკითხზე ბევრი საინტერესო ინფორმაციაა, როგორც პროფესორ მ. ა. ბარგის წიგნში „შექსპირი და ისტორია“, ისე პროფესორ ე. ბ. ჩერნიაკის წიგნში „საუკუნეების მსჯავრი“.

ასეთ პირობებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რამდენად იყო დაინტერესებული რიჩარდი ბავშვების მოკვლით? თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა. უფლისწული ედვარდი მეფედ უნდა ეკურთხებინათ, ხოლო რიჩარდი ლორდპროტექტორი იქნებოდა. რიჩარდის ასეთი აღწევება, ცხადია, ხელს არ აძლევდა დედოფალ ელისაბედ ვუდევის, რომელიც თავად ოცნებობდა, სამეფოში პირველი კაცი ყოფილიყო. ასე წარმოიქმნა განხეთქილება ელისაბედსა და რიჩარდს შორის. ვუდევის შვიწროებით დაშინებულმა რიჩარდმა გამოჩნრიკა საპარლამენტო აქტი, რომლის თანახმადაც ბავშვები უკანონოდ იყვნენ გამოცხადებული. საქმე ისაა, რომ ედუარდ IV (1481-1483) კათოლიკური ეკლესიის მიერ განქორწინებული არ იყო თავის პირველ ცოლთან ელენორა ბატლერთან. ამიტომ მისი ქორწინება ელისაბედ ვუდევლთან უკანონო იყო, რის გამოც ბავშვებს არ ჰქონდათ ტახტის დაკავების უფლება.

რიჩარდს სისხლისრიცხვით დაინტერესებდა ბავშვების ბედი, ვინაიდან ეს იყო საუკეთესო არგუმენტი ჯორჯის წინააღმდეგ, რომელთა არსებობაც მან აუცილებლად იცოდა. როგორ ავხსნათ რიჩარდისა და ელისაბედ ვუდევის შერიგება? მას, ალბათ, რაღაც საფუძველი ჰქონდა. სავარაუდოა, რომ მათი დაზავება დაუკავშირდა ახალი ძლიერი საერთო მტრის გამოჩენას. ასეთები კი იმ პერიოდში მხოლოდ ტიუდორები შეიძლება ყოფილიყვნენ. თუ ბავშვები რიჩარდმა მოკლა, მაშინ რატომ არ მიემბ-

# ისჯობის ერთი საიდუმლოა

რო ელისაბედი ტიუდორებს. ასეთი ნაბიჯი ხომ უფრო ლოგიკური იქნებოდა? რესტავრაციის პერიოდში, მეფე ჩარლზ II (1680-1685) დროს, 1674 წელს ტაუერში ჩაატარეს გათხრები, რომლის შედეგადაც აღმოაჩინეს ორი ბავშვის გვამი. ჩარლზმა ისინი პირინცებად მიიჩნია და ბრძანა მათი ვესტმინსტერში დაკრძალვა. საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნით სარკოვავები გახსნეს. პროფ. რაიტმა დაადგინა, რომ ბავშვები იყვნენ 10-12 წლის, როდესაც ისინი დაახრჩვეს (შე-

გახსენებთ, რომ უფლისწული ედვარდი დაიბადა 1470 წლის ნოემბერში, მისი ძმა რიჩარდი კი — 1473 წლის აგვისტოში). ამან თითქმის დაადასტურა რიჩარდის მიერ ბავშვების მოკლა. გაუგებარა მხოლოდ ერთი რამ იყო. საგულისხმოა, რომ ბავშვების გვამები იპოვეს კიბის ქვეშ, რომელიც მოხსენიებულია ტირელის ანდერძში. თუ ჰენრი VIII (1485-1509) იცოდა ყველაფერი, მაშინ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ არ გადათხარა ტაუერის ყველა კიბე? ამის მაგივრად, როგორც ცნობილია,



## ნოდარ ახალკაცი გილოცავთ საფეხბურთო პრესიდენტობას!

ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობის წლებში ჩვენმა გუნდმა, როგორც იქნა, თავი დააღწია სიყმაწვილის „რომანტიკულ“ ხენს, მაგრამ, ალბათ, ბევრს ახსოვს, თვით 1981 წელსაც ბოგინობდა აზრი: ახალკაცმა ქართულ ფეხბურთს თავისი მთავარი იერსახე — რომანტიკაში დაუქარგაო. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მაშინდელი საფეხბურთო ინტელექტი არ აღმოჩნდა სათანადო სიმბლენზე, რამაც თავისი შე-

დეგი გამოიღო და სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, კრიზისამდე მიიყვანა ქართული ფეხბურთი. არადა, ნუთუ ძნელი მისახვედრი იყო, რომ „ლივერპულთან“ გამარჯვება ქართული საფეხბურთო ხელოვნების ნამდვილ ზეიმს წარმოადგენდა, ხოლო 1981 წლის 18 მაისმა კი საფეხბურთო პარნასზე აგვტყუარცნა! ნუთუ შეიძლება ეგვიპტეში იმავნა იმავნა, რომ ნოდარ ახალკაცის ნოვატორულმა აზროვნებამ გვაზიარა ისეთ სიმბლენებს, რაზეც ოცნებასაც ვერ ბედავდა თვით უველზე ფანტაზიორი გულშემატივარიც კი?! რა დააკლდა ქართულ ფეხბურთს იმით, რომ რაციონალიზმის ატრიბუტებით გამდიდრდა? როდის უთამაშია „დინამოს“ ეგრეთ წოდებული რაციონალური ფეხბურთი? ანდა, თვით რაციონალური ფეხბურთი რატომ მიგვიჩინებია ხალანდავად? აი, რას წერს რაციონალური ფეხბურთის შესახებ ვ. ლობანოვსკი: „ის ფაქტი, რომ სიტყვა „რაციონალური“ იქცა ლამის სალანძღავ სიტყვად, იმაზე ლაპარაკობს, რომ ზოგიერთი ფეხბურთის არმცოდნე, მაგრამ აქტიური გულშემატივარი ცდილობს, შეგავლენა მოახდინოს თვით სიტყვის

სიმბოლურ მნიშვნელობაზეც. სიტყვა „რაციონალური“ კი ნიშნავს გონიერს. იცით, რაზე აქებენ ჰაიელს („ჰამბურგის“ ყოფილი მწვრთნელი — ნ. კ.)? იმისთვის, რომ მან შექმნა ძალიან გონიერი გუნდი. ფეხბურთი დავაუკაცდა, ხოლო თუ ვინმეში ისევ ცოცხლობს რომანტიკული სული, ის იპოვის თანამედროვე ვაუკაცურ ფეხბურთთან რომანტიკის შესმატივების საშუალებას. იმას კი, ვინც მისტიკის ცარიელ რომანტიკაში, ვინც ჩავარდნილია უიმედო ნოსტალგიაში, უბრალოდ, არ შეუძლია შეურიგდეს აზრს, რომ იმ მატარებელმა ჩაიარა...“ სწორად ნოდარ ახალკაცის ნიჭიერებისა და მის მიერ გამოზრდილი „მეომრების“ წყალობით გახდა შესაძლებელი „ლივერპულის“, „ნაპოლის“, „ფანორდის“ და „კარლ-ცაისის“ დამარცხება, თორემ ვინ შეგვედავება, რომ ამ გუნდების „მეომრები“ ნაკლები ოსტატები იყვნენ?.. მწვრთნელს, ისე როგორც სარდალს, რავინდ დიდი გამარჯვებებიც უნდა უმაგრებდეს ზურგს, ერთი ბრძოლის წაგებასაც არავინ პატიობს. ამიტომაცაა სარდლის ბედი ასე ტრა-

გიკული: დღეს დიდებით მოსილი, ადვილი შესაძლებელია, ხვალ ბრბომიერ გალანძღული, მიტოვებული და გარიყული აღმოჩნდეს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისტორიის ობიექტური კანონები, რომელთაც უამო განაგებს, ყველაფერს და ყველას მიუჩენენ ხოლმე თავის კუთვნილ ადგილს. სამწუხაროდ, ადამიანთა დიდ ნაწილს კიდეც ერთი საოცარი თვისება ახასიათებს: უმადურობა. როცა გამარჯვება მიღწეულია, როცა გალანძღულს თავი უძლეველი ჰგონია, სწორად მაშინ იფიქრებს, ვისი ხელმძღვანელობითა და გვემით გახდა ეს დიდი გამარჯვება შესაძლებელი და ყოველ ღონეს ხმარობენ ხოლმე, როგორმე დაახამარონ ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი. რას ვივამთ, ასეთთა მოკვდავთა არჩალი ბუნება! თავისი ცხოვრების ძნელებლობასა და მის მიმართ გამოჩენილ უმადურობაზე აი რას მოგვითხრობს უალგირისელთა მწვრთნელი ზილიკაივიჩი: „საკომფლექტო სიტუაციას მარტო წარუმატებლობა არ ბადებს. ჩემს შემთხვევაში იგი აკოდრა უზენაესი წარმატებების უამს. მოთამაშებმა თავი მდგომარეობის ბატონ-პატრონებად იგრძნეს. შესაძ-



ტიულორებმა შექმნეს მეტად უხუხური ვერსია, თითქოსდა რიჩარდის გარდაცვალების შემდეგ ვიღაც ბერმა ამოთხარა ბავშვების გვამები და სადღაც საიდუმლოდ დაასაფლავა. გვამების პოვნას ახალი დინასტიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იქნებოდა მკვლელობაში რიჩარდის მხილების უტყუარი დასტური. აღნაჩინავია, რომ ჰენრიხი რიჩარდის დანაშაულთა შორის (1484-1485 წლებში) ყრულ, გაუბედავად ასახელებდა ბავშვების მკვლელობას (ბრალდებაში ფრთები მხოლოდ რიჩარდის სიკვდილის შემდეგ შეიხსა). ე. ბ. ჩერნიაკი ვარაუდობს: შეიძლება იმიტომ, რომ მან იცოდა მკვლელის ნამდვილი გვარი, შეიძლება მან იცოდა, რომ პრინციები ცოცხლები არიან და ტაუერში სხედან.

აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშვები არა ნაკლებ საშიში იყვნენ ტიულორების დინასტიისათვის, რადგანაც რიჩარდის შემდეგ ტახტის ყველაზე უფრო რეალურ პრეტენდენტად ისინი რჩებოდნენ. (საპარლამენტო აქტი, რომელიც ძლიერი არგუმენტი იყო რიჩარდის ხელში, ბევრს არაფერს აძლევდა ტიულორებს, ისინი ხომ სულ სხვა დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ). ტიულორები ებრძოდნენ არამარტო ერთმმართველ ტირანს რიჩარდს, არამედ მთელი იორკების დინასტიას, რომლის დამხობისათვის სურდათ, ხელთ ეგდოთ ინგლისის ტახტი. მეტად ყურადღაღები ფაქტია, რომ ტიულორები რიჩარდის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგაც სასტიკად დევნიდნენ იორკთა დინასტიის ნაშვირთ. რიჩარდი რომ ლორდ-პროტექტორად დარჩენილიყო, ხოლო 12 წლის ედვარდი გაშვებულიყო, განა იორკები თავიდან აიცილებდნენ ტიულორებთან კონფლიქტს?

პროფესორი ე. ბ. ჩერნიაკი პირდაპირ წერს: „რიჩარდის მიერ ბავშვების მოკვლა არაფერსა დასაჯებელი იქნებოდა, არაფერსა დასაჯებელი იქნებოდა. ცნობას ბავშვების მოკვლის შესახებ გვაწვდის იტალიელი მანჩინი, რომელმაც ინგლისი დატოვა 1488 წელს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს არის მხოლოდ ხმე-

ბი. ანალოგიური განცხადება გააკეთა 1484 წლის იანვარში გენერალური შტატების სხდომაზე გილიომ დე როშფორმა. დამტკიცებულა, რომ იგი კარგად იცნობდა მანჩინის. ერთი სიტყვით, ეტყობა, წყაროებში რიჩარდის წინააღმდეგ მიმართული ჭურბები აისახა.

თანამედროვე ინგლისელმა ისტორიკოსმა ე. ბ. კენდალმა ერთ ფრიალ საგულისხმო ფაქტზე მიგვანინა: ჩემს ტირელი არის ერთადერთი რიჩარდთან დაახლოებული პირი, რომელსაც მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა ჰენრიხ VII-ის დროს და მისი რისხვა თავს არ დასტყდომია. მას არც ახალი დინასტიის ხელში მოპყვების პატივი. ჰენრიხის გულისმომგების მიზნით ჩემსს არ დასტყვებია, რომ ლორდ სტენლის მსგავსად ევალატა რიჩარდისათვის. პირიქით, იგი ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ტირელი 1502 წლის 2 მაისს დააპატიმრეს. ბრალდ დასდეს სახელმწიფო ღალატი და 6 მაისს თავი მოჰკვეთეს. ტირელიმ ტიულორთა ძალზე ბევრი საიდუმლო იცოდა და, ეტყობა, გზიდან ჩამოიშორეს.

ვარაუდობენ, რომ ბავშვების მკვლელობაში ბეკინჰემის ხელი ერია. ხმებს ამის შესახებ ვაწყდებით ფილიპ დე კომინის მემუარებში. ეს შეიძლება მომხდარიყო 1488 წლის ივლისის შუა რიცხვებში, როდესაც რიჩარდი გაემგზავრა ლონდონიდან, ხოლო ბეკინჰემი ცოცხლად დარჩა დედაქალაქში. პროფესორი ე. ბ. ჩერნიაკი ფიქრობს, რომ ამით ბეკინჰემს ერთბაშად ორი კუროდლის დაქვეა სურდა. იგი ვარაუდობდა, რომ ამით იგი მოიპოვებდა რიჩარდის ნდობას და ასიაშოვნებდა ტიულორებსაც. ინგლისელი ისტორიკოსი ე. შერტი რიჩარდ III ბიოგრაფიაში, რომელიც აპოლოგეტიკური ტონითა დაწერილი, გამოთქვამს საკმაოდ თამამ მოსაზრებას, რომ ბავშვები 1488 წელს მოკლა ჩემს ტირელიმ ჰენრიხ VII-ის ბრძანებით. ეს მოსაზრება გარკვეულ შუქსა ჰყენს იმას, თუ რატომ ერთგულობდა ბოლომდე რიჩარდს ტირელი და რატომ იყო იგი დიდ პატივში ტიულორების დროსაც.

ახალი დინასტიის წარმომადგენლები დიდი ხნის განმავლობაში სასტიკად უსწორებდნენ ანგარიშს ტიულორთა ყველა მომხრეს. ტირელი კი, როგორც შედეგად გამოჩნდა, აღმოჩნდა. იქნებ ტიულორების მოკვლით საკუთარი ტყავი გადაიჩინა?

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ კატორხისაგან, რომ ე. შერტიასთვის დამახასიათებელი კატეგორიულობით ვამტკიცოთ, ბავშვების მკვლელობაში ტიულორები არიან დამნაშავეო, თუმცა ასეთი ჰიპოთეზა გამორიცხული არ უნდა იყოს (ე. შერტიას დებულება ერთ-ერთი საინტერესო ჰიპოთეზაა, მაგრამ არამდლარამც არ მტკიცდება). ამის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალა თითქმის არ მოიპოვება. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ახალი დინასტიამ, როგორც ჩანს, ძალზე ბევრი იშრომა იმისათვის, რომ კვალი საგულდაგულოდ წაშლილიყო. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ თუ არსებობს საფუძველი ჰიპოთეზისათვის, რომ ბავშვები რიჩარდის მოკლულია, მაშინ არსებობს არა ნაკლები საფუძველი (შეიძლება მეტიც) ჰიპოთეზისათვის, რომ ბავშვები 1488 წლის ზაფხულში მოკლეს ბეკინჰემმა, ან ცოცხალი უფრო მოგვიანებით ტირელმა მეფე ჰენრიხ VII-ის ბრძანებით.

ბავშვების ბედი ტიულორებს რიჩარდზე ნაკლებად როდი აშინებდათ. რიჩარდის დაღუპვის შემთხვევაში სწორედ ბავშვები რჩებოდნენ ტახტის ერთადერთ რეალურ პრეტენდენტად და არა ტიულორები. მართალია, ისინი საპარლამენტო აქტმა კანონგარეშე გამოაცხადა, მაგრამ რიჩარდის შემდეგ ბავშვებს უფრო მეტი იურიდიული და მორალური უფლება ჰქონდათ ტახტის დასაკავებლად, ვიდრე ახალ დინასტიას.

ტიულორები მშვიდად და გულარხინად იყავნენ გზას ტახტისაკენ და თავიდან იცილებენ ყველა შესაძლო პრეტენდენტს.

**მერაბ კალანდანი.**

ლოა, მეც მივეცი უკმაყოფილების საბაბი, მაგრამ რაც შემდგომში მოხდა, ნაცნობია ბევრი მწვრთნელისათვის. ყველა გუნდს ჰყავს მოთამაშენი, რომლებიც გამუდმებით უკმაყოფილონი არიან, ხოლო კონფლიქტის განვითარება, როგორც წესი, დამოკიდებულია იმაზე, ვისკენ გადაიხრებიან დანარჩენები: მწვრთნელისკენ თუ უკმაყოფილოებისკენ. სულთერის მთლიანობის დარღვევით მოთამაშეები ისე არ დევნიდნენ გუნდს, რომ ამას თვითონ ვერც კი გრძნობდნენ. შემდეგ სეზონს გუნდი ნახევრად დაშლილი შეხვდა და ისევ მოთამაშეების თხოვნით დავბრუნდი, თუმცა ვიცოდა, რომ კარნავალზე არ მივდიოდი — მქოლდა დაუღალავი შრომა. უნდა ვაღიარო, ყველა მოთხოვნას, როგორც მკაცრიც უნდა ყოფილიყო იგი, ფეხბურთელები უხიბტყვოდ ემორჩილებოდნენ და ჩვენ გამოვედით კრიტიკული მდგომარეობიდან. მოთამაშეებმაც იგრძნეს, რა ფასად დაუჭადო შეცდომა.

ხომ არ გვაგონებს ყოველივე ეს 1985-86 წლებში თბილისის „დინამოს“ თავზე დატრიალებულ გოლგოთას?! იცის კი ვინმემ, რა ფასად დაუჭადა მაშინ ნოდარ ახალკაცს დარბეული, რწმენაგატეხილი გუნდის შეკოწიწება და საკავშირო ჩემპიონატში მებრუნე ადგილის მოპოვება? ხოლო რაც შემდეგ მოხდა, ალბათ, დანაშაულია...

იმ წლებში საერთოდ გამოუსწო-

რბელი ზიანი მიადგა ქართულ სპორტს. მავანმა ხელმძღვანელმა აშხანაგებმა, არაფრად რომ არ ეთმობოდათ მუშაობის აღმინისტრაციული სტილი, კლუბის საქმეებში აქტიური ჩარევა მოინდომეს (თუმცა იქ არაფერი ესაქმებოდა), ხოლო როცა გუნდის მწვრთნელი შუუვალად აღიშართა მათ წინაშე, უცბად მონახეს „უკმაყოფილონი“, აიყოლიეს ისინი და მიზანსაც მიადწინეს — ნოდარ ახალკაცი საერთოდ ჩამოაშორეს ქართულ ფეხბურთს.

მადლობა ღმერთს, დღეს ასე თუ ისე გვაქვს სიმართლის თქმის უფლება: როცა ნოდარ ახალკაცმა „დინამო“ ჩაიბარა, მაშინ ჩვენი გუნდი საკმაოდ პროვინციული ფეხბურთის თამაშობდა. ახალკაცმა კი თითქმის სააწუღებრივი სული შთაბერა გუნდს, იმავე წელს „დინამო“ საბჭოთა კავშირის თასს დაუფლდა, რითაც ქართული გულშემატკივრების მრავალწლიანი ოცნება ასრულდა. მწვრთნელის პროგრესულმა იდეებმა უცბად მონახეს გზა ნიჭიერ ფეხბურთელთა გარემოცვაში. სწორად იმ წლებში გახდა თბილისის ფეხბურთელთა გუნდი ოლიმპის მპყრობელთა კოპორტას სრულყოფილებიანი წევრი. სწორად ნოდარ ახალკაცის თაოსნობით მოხდა სინთეზი ქართული ტემპერამენტის, მისი უზალო ტექნიკისა და იმპროვიზაციისა მსოფლიო ფეხბურთის ტაქტიკურ აზროვნებასთან, რამაც თბილისის „დინამო“ მსოფლიო ფეხ-

ბურთის გრანდთა სიაში ჩაირიცხა. საშუალოდ, ჩვენმა საფეხბურთო სპორტმა იმის კი, ნებისთუ უნებლიედ, არ ისურვა ფეხი აიყურო მისთვის.

ხანდახან გაიგონებთ: ნოდარ ახალკაცი სუსტი სელექციონერი იყო. აბა გავიხსენოთ, ვინ მიუჩინა სათანადო ადგილი ყიფანს, როცა შესაძლო გახდა მისი უზალო ნიჭის ბოლომდე გახსნა, არადა, ლამის თბილისის „ლოკომოტივის“ მარცხნა ფრთაზე ჩაფრთხილიყო მისი ელვარე ტალანტი. ან ვისი აღზრდილი იყო დარახელია? ქორიძე, ფეხბურთისთვის თითქმის უკვე დაკარგული, „წლებში“ შესული მოთამაშე, ვინ დაუბრუნა დიდ ფეხბურთს? ვის ხელში დაოსტატდნენ სულაქველიძე და შენგელია? ეს ხომ მათ თვითონ ალბათ არც კარგად იცნობენ დამთავრების შემდეგ. მოკლედ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მისი აღზრდილი ფეხბურთელები ახლაც თამაშობენ ლანჩხუთში, ქუთაისში, სოხუში...

ახლა ბევრს მსჯელობენ 1982-88 წლების კრიზისზე. მაგრამ არ უნდა დავვიწყოთ, რა იყო ამ კრიზისის მიზეზი. რა დასაძაღია, დიდი გამარჯვებები შემდეგ ფეხბურთელებშიც იმაღლა ყოყმანობა: მწვრთნელი ვინ არიან დაფინს გვირგვინი მარტო ჩვენ, მოთამაშეებს, გვეკუთვნისო. ამრიგად, განდა თათქარიძეობის ერთგვარი ხანდაღმომც, რაც მიწვეულით ტუბობაში გამოიხატა — შრომამ და გარჯამ უკანა პლანზე გადაინაცვლა უფროსი

მეგობრების მაგალითს ახალგაზრდებმაც მიბადეს — მათაც შეეპარათ ხიზარმაცის სენი და როცა ესპანეთიდან დაბრუნებულმა მწვრთნელმა ხელის გამოღება გადაწყვიტა, მას გუნდი დაატოვებინეს. ამაში მრავალი „მოყვრის“ ხელიც ერია — განა ყველას უხარია ჩვენი გამარჯვება?! რაღა შორს წავიდეთ: 1981 წლის 14 მაისს მოსკოვში დაბრუნებულ გამარჯვებულ მწვრთნელს მილოცვების მაგივრად საყვედური დაახვედრეს — გუნდი მოედანზე „ადიდანის“ ფორმით რატომ გამოიყვანეთ. ესეცაა, შემდგომში თითქმის იმდღავრა ხალხმა აზრმა და კატასტროფის წინ ერთხელ კიდეც მოაბრუნეს გუნდში ნოდარ ახალკაცი, რომლის ერთადერთი მოთხოვნა ის იყო, გარეშეთავან არავინ ჩაერიოსო გუნდის საქმეში. როგორ შეუსრულეს ეს მოთხოვნა, ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ერთს კი აღვნიშნავთ: მეორე სეზონში გუნდი უკვე უფროს ტურნირში მონაწილეობდა, კრიზისიც თითქმის დაიძლია და მხოლოდ ის, რასაც არავინ ელოდა: ნოდარ ახალკაცს წარმატებები არ აპატიეს!

კვლავ აგორდა შეთქმულების ზეგავი და... სწორს ბრძანებდა ბატონო კონსტანტინე გამახაბურდია: გვიკირსო ქართულებს ნიჭიერი, ალღოიანი კაცის გატანა. ნუთუ ისტორიამ ვერაფერი გვაწავლდა?! ღმერთმა ნუ ქნას!

ნოდარ კობორიძე





ეროვნული  
გიგლიოსკა

### ანსამბლი „ნინო“

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ქალთა ქორეოგრაფიული ხალხური ანსამბლი ორგზის გახდა ლაურეატი მსოფლიო ფოლკლორული ფესტივალებისა, რომლებიც ტრადიციისამებრ პოლონეთში იმართება. (ანსამბლის ქორეოგრაფია რესპუბლიკის სახალხო არტისტი მანანა აბაჯაძე.)

ჩვენს კოლექტივში, — თქვეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელებმა თინა ცხაკაიამ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ოთარ პაპიაშვილმა, — ორმოცი ქალიშვილი, რომელთაგან უველაზე უმცროსი თოთხმეტი წლისაა, უველაზე უფროსი კი — 22; და სამი ვაჟია.

„ნინოს“ იცნობენ მოსკოვში, კიევში, საზღვარგარეთ — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში. ამჯერად „ნინო“ საგანტროლოდ ისრაელში მიემგზავრება.

მშვიდობით მგზავრობას ვუსურვებთ მას.



666/40

